საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი

ზ ურ ა ბ ბ ე რ ი ძ ე

ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში

ბიზნესის მართვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: აგრობიზნესის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლავრენტი ჩიბურდანიძე
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფინანსებისა
და აღრიცხვის დეპარტამენტის სრული პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

თბილისი 2011

ს ა რ ჩ ე ვ ი

	შესავალი.....	3
თავი I	საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების პრობლემები.....	10
1.1	სოფლის მეურნეობა, როგორც ეკონომიკის დარგი. თავისებურებები და აგრარული ურთიერთობების სპეციფიკა.....	10
1.2	აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში.....	18
1.3	ეკონომიკური რესურსების და წარმოების მასშტაბების ზრდის პოტენციური შესაძლებლობები ფერმერულ მეურნეობებში.....	30
თავი II	ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და აგრარული სექტორის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება.....	45
2.1.	აგრარული რეფორმები საქართველოში და სასურსათო უსაფრთხოება.....	45
2.2.	აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირება და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრიორიტეტული მიმართულებები.....	54
2.3.	სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების ეფექტურად ფუნქციონირების მექანიზმი.....	64
თავი III	ეკონომიკური რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამაღლების პრიორიტეტული მიმართულებები აგრარულ სექტორში.....	72
3.1	თავისუფალი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება და შრომითი რესურსების დასაქმება აგრარულ სექტოოში.....	72
3.2	მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება და მისი პოტენციალის ეფექტური გამოყენების ამაღლების მიმართულებები.....	91

3.3 ძირითადი საწარმოო კაპიტალის გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები აგრარულ სექტორში 101
დასკვნები და წინადადებები..... 120
გამოყენებული ლიტერატურა..... 131
დარნართები..... 137

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა. აგრარული სექტორის მდგრადი განვი-თარების თანამედროვე პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თავისებურებების, ტენდენციების კანონზომიერებათა გამოკვლევას, სასურსათო და სამრეწველო პოტენციალის ამოქმედების რეალური ფაქტორების თეორიულ-მეთოდოლოგიურ შესწავლას, ეკონომიკური რესურსების ეფექტურობას.

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე აშკარა იყო პროცესების სტიქიურად განვითარების ტენდენცია. ასეთ სიტუაციაში ფაქტიურად უგულებელყოფილი იყო ქვეყნის ისტორიული, ეთნიკური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ნიადაგურ-კლიმატური თავისებურებები და მეურნეობრიობის ტრადიციები. ცხადია, ამან არსებითად განსაზღვრა ქვეყნის აგრარული სექტორის ეკონომიკის, ფინანსური და მართვის კრიზისის გაღრმავება. შესაბამისი აგრარული კურსის არარსებობამ, თითქმის საფუძველი გამოაცალა მეურნეობრიობის ახალი პრინციპების დანერგვის ორგანიზაციას, აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების ადაპტაციის განხორციელებას და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას.

საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი რთული ვითარება მოითხოვს ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენე-ბას, რომელიც მხოლოდ მისი ოპტიმალური შეფასების გზით მიიღწევა. მიმდინარე აგრარული რეფორმა, რომელიც მიმართულია საბაზრო ურთიერთობათა პრინციპების დამკვიდრებისაკენ, დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკური გარდაქმნების შემდგომი გაღრმავებისა და სოფლის

მეურნეობის ეკონომიკური რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას ცალკეული რეგიონების მიხედვით, რამაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური აღმავლობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების გადიდება და მათი ცხოვრების დონის რეალური აღმავლობა.

აგრარული სექტორის ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დადგენა რთული და მრავალმხრივია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც მიმდინარეობს საბაზრო ურთიერთობების სრულყოფა. ასეთ პირობებში საჭირო ხდება შიდა რესურსების მაქსიმალური მობი-ლიზება, რომლის თავმოყრა და რეალიზაცია დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ამიტომ გადაუდებელი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური რესურსების სწორი შეფასება და მისი რეალიზაციის შესაძლებ-ლობათა სრული გამოვლენა.

უნდა შემუშავდეს ახალი აგრარული პოლიტიკა, რომელშიც უნდა აისახოს ეკონომიკური გარდაქმნების გლობალურ პროცესში სოფლის მეურნეობის როლი, მისი განვითარების მიზანი, სტრუქტურა, აგრარული წარმოების პოტენციალის უფრო სრულად ამოქმედების ურთიერთგან-მპირობებელი ფაქტორები, კერძო და სახელმწიფო სექტორის, მცირე, საშუალო საწარმოებისა და მსხვილი სამეურნეო სისტემების განვითარება, სოფლის მეურნეობის ტერიტორიული გაადგილების და სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებანი და სხვა.

სწორედ ამ პრობლემების თეორიული და პრაქტიკული დამუშავება და გადაწყვეტა განსაზღვრავს თემის აქტუალურობას.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. აგრარული სექტორის რესურსული პოტენციალის ფორმირების, განაწილების, მისი შემადგენელი ელემენტების გამოყენების ცალკეული პრობლემების შესწავლისადმი

საქართველოში მიძღვნილია რიგი გამოკვლევები, ამ მიმართულებას თავიანთი შრომები მიუძღვნეს: რ. ასათიანმა, რ. ანდღულაძემ, ე. ბარათაშვილმა, ს. ყამარაულმა, ნ. ქარქაშაძემ, ვ. ბურკაძემ, ნ. ჭითინავამ, ა. კიკნაველიძემ, ო. ვაშაკიძემ, რ. გოგოხიამ, რ. კაკულიამ, თ. კანდელაკმა, ი. მესხიამ, ვლ. პაპავამ, ნ. სანთელაძემ, ო. საღარეიშვილმა, პ. ჩაგელიშვილმა, თ. ჩიკვაიძემ, ლ. ჩიქავამ, დ. ჩომახიძემ, დ. ძნელაძემ, ა. ჯიბუტმა, ზ. ელიზბარაშვილმა, გ. ნიკოლეიშვილმა, ო. ქეშელაშვილმა, გ. დოღონაძემ და სხვებმა.

მიუხედავად ამისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა შესწავლილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის თავისებურებანი. ბუნებრივია, არც ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ წინამდებარე ნაშრომში ყოველმხრივ ამომწურავად გავაშუქებთ ამ რთულ პრობლემას, მაგრამ წარმოვადგენთ გარკვეულ მოსაზრებას საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეკონომიკური რესურსების გამოყენების გარემოებების და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის შესახებ.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის ძირითადი მიზანია საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე აგრარულ სექტორში განვითარების ძირითადი თავისებურებე-ბის, ტენდენციების და კანონზომიერებების გამოკვლევა, სოფლის მეურნეო-ბაში პრივატიზაციის, რესტრუქტურიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება და ამის საფუძველზე მაკრო და მიკროეკონომიური სტაბილიზაციის ფაქტორების გამოვლენა და მათი ამოქმედების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. დასახული მიზნის განხორციე-ლებისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- მეურნეობრიობის ახალ პირობებში აგრარულ სექტორში ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრა და მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა;
- საქართველოში აგრარული კრიზისის წარმოქმნის ძირითა-დი მიზეზების გამოკვლევა და შეფასება;
- აგრარული სექტორის ეკონომიკაში პრივატიზაცია და რესტრუქტურიზაცია, როგორც მართვის ერთ-ერთი მიმართულების გამოკვლევა და შეფასება;
- სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების ეფე-ქტიანობის განსაზღვრის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვ-ლების შესწავლა და სრულყოფა მისი გამოყენების თავისებურებათა გათვალისწინებით;
- სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მისი განვითარების ტენდენციების გამოვლენა;
- ეკონომიკური რესურსების გამოყენების გაუმჯობესების წინადადებების დამუშავება;
- სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული პარამეტრების განსაზღვრა

კვლევის ობიექტი და საგანი. სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტია საქართველოს აგრარული სექტორის საწარმოები.

კვლევის საგანია საბაზრო ურთიერთობის პირობებისადმი ეკონომიკის ადაპტაციის გზების ძიება, მეურნეობრიობის ახალ პირობებში დარგის სტაგნაციიდან გამოყვანის, მისი პოტენციალის გაზრდის კვალობაზე სოფლის მეურნეობაში გაფართოებული კვლავწარმოების ტემპებისა და პროპორციების გამოკვლევა და მისი გავლენის შესწავლა

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე. სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების ფორმირების, განაწილების, გამოყენების, გაუმჯობესებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების საკითხები.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. გამოკვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია საბაზრო ეკონომიკის პირობებისა-თვის თეორიულ ეკონომიკაში გამოქვეყნებული ნაშრომები. ფართოდ არის გამოყენებული საქართველოსა და საზღვარგარეთის მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომები, თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები, მთავრობის დადგენილებები და საკანონმდებლო აქტები. ნაშრომის დამუშავებაში გამოყენებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ დამუშავებული სამეცნიერო შრომები, კრებულები და სპეციალური ფონდები; დისერტაციაში კვლევის სტატისტიკურ-საინფორმაციო ბაზას წარმოადგენდა ოფიციალური და არაოფიციალური სტატისტიკური მასალები. კერძოდ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა სამინისტროების მასალები, აგრეთვე სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, ტასისის და FAO-ს ინფორმაციული მასალები და პროგრამები.

ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა: ლოგიკური ანალიზი, სისტემურ-დიალექტიკური და პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა, შედარებები, კომპლექსური ანალიზი, კვლევის სტატისტიკური, მონოგრაფიული და ანალიტიკური გამოკვლევის მასალები და სხვა.

დისერტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ კომპლექსურ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელშიც შეფასებულია თანამედროვე პირობებში აგრარულ სექტორში ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დონე, პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, განსაზღვრულია მართვის სრულყოფის მიმართულებები, კვლევის ძირითადი სიახლეები:

- მეცნიერულადაა გამოკვლეული მეურნეობ-რიობის ახალ პირობებში აგრარულ სექტორში ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დონე, აგრარული სექტორის საწარმოების ფუნქციონირების სიძნელეები, წინააღმდეგობები და აგრარული კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული გზები და მიმართულებები;
- დასაბუთებულია საქართველოში საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის აუცილებლობა, ძირითადი თავისებუ-რებები, ტენდენციები, კანონზომიერებები და შემუშავებულია აგრარული რეფორმის სრულყოფისათვის ზოგიერთი მიმართულება;
- დასაბუთებულია, რომ თანამედროვე პირობებში განსაკუთრე-ბული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს აგრარულ სექტორში მეწარმეობის განვითარებას;
- განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორები.
- შესწავლილია სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურ-სების გამოყენების ეფექტიანობის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გათვალის-წინებით და გამოთქმულია მოსაზრება, რომ საწარმოო რესურს დაემატოს სამეწარმეო უნარი, როგორც ადამიანისეული რესურსი საბაზრო

ურთიერთობების პირობებში მისი სპეციფიური როლის გამო. მცირე და საშუალო, ხოლო შემდგომ კი მსხვილი ბიზნესის განვითარება, რომელმაც არსებითი გავლენა უნდა იქონიოს საქართველოს სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოსვლაზე და მისი ეკონომიკის შემდგომ აღმავლობაზე. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოფლის მეურნეობის წარმოების არსებული დარგობრივი სტრუქტურა ძირეულ გარდაქმნას საჭიროებს, ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის პრიორიტეტულობის მინიჭების გათვალისწინებით;

- გამოკვლეულია მეურნეობრიობის ახალ პირობებში საწარმოებისა და ნედლეულის მწარმოებლების ინტეგრირების შესაძლო ფორმები, შემოთავაზებულია კვების მრეწველობის სამრეწველო საწარმოსა და მის სანედლეულო ზონაში გაადგილებული საქონელ-მწარმოებლების მიერ კოოპერაციული საზოგადოებების შექმნის გარკვეული მექანიზმი;
- შემუშავებულია წინადადებები საქართველოში მაკრო და მიკროეკონომიკური რეგულირებისა და საქართველოს აგრარული ეკონომიკის აღმავალი განვითარების მიღწევის გზებისა და მიმართულებების შესახებ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. დისერტაციაში შემოთავაზებული წინადადებები გამოყენებითი ხასიათისაა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებული იქნეს ქვეყნის ეკონომიკური რესურსების მეცნიერული შეფასებისათვის. თეორიული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად იგი დაეხმარება აგრარულ სექტორში მოქმედ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და სპეციალისტებს ეკონომიკური რესურსების ფორმირებისა და განაწილების ოპტიმიზაციის ღონისძიე-

ბათა დამუშავებაში. სოფლის მეურნეობის დარგში პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის, აგრეთვე დარგის პერსპექტიული განვითარების პირობების შედგენისას და სხვა საკითხების მართვის დროს.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები ჩამოყალიბებულია დისერტანტის სამეცნიერო პუბლიკაციებში, კვლევის შედეგები განხილული და აპრობირებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფინანსებისა და აღრიცხვის დეპარტამენტის სხდომაზე, საუნივერსიტეტო კონფერენციებზე.

დისერტაციის მოცულობა და პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს ნაბეჭდ 136 გვერდს. შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, დანართის სახით - ცხრილები, სქემები და გრაფიკები. დისერტაციის ძირითადი შედეგები ნაშრომის სახით გამოქვეყნებულია რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში.

თავი I. საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების პრობლემები

1.1. სოფლის მეურნეობა, როგორც ეკონომიკის დარგი თავისებურებები და აგრარული ურთიერთობების სპეციფიკა

აგრარული ეკონომიკა წარმოადგენს საერთო ეკონომიკური თეორიის ორგანულ ნაწილს. აგრარულ ეკონომიკაში საბაზრო ეკონომიკის ბევრი კანონი უფრო მკვეთრად და სპეციფიკური ხასიათით მოქმედებს, ვიდრე სხვა დარგებში. ბევრი გამოჩენილი მეცნიერი

როგორებიც იყვნენ: ნ. კონდრატიევი, ვ. ნემჩინოვი, ჯ. გელბრეიტი და მრავალი სხვა, დაწყებით კვლევებს შეგნებულად სწორედ აგრარულ ეკონომიკაში იწყებს. აგრარული ეკონომიკის თეორიას ჩვეულებრივ ეთმობა თითქმის ყველა სახელმძღვანელო. ამას რატომ აკეთებენ? რატომ არ ხდება ეს ქვანახშირის მრეწველობის ან კიდევ მშენებლობის ეკონომიკის სფეროში? ეს იმიტომ ხდება, რომ დამოუკიდებელი ეკონომიკური თეორიის კურსს იკვლევს ყველა დარგობრივი ეკონომიკა, რადგან დარგობრივი გამოყენებითი ასპექტები შესაბამისი ეკონომიკის სფეროების განხილვის საგანი ხდება.

ამას განსაზღვრავს მთელი რიგი მისი (დარგების) სპეციფიკური ნიშანთვისებანი. შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე:

1. ისე როგორც მთლიანად ეკონომიკაში, აგრარულ ეკონომიკაშიც ყოველგვარი წარმატება მისი ორი მხარის საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობათა ერთიანობაა. ყველა დარგში, მათ შორის, აგრარულ სექტორშიც, წარმოების ეფექტური ფუნქციონირება დამოკიდებულია ურითიერთიერთდაკავშირებული ორი მხარის რეგულირებაზე. სამწუხაროდ, იგი ჩვენთან სწორი მიმართულებით დღემდე არ რეგულირდება.

უპირველეს ყოვლისა, უცხოეთის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარიმართება ფერმერული მეურნეობების განვითარების საფუძველზე. იგი ძირითადად, როგორც წესი, ეფუძნება მსხვილი მეურნეობის უპირატესობის კანონს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ წვრილი სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლისაგან არ შეიძლება წარმოების ისეთი ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბაზრის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება. ბაზარზე უნდა იყოს მსხვილი

საქონელმწარმოებლები, ისინი კი სრულად უზრუნველყოფენ ბაზარს სასურსათო პროდუქტებით. ამასთან ერთად, განვითარებულ ქვეყნებში სასურსათო ბაზარზე საქონელმწარმოებლებს გარანტირე-ბული აქვთ თავისუფალი შესვლა და გასვლა, მოქმედებს კარგად ორგანიზებული მიწის ბაზარი, ფართოდ გავრცელებულია მიწის იჯარა, არსებობს იპოთეკური კრედიტი, ფერმის შესყიდვისთვის ხელშემწყობი პირობები. ყველაფერი ეს მიანიშნებს, რომ ყველა პირი, რომელსაც სურს დაიწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მას წარმოების აწყობისათვის სჭირდება საწარმოო საშუალებები, იმყოფებიან ხელსაყრელ და თანაბარ პირობებში. ან კიდევ, თუ ვერ ახდენენ წარმოების ასეთ ორგანიზაციასა და ბაზარზე გასვლას, შეუძლიათ დატოვონ, ამას ახდენენ ყოველგვარი იურიდიული, ინსტიტუციონალური თუ ეკონომიკური დაბრკოლების გარეშე. ჩვენთან კი, დამწყები მეწარმეებისათვის დღემდე არ არის შექმნილი ის საბაზრო გარემო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნამდვილი მეწარმეობრივი საქმიანობის დაწყებასა და ბაზარზე თავისუფალ გასვლას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, ჩვენი წარსული მემკვიდრეობაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ საბჭოთა პერიოდში ძირითადად არ ვიყავით საბოლოო პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა, რომლის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით აგროსამრეწველო პროდუქ-ციისა, ქვეყნის გარეთ გადიოდა და სამაგიეროდ ჩვენთვის საჭირო მზა პროდუქციასთან ერთად, დიდი რაოდენობით დამხმარე მასალები და ნედლეული შემოდიოდა. ამიტომ, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პროდუქციის გამომშვები საწარმოები, რადგან ნედლეულზე ფასების ზრდის პარალელურად არ შეუძლიათ გაზარდონ ფასები მზა

პროდუქციაზე რადგან, ჯერ ერთი იგი, რეგლამენტირებულია მოსახლეობის გადახდისუუნარობით, მიმოქცევაში ფულის არარსებობით, და მეორეც, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში შედარებით იაფი საზღვარგარეთული პროდუქციის შემოდინებისა და ზოგიერთი ქვეყნების ჩვენს მიმართ გააზრებულად დემპინგური პოლიტიკის გატარების გამო.

გამოდის, რომ ერთის მხრივ, წარმოება შეზღუდულია, არ არის მისი ზრდის საშუალება ნედლეულისა და სხვა მასალების სიმცირისა და არსებულზე მაღალი ფასების გამო, ხოლო მეორეს მხრივ, მსოფლიო ბაზარი გაჯერებულია ყველა სახის პროდუქციით და იგი მზად არის დაიკავოს მსოფლიოს, რომელიც გნებავთ ქვეყანაში ამა თუ იმ მიზეზით გამოთავისუფლებული ადგილი. შექმნილი მდგომარეობა იწვევს არა მარტო საწარმოების გაჩერებას, არა ეფექტური წარმოების გამო, არამედ მათი უცხოურ საწარმოებთან შედარებით ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდას, (წარმოებული პროდუქციის დაბალხარისხიანობას, დაბალკონკურენტუნარიანობას), რომლის აღდგენა მომავალში დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. ასე თუ გაგრძელდა საწარმოების გაჩერება მიიღებს მასობრივ ხასიათს, რაც თავის მხრივ მასობრივი უმუშევრობისა და იაფი მუშახელის საფუძველი გახდება. თანაც უმუშევრობას ადგილი ექნება ეკონომიკის სტაგნაციის პირობებში, რაც ნიშნავს, რომ არავითარი სტრუქტურული ცვლილებები არ ხდება და ამდენად, სამომავლო პერსპექტივაც არ არსებობს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს აგრარულ სექტორში უპირველესად შეიმჩნევა თავისუფალი, არასრულყოფილი კონკურენციის ორი ძირითადი წინაპირობა:

- ბაზარზეა წვრილ გამყიდველთა (საქონელმწარმოებელთა)

დიდი რიცხოვნობა, მაგრამ თითოეულ მათგანს არ გააჩნია საკმარისი რაოდენობით პროდუქტები, რომ მოახდინონ გავლენა ბაზრის გაჯერე-ბაზე და ფასებზე;

- საქონელმწარმოებლებს შეუძლიათ თავისუფლად შესვლა ბაზარზე და უკან ასევე გამოსვლა.

2. აგრარული სექტორის მეორე არსებითი თავისებურება მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების გამოყენების ხასიათშია. მიწათმოქმედებაში გამოიყენება ნიადაგის ნაყოფიერება, რომლითაც იკვებება მცენარე და იგი მიწის ეკონომიურ ნაყოფიერებაში გამოიხატება და ეს ნიადაგის უმნიშვნელოვანესი ნიშანთვისებაა. ამავე დროს, სამრეწველო წარმოებაში მიწა გამოდის შენობებისა და ნაგებობების გაადგილებისა და განლაგების საფუძვლად. მიწა დღემდე რჩება სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთ შეუცვლელ და განსაზღვრულ საწარმოო საშუალებად, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ელასტიურობა მაღალია. წარმოება, რომ გავაფართოვოთ, აუცილებელია გავადიდოთ დასამუშავებელი მიწის ფართობი, რომელიც მოითხოვს დიდ საწარმოო დანახარჯებს, რაც ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება. თუმცა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში რეალურად შესაძლებელია მისი განხორციელებაც. სამწუხაროდ ეს ჩვენთან ნაკლებად შესაძლებელი ხდება, რადგან მცირეა აგრარულ წარმოებაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა. ეს განსაკუთრებით ითქმის აგრარული რეფორმის არასწორი კურსით გატარების პირობებში. როგორც ვხედავთ, ჩვენთან მიწა დიდხანს რჩება ძირითად და შეუცვლელ, თანაც რაც მთავარია, მეტად ზემოქმედ საშუალებად. ამავე დროს, წარმოების გაფართოება შეზღუდულია, რადგან მისი ფართობი მოცულობით

განსაზღვრულია. ეს კი წარმოშობს მიწის რენტის ფენომენს, რაც აგრარული ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს.

კვლავ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კულტურულ მცენარეთა მოყვანისას ადამიანები ჩვეულებრივ იყენებენ ნიადაგის მექანიკურ, ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს და პრაქტიკული მიზნების შესაბამისად აიძულებენ მათ იმოქმედონ, როგორც შრომის საგნებმა. ამასთან მიწას სავსებით განსხვავებული მნიშვნელობა აკისრია სოფლის მეურნეობაში, როგორც აღვნიშნეთ, ის არის არა მარტო მისი არსებობის აუცილებელი პირობა, არამედ აქტიური ფაქტორიც. წარმოების პროცესი სოფლის მეურნეობაში დაკავშირებულია უშუალოდ მიწასთან, ნიადაგის ნაყოფიერებასთან, ბუნებრივ და ბიოლოგიურ პროცესებთან. აქ ბუნებრივ-ბიოლოგიური პროცესები დიდადაა გადახლართული ეკონომიკურ პროცესებთან, ზემოთაღნიშნული ჩვენთან კიდევ უფრო რთულად წარიმართება, რაც განსაკუთრებით საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის განმსაზღვ-რელი მნიშვნელობის ხასიათის მატარებელი ხდება.

3. ცნობილია და ნაწილობრივ ზევითაც აღვნიშნეთ, რომ სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიას საფუძვლად უდევს ბიოლოგიური, ე.ი. მცენარეთა და ცხოველთა ზრდა-განვითარების პროცესების გამოყენება. მრეწველობაში კი ტექნოლოგიას საფუძვლად უდევს მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური და სხვა პროცესების გამოყენება. ეს განსხვავება არ გაქრება, სანამ არსებობს სოფლის მეურნეობა, სამრეწველო საფუძველზეც რომ ვაწარმოებდეთ მას. ჯერჯერობით, აქ ერთგვაროვნება არ არის, იგი უნდა ვეძიოთ სწორედ ტექნოლოგიური პროცესების რეგულირების დონეებში. მრეწველობაში სავსებით მოწესრიგებულია ყველა მექანიკური

და სხვა ზემოთაღნიშნული პროცესები. მასზე ზეგავლენას ვერ ახდენენ ბუნების სტიქიური ძალები. სოფლის მეურნეობა კი განიცდის ბუნებრივი და სხვა გარემო პირობების აქტიურ გავლენას. რა თქმა უნდა, აგროტექნიკის სრულყოფის, სოფლის მეურნეობის ხელახალი აღჭურვის კვალობაზე ეს გავლენა მცირდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვერ შევძლებთ მთლიანად დავიმორჩილოთ ბიოლოგიური პროცესები იმგვარად, როგორც ეს მრეწველობაში ხდება. იმ განვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც აგრარული ეკონომიკის გაძღოლის მაღალი კულტურა არსებობს, ბუნების უარყოფითი ზეგავლენა იქაც კი განმსაზღვრელია: გვალვა, წყალდიდობა, მცენარეთა მავნებლები და ცხოველთა დაავადებები აპირობებს აგრარულ სექტორში კაპიტალის ჩადების უდიდეს რისკს, რაც სხვა დარგებში თითქმის მთლიანად გამორიცხულია.

4. მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების თავისებურება, მისი სივრცობრივი მოცულობის განსაზღვრულობასთან ერთად, არის ის, რომ იგი არა მობილურია ე.ი. შეუძლებელია მისი გადანაცვლება ერთი ადგილიდან მეორეზე. ამიტომაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიკაციის შესაძლებლობები მკვეთრად შეზღუდულია.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების სრულად დანერგვის მიუხედავად, ეკონომიკის სხვა სექტორებთან შედარებით, სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ბევრად შეზღუდულია შესაძლებლობები, სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე ფასების გაზრდის კუთხით, რაც თავისუფლად შეგვიძლია გავაკეთოთ მაგალითად ავტომრეწველობაში, ცალკეული მისი ახალი სახის მოდელის გამოშვებისას. ამის გამო, პარიტეტი სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და

მრეწველობის სხვა დარგებს შორის რჩება სოფლის მეურნეობის დარგის საზიანოდ და მრეწველობის სასარგებლოდ, რაც სერიოზულ დამაბრკოლებელ მუხრუჭად რჩება ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელთა საბოლოო პროდუქტი, სასურსათო პროდუქციაა და მრეწველობისათვის ნედლეული. აქედან სასურსათო პროდუქტები ნომერ პირველი აუცილებელი სასიცოცხლო პროდუქტია, მაგრამ ფასების მოხმარების ელასტიურობა მასზე, როგორც წესი, დაბალია. მოხმარებულ ნედლეულს და მასალებს იძენენ ფასების ზრდის ან შემცირების, თუნდაც მისი უცვლელობის პირობებში. გაანგარიშებით დამტკიცე-ბულია, რომ ფასების ელასტიურობის კოეფიციენტი ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში 0.20-0.25-ია, აქედან გამოდის, რომ თუ ფერმერმა გაზარდა პროდუქციის გასაღების მოცულობა 10%-ით, მაშინ უნდა შეამციროს მისი ფასები სულ მცირე 40-45%-მდე, თუ არა და სასურსათო პროდუქტების წარმოებას ვერ გაზრდის ზემოთ აღნიშნული მოცულობით. ეს აგრარული სექტორის განუვითარებლობის ერთ-ერთი მიზეზია. ამდენად, საზოგადოებისათვის დასაშვებ პარამეტრების ფარგლებში რეგულირების არარსებობამ და დაუსაბუთებელმა პროპორციებმა გაცვლის სფეროში, მიგვიყვანა ეკონომიკის კრიმინალი-ზაციამდე, რაც ხელს უშლის წარმოების ამაღლებას და საერთოდ აგრარული ეკონომიკის განვითარებას.

6. სოფლად მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო საქონელზე თანდათანობით რჩება მუდმივი ან უმნიშვნელოდ იცვლება, ხოლო ამ დარგიდან შემოსავლები კი მცირდება. ამის გამო სურსათის მოხმარებისათვის დღეს იხარჯება საოჯახო შრომის ბევრად მეტი

შემოსავალი. ამას ემატება ისიც, რომ საოჯახო შემოსავლები ჩამორჩება სასურსათო მოთხოვნილებებს და მათ შორის ეს დისპროპორცია კი არ მცირდება, არამედ იზრდება. ამას ძირითადად აპირობებს ის, რომ განსხვავებით სხვა დარგებისაგან, სოფლის მეურნეობაში არც ერთი ეკონომიკური მექანიზმის ძირითადი ბერკეტი (საგადასახადო, საბაჟო, საფინანსო, საკრედიტო, სადაზღვევო, სუბსიდირება) არ ფუნქციონირებს ეფექტური ბაზრის რეჟიმში, თუ მას განვიხილავთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და შრომის სტიმულირებასთან მიმართებაში.

7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოთხოვნისა და ფასების არასტაბილურობა საერთო ჯამში დიდადაა დამოკიდებული ბუნებრივ ფაქტორებზე და იგი რასაკვირველია დააჩქარებს საქონელმწარმო- ებელთა კონკურენციას, წარმოშობს ახალ წინააღმდეგობებს და ფერმერთა მოკლევადიან პრობლემებსაც, რაც თავისთავად ცხადია გაზრდის საბაზრო კონიუნქტურას. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ მომავალში მოთხოვნილებების უმნიშვნელო ცვლილებაც კი უეჭველად გამოიწვევს დიდ ნახტომს მის ფასებში. თავისთავად ეს ფერმერთა შემოსავლებში დიდ ცვლილებებს განაპირობებს. აქ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება გადავიდა გლეხურ და საოჯახო მეურნეობაში, სადაც წარმოება ძირითადად დაფუძნებულია ხელით შრომაზე. რაც უარყოფითად მოქმედებს წარმოების მასშტაბებზე, თუ იგი ასე გაგრძელდა, შემცირდება სამამულო საქონელწარმოება და შესაბამისად გაუარესდება ცხოვრების დონე.

8. წარმოების საერთო ეკონომიკური კრიზისის შედეგად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი ვერ უზრუნველყოფს წარმოების საშუალებებისა და მომსახურების ორგანიზებული და სრულყოფილი

ბაზრის შექმნას. მისი ფორმირება ჩვენთან მიმდინარეობს სტიქიურად და უსისტემოდ. ამჟამად არსებული საბაზრო მექანიზმი ვერ ახდენს, ან სუსტად არეგულირებს მეურნეობრივ კავშირებს პირველ რიგში ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. ამიტომ საქართველოს აგრარული ბაზრის განვითარებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა:

- ფასების პარიტეტი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციაზე;
- ინფლაციის დინამიკა;
- უმუშევრობა;
- მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნილება;
- საბიუჯეტო პოლიტიკა;
- საგადასახადო პოლიტიკა;
- სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების მართვის მდგომარეობა.

ყოველივე ეს, ჩვენთან სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე უარყოფითი მიმართულებით მოქმედებს.

ამას უნდა ვებრძოლოთ სახელმწიფოს მიერ აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისადმი პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებით, ახალი, სწორი, ამ ეტაპზე მისაღები აგრარული პოლიტიკის გამოყენებით და ცხოვრებაში გატარებით.

საბოლოოდ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლის არასწორი სისტემის გამოყენებამ, შრომის არასწორმა მოტივაციამ და

მეწარმეთა ფენის წარმომშობი გარემო პირობების უქონლობამ, აგრარული ეკონომიკის ზემოთ აღნიშნულმა სპეციფიკური თავისებურე-ბების არასწორი მიმართულებით გამოყენებამ, ქვეყნის სოფლის მეურნეობა დახშული წრის ორბიტაში მოაქცია. ვფიქრობთ, სერიო-ზული მიზანმიმართული და კომპლექსური ღონისძიებებია გასატარე-ბელი ამ წრიდან თავის დაღწევის და გაფართოებული კვლავწარ-მოებითი პირობების დამკვიდრებისათვის. ყველაფერი ეს სახელმ-წიფოებრივი რეგულირების სისტემამ უნდა დაარეგულიროს და განამტკიცოს.

1.2. აგრარული სექტორის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში

სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური რესურსების პოტენციალი ძირითადად მიწის ფონდის, სხვა ძირითადი საშუალებების და შრომითი რესურსების ერთობლიობას ემყარება. ეკონომიკური რესურსები ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე და უცვლელი წარმოების საშუალებებია; დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საშუალებების გონივრულ გამოყენებას, რათა ყოველი რესურსის ერთ ერთეულზე მივიღოთ რაც შეიძლება მეტი ამონაგები. იგი მომავალში სტრატეგიული ეკონომიკური ამოცანაა და მისი განხორციელება, ძირითადად, უზრუნველყოფს პერსპექტივაში ახალ წარმატებებს.

ცნობილია, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, თუ ეკონომიკურ რესურსებს სწორად გამოვიყენებთ, ჩვენი პლანეტის მოსახლეობამ თავისუფლად შეიძლება მატერიალური და კულტურული ცხოვრების მაღალ დონეს მიაღწიოს,

მაგრამ ისიც ცნობილია, თუ როგორ აბრკოლებს მისი არარაციონალური გამოყენება ამ მიზნის შესრულებას. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკურ რესურსები დღეს არარაციონალურად გამოიყენება, მაგრამ მისი გამოყენების პესპექტივები კიდევ უკეთესია.

საქართველოს აგრარულ სექტორში ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასებისას, პირველ რიგში, მხედველობაში მისაღებია მისი მთიანი, ვერტიკალური და რთული რელიეფი. სოფლის მეურნეობაზე საქართველოს მთიანი რელიეფის ზეგავლენას მრავალი გამოხატულება აქვს. რელიეფის ხასიათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ იგი ამცირებს სასოფლო სამეურნეო მიწების ფონდს, ასუსტებს ტექნოლოგიურ პროცესებში მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობებს, ზრდის პროდუქციის წარმოების შრომატევადობას და მასალატევადობას. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენთან წარმოდგენილია ისეთი სპეციფიკური კულტურები (ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, ვენახი, ხეხილი, ეთერზეთოვანი და სხვა ტექნიკური კულტურები), რომლებიც ხასიათდება დიდი შრომატევადობით, მკვეთრად ლოკალიზებულია და განსაკუთრებულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს მოითხოვს, მიწის ასეთი განსაზღვრულობა და ქვეყნის სოფლის მეურნეობის კიდევ სხვა დამახასიათებელი უარყოფითი თვისებები, როგორიცაა მცირემიწიანობა, წვრილკონტურიანობა და სხვა მხარეები დღის წესრიგში აყენებს ჩვენთან ამ საწარმოო საშუალებების უფრო რაციონალურად გამოყენების გზების ძიების აუცილებლობას. ეს საკითხი დღეს ადრინდელზე უფრო მწვავედ დგას და მომავალში კიდევ უფრო მწვავედ დადგება.

ჩვენს ქვეყანაში ეს ამოცანები ადრე პრაქტიკულად ხორ-ციელდებოდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და დამუშავებაში მყოფი მიწების უკიდურესი სიმცირისა და რთულ ეკონომიკურ პირობებში, რამაც დღეს მწვავედ დააყენა მიწის რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლის საკითხი.

სამხრეთული და ტექნიკური კულტურების სწრაფმა განვითარებამ გარკვეულად დააყენა სოფლის მეურნეობის დარგების ოპტიმალუ-რი შეთანაწყობის საკითხი, არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინებით.

დღემდე ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მხრივ სერიოზული დისპროპორცია იყო. დღესაც გრძელდება ეს პროცესები. მრავალწლიანი კულტურების მთლიან პროდუქციაში ხვედრითი წილის ზრდის პარალელურად, მიმდინარეობდა სახნავის, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების ფართობების მკვეთრი შემცირება, კარტოფილისა და ბოსტნეულის ფართობების უმნიშვნელო ზრდა და საკვები კულტურების ფართობების სტაბილიზება, ანუ შეზღუდული ზრდა იმ კულტურათა ფართობისა, რომლებზეც უშუალოდაა დამოკიდებული ქვეყნის სასურსათო ფონდის შექმნა. საქართველოს დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა აქვს. იგი უხსოვარი დროიდან ვითარდება, რაც განპირობებულია მრავალფეროვანი, რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობებით.

ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოტანა თავის გავლენას ახდენდა წარმოების სპეციალიზაციაზე, ქვეყნის მთელ ეკონომიკაზე.

ამ ცვლილებებმა უდაოდ დადებითი გავლენა მოახდინა სტრუქტურული თვალსაზრისით. სოფლის მეურნეობის განვითარებამ ძირითადად ორი სტრატეგიული მიმართულება მიიღო. ჯერ ერთი გამოიკვეთა ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში. ეს დარგებია: მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა. მეორეს მხრივ დაჯგუფდა ე.წ. „სასურსათო მნიშვნელობის" დარგები: მემარცვლეობა, მებოსტ-ნეობა, მეკარტოფილეობა. მეცხოველეობა, რომელთანაც შეთანაწყო-ბილია ტექნიკური და საკვები კულტურების წარმოება.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკური გარემო თავისი სირთულისა და მრავალწახნაგოვნების გამო განსაკუთრებული ნიშანთვისებითა და თავისებურებით ხასიათდება, რომელსაც არ მოეძებნება ანალოგი სხვა დარგებსა თუ სფეროში.

ეს თავისებურებები, შესაბამისი გარემოებებიდან და ობიექტური პირობებიდან გამომდინარე შემდეგია:

- სოფლის მეურნეობის განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული მიწისა და ბუნებრივი გარემოს გამოყენებასთან. ამასთან მიწის რესურსები შეზღუდულია, თუმცა ნაყოფიერების ამაღლების თითქმის მუდმივად მზარდი პოტენციალი გააჩნია;
- წარმოების პროცესის სირთულე და მრავალწახნაგოვნება, რაც

განპირობებულია მრავალმხრივი ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორისა და პირობის ზემოქმედებით, რაც დიდად განსხვავდება რეგიონულ და მიკრორეგიონულ ჭრილში;

- სეზონურობა სოფლის მეურნეობაში წარმოების პერიოდი და სამუშაო პერიოდი ერთმანეთს არ ემთხვევა;
- სოფლის მეურნეობაზე გავლენას ახდენს არამარტო ეკონომიკური, არამედ ბიოლოგიური კანონებიც;
- კაპიტალურ დაბანდებათა ბრუნვის ციკლი მიმდინარეობს გაცილებით ნელა, ვიდრე მრეწველობაში;

ამრიგად, სოფლის მეურნეობის ეკონომიკური გარემოს და შესაბამისად ტექნოლოგიური გარემოს მართვა საკმაოდ სპეციფიკურ, კომპლექსურ-ინტეგრირებულ და მომავალზე ორიენტირებულ მიდგომას მოითხოვს.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური გარემო და შესაბამისად, რომელია მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტები და განმსაზღვრელი კრიტერიუმები:

- ეკონომიკური რესურსები, რომელიც მოიცავს და ამასთან ვლინდება მიწის, საწარმოო ტექნიკური და შრომითი რესურსების გამოყენებაში;
- მატერიალური რესურსები;
- წარმოების გაადგილება და სპეციალიზაცია, რომელსაც განსაზღვრავს და განაპირობებს ბუნებრივი პირობები, საბაზრო მოთხოვნები და მოტივაციები, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა;
- წარმოების ინტენსიფიკაცია;
- მენეჯმენტი;

- სამეურნეო რისკი და მისი მართვა;
- ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- ინოვაციური სისტემა (დაბანდებები).

სოფლის მეურნეობის განვითარების ფაქტიური მდგომარეობის, ძირითადი ტენდენციებისა და კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ უკანასკნელ წლებში, გარკვეული დადებითი ცვლილებები მოხდა ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს გამოყენებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ 2003 წელთან შედარებით, 2008 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 6,8 %-ით და შეადგინა 2202,9 მლნ ლარი. მ.შ. მემცენარეობამ – 918,1, მეცხოველეობისამ – 1227,2, ხოლო მომსახურეობამ – 57, 2 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ხორბლის წარმოება შესაბამის პერიოდში შემცირდა 3,4 კგ-ით, კარტოფილის 5,3 კგ-ით, ბოსტნეულის 6,3 კგ-ით, ხორცის 1,3 კგ-ით, რძის 1,8 კგ-ით, სიმინდის 3,1 კგ-ით, ყურძნის 0,6 კგ-ით, კვერცხის 0,6 ცალით.

გამოვლინდა, რომ 2000-2008 წლებში მემცენარეობის დარგებთან შედარებით უფრო სტაბილურად იზრდება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მემცენარეობის დარგის ხვედრითმა წილმა 2008 წელს 41% შეადგინა, როცა იგივე მაჩვენებელი 2003 წელს 53,9%-ს შეადგენდა, რაც გამოწვეულია მეხილეობის, მებოსტნეობის, მარცვლეულისა და კარტოფილის წარმოების მკვეთრი შემცირებით. მეცხოველეობის დარგის ხვედრითი წილი 56%-ია, იგივე მაჩვენებელი 2003 წელს 46.1%-ს

შეადგენდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქაც სახეზე გვაქვს ხორცის, რძისა და კვერცხის წარმოების მოცულობების შემცირება. (იხ. დანართი 1).

სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის ერთადერთი დარგია, რომელშიც 2003 წელთან შედარებით წარმოების მოცულობა კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა კიდეც. წლიდან წლამდე მცირდება სოფლის მეურნეობის წილი ქვეყანაში შექმნილ დამატებით ღირებულებაში. 2009 წლისთვის იგი 1995 წელთან შედარებით ზუსტად 4-ჯერ, ხოლო 2003 წელთან შედარებით 2,.3 ჯერ შემცირდა და მხოლოდ 8.3% შეადგინა.

როგორც შესაბამისი გათვლები და სოფლის მეურნეობის სიტუაციური ანალიზი ადასტურებს, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის არსებული არასტაბილური დონე გარკვეული დროის მანძილზე კვლავ იქნება შენარჩუნებული, ვიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ყოფილი და ახალი ბაზრების დაბრუნებით არ იქნება მიღწეული მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, მეჩაიეობის და მეციტრუსეობის დარგების განვითარების ოპტიმალურად რეალური და ამასთან, მისაღები პირობები და მასშტაბები.

მძიმე ეკონომიკური პირობების და იმის გამო, რომ არ არსებობს გარანტირებული სასურსათო ბაზარი, მოსახლეობა უპირატესობას ანიჭებს ისეთი სასურსათო პროდუქტების წარმოებას, როგორიცაა: მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქცია.

ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები ვლინდება მეცხოველეობის დარგის განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში, 2008 წლის მდგომარეობით, ირიცხება:

მსხვილი რქოსანი პირუტყვი 1045,5 ათასი სული (2000 წლის 1177,4 ათასის ნაცვლად); მ.შ. ფური 560,6 ათ. სული. (2000 წლის 646,3 ათასის ნაცვლად); ღორი 86,4 ათ. სული. (2000 წლის 443,4 ათასის ნაცვლად); ცხვარი და თხა 115,0 ათ. სული. (2000 წლის 627,6 ათასის ნაცვლად); ფრინველი 6,7 მლნ. ფრთა (2000 წლის 7,8 მლნ. ფრთის ნაცვლად) (იხ. დანართი 2).

როგორც ირკვევა, საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში 2008 წლის ბოლოსათვის 2000 წლის ამავე პერიოდთან შედარებით დიდი რაოდენობითაა შემცირებული ღორის (80,5%-ით), ფრინველის (14,1%-ით) და ფურის და კამეჩის (13,3%-ით) მთლიანი სულადობა.

ფრინველის სულადობის შემცირება გამოიწვია ქათმის გრიპმა, ხოლო ღორის სულადობის შემცირება კი აფრიკულმა ცხელებამ. თითქმის ანალოგიური სურათია საქართველოს მხარეების მიხედვითაც, იმ განსხვავებით, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 2003-2008 წლებში იზრდება: ქვემო ქართლში – (13,3%-ით); სამეგრელო ზემო სვანეთში (3%-ით); მცხეთა მთიანეთში (0,8%-ით).

საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში პირუტყვის და ფრინველის სულადობის შემცირებასთან ერთად, მცირდება და ძალზე დაბალია მათი პროდუქტიულობაც. მაგალითად, ხორცად რეალიზებული ერთი სული პირუტყვის საშუალო წონა მსხვილ რქოსან პირუტყვში 2000-2008 წლებში შემცირდა 13%-ით, ღორის 7,1%-ით, საშუალო კვერცხმდებლობა იგივე პერიოდში შემცირდა 7,8%-ით. ფურის საშუალო წლიური წველადობა შესაბამისად 935-1031 კგ-ს არ აღემატებოდა. პროდუქტიულობის ასეთი დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი ისაა რომ მეურნეობათა უმრავლესობა დაკომპლექტებულია დაბალპროდუქტიული

პირუტყვით და მათი კვება არასრულფასოვანი საკვებით ხდება. ვერ ამზადებენ სილოსს და სენაჟს, პირუტყვის რაციონიდან ამოღებულია საკვები ძირხვენები და კომბინირებული საკვები. ამასთან, მთლიანად მოშლილია სანაშენე მეურნეობა და ვერ ხორციელდება ჯოგის ჯიშობ-რივი გაუმჯობესება.

საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში, პირუტყვისა და ფრინველის სულადობისა და მათი პროდუქტიულობის შემცირების კვალობაზე მნიშვნელოვნად მცირდება მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დონე.

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურისა და დამუშავებაში მყოფი მიწების ათვისებისა და გამოყენების დონის შესაბამისად, 2008 წლის მონაცემებით საქართველოში მთლიანად წარმოებულია (ათას ტონობით): მარცვლეული – 457,8 (2003 წლის 754-ის ნაცვლად) მ.შ. ხორბალი 80,3 (225-ის ნაცვლად); კარტოფილი 193,4 (425-ის ნაცვლად); ხორცი 53,7 (108,6-ის ნაცვლად); რძე და რძის პროდუქტები 694,6 (765-ის ნაცვლად). (იხ. დანართი 3)

მეურნეობის ფორმების მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ანალიზიდან ჩანს, რომ ხორცის წარმოების -91,3. რძის – 99,8, ხორბლის – 86, კარტოფილის ხილის ციტრუსების და ბაღჩეულის – 100% წარმოებულია ოჯახურ მეურნეობებში. მხოლოდ კვერცხის წარმოებაშია გამოკვეთილი სასოფლო სამეურნეო საწარმოთა მაღალი ხვედრითი წილი 59,7%. რაც მიგვანიშნებს აგრარულ სექტორში მეწარმეობის განვითარების დაბალ დონეზე.

უკანასკნელ წლებში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია

საქართველოში შექმნილმა არახელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა. 2008 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2003 წლის მონაცემებს. აგროტექნიკური ღონისძიებების არასათანადო დონეზე ჩატარებამ, საწვავის, სასუქების, შხამქიმიკატების დაბალმა ხარისხმა და მაღალმა ფასებმა, ტექნიკურად და მორალურად მოძველებულმა ტექნიკის გამოყენებამ და სხვა, ძირითადად განაპირობა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობის შემცირება. 2000, 2003, 2008 წლებში მარცვლეულის მოსავლიანობა შეადგენდა: 13,5; 20,3 და 19,4 ც/ჰა მ.შ. ხორბალის - 10,7; 19,3 და 16,8; სიმინდის – 16,2;24,2 და 22,9; კარტოფილის 89,0;116,6 და 79,9; ბოსტნეულის 93,4; 110,2 და 58,9 ც./ჰა. (იხ. დანართი 4).

2003-2008 წლებში გაიზარდა სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის ღირებულება (მიმდინარე ფასებში) საშულოდ ქვეყანაში 6,8%-ით, იმერეთში – 21,3%-ით, სამეგრელო ზემო სვანეთში – 24,5%-ით, გურიაში – 17%-ით, რაჭა-ლეჩხუმში – 14,5%-ით, შიდა ქართლში – 19,2%-ით, მცხეთა მთიანეთში – 10,2%-ით, ხოლო კახეთში – 31%-ით. ზრდის ტენდენციაა გამოკვეთილი აჭარაში (27,1%), სამცხე ჯავახეთში (18,2%), ქვემო ქართლში (7,4%).

ჩატარებული კვლევის შედეგად შეფასდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა, შემდეგი მახასიათებლე-ბის მიხედვით: სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1 ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგულზე, 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე, ზრდისა და მატების ტემპების დადგენით (დანართი 5,6.).

ანალიზით დადგინდა, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და 1 ჰა

დამუშავებაში მყოფ მიწაზე ზრდის ტენდენციით ხასიათდება (რაც გამოწვეულია ფასების ზრდით). თუ 2000 წელს 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიღებული იყო 541 ლარის პროდუქცია და 1 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე 1538 ლარის, აღნიშნული მაჩვენებლები 2008 წელს შესაბამისად გაიზარდა 798 (147,5%) და 2279 (148,1%) ლარამდე. მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნება ზრდის ტენდენცია, ყოველწლიური მატება დაბალია და შეადგენს 32 და 93 ლარს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანობის მაღალ დონეს.

მიწათმოქმედებაში ზემოთ აღნიშნული დისპროპორციების დაძლევა მოითხოვს:

- აუცილებლად ხელი უნდა ავიღოთ სახნავი ფართობის სისტემატურ შემცირებაზე და გავადიდოთ ადგილობრივი დამუშავებაში მყოფ მიწები, ახალი მიწების ათვისების ხარჯზე (დაჭაობებული მიწების დაშრობა და უვარგისი ბუჩქების ამოძირკვა);
- მრავალწლიანი კულტურების განვითარების მაღალი ტემპი უზრუნველვყოთ ინტენსიფიკაციისა და პირველ რიგში მეჩხერიანობის სრული ლიკვიდაციის ხარჯზე. მათი ფართობის გადიდებისას, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ქვეყნის რეალური შესაძლებლობა და ამ დარგების სხვა დარგებთან ოპტიმალური შეთანაწყობის აუცილებლობა;
- განსაკუთრებით დავაჩქაროთ მეცხოველეობის განვითარების ტემპები, საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებით და სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში მათი ხვედრითი წონის დაბალანსებით, სამთო მეცხოველეობის განვითარებით, ბუნებრივი საძოვრებისა და სათიბების გამოყენების ბაზაზე;

- ქვეყნის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის სხვა ღონისძიებებთან ერთად, საჭიროა გრძელვადიან პერსპექტივაში ადგილობ-რივი მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპი გაიზარდოს ერთიორად, უკანასკნელ 15 წელში მიღწეული საშუალო წლიური ზრდის ტემპთან შედარებით. ამასთან, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურაში მიღწეული იქნეს მემცენარეობის პროდუქციის ხვედრითი წილის ამაღლება. ჩვენი გაანგარიშებით ამ დარგის ხვედრითი წილი შეიძლება ამაღლდეს 60 პროცენტამდე.

ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის აუცილებელი ფართომასშტაბიანი ეკონომიკური აღორძინების წინაპირობები თავისთავად არ იქცევა სრულ რეალობად, მას უნდა ჩამოცილდეს დაბრკოლებების ფაქტორები და ამოქმედდეს არსებულ შესაძლებლობათა ხელშემწყობი ძალები და პირობები. ამ თვალსაზრისით, აგრარულ სექტორში ახლანდელ სიტუაციაში წინა პლანზე გამოდის გარე ფაქტორები, რომლებიც საფუძველს უქმნიან, ბიძგს აძლევენ ეკონომიკური ფაქტორების ამოქმედებას და გაძლიერებას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობა წარმოადგენს რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მოქმედების შედეგს. კერძოდ:

- დღემდე არ არის შემუშავებული დარგის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია;
- აგრარული სექტორის დაფინანსება უნდა გაიზარდოს მინიმუმ 5-ჯერ;

- უნდა შეიქმნას აგრარულ წარმოებაში კომერციული რისკების და ქონების დაზღვევის გამართული და ეფექტიანად ფუნქციონირებადი სადაზღვევო სისტემა სახელმწიფოს მონაწილეობით.
- ფერმერებისათვის დაბალპროცენტიან და გრძელვადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობა;
- სოფლად საინჟინრო და აგროსერვისული მომსახურების თანამედროვე სისტემის შექმნა;
- უნდა შემუშავდეს საქართველოს ეროვნული ბაზრის დაცვის მექანიზმი საზღვარგარეთიდან შემოტანილი იმ სასურსათო საქონლისაგან, რომელსაც ადგილობრივი მეწარმეები ქმნიან;
- სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ფერმერული მეურნეობების, კოოპერატივების და ასოციაციების შექმნას;
- უნდა შეიქმნას საკონტრაქტო ურთიერთობათა სისტემა, რომლითაც განისაზღვრება სასურსათო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთები და განხორციელდება ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;
- უნდა შეიქმნას საშუამავლო სტრუქტურები, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე კავშირს სოფლის საქონელმწარმოებლებსა და პროდუქციის რეალიზატორებს შორის;

სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის საფუძველზე შესაძლებელია საქართველოს აგრარული სექტორის აღმავლობა, რაც გააძლიერებს სახელმწიფოს ეკონომიურ საფუძვლებს და ხელს შეუწყობს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

1.3. ეკონომიკური რესურსები და წარმოების მასშტაბების ზრდის პოტენციური შესაძლებლობები ფერმერულ მეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია უდავოდ პროგრე-სული მოვლენაა, რომლის შედეგადაც ქვეყანაში ჩამოყალიბდა მიწის მესაკუთრეთა გლეხთა და ფერმერთა ფენა, რაც აუცილებელი პირობაა აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ფერმერული მეურნეობა წარმოადგენს რა შედარებით მცირე სიდიდის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ხასიათდება სამეურნეო სისტემის მაღალი ელასტიურობით და გამძლეობით. იგი ადვილად ეგუება საბაზრო ურთიერთობებს. სწრაფად რეაგირებს ბაზრის ნებისმიერ ტენდენციაზე, ნაკლებად არის დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკაზე.

ამ და სხვა მთელი რიგი უპირტესობებისა და დროის მოთხოვნებზე მორგებულობის გამო, საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების მაგისტრალური და სტრატეგიული მიმართულებაა. მითუმეტეს, რომ ასეთი მეურნეობა მიწის რაციონალურად გამოყენების საკმაოდ ეფექტური ფორმაა, რასაც მცირემიწიანი საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა განვითარებისათვის გეოგრაფიულად ხელშემწყობი პირობები შეზღუდულია. ეს აიხსნება მთაგორიანი რელიეფით, მთიან რეგიონებში სახნავი მიწების მცირე ხვედრითი წილით, ნაკვეთების ვიწრო კონტურიანობით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მრავალფეროვნებით, წარმოების

მექანიზაციის სპეციფიკურობით, რომელიც მორგებული უნდა იყოს ნაკვეთების კონფიგურაციას, მთიან რელიეფს, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის თავისებურებებს.

საქართველოს, ზონალურად მკვეთრად განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში და შესაბამისად, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მკაცრად დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობის გამო, მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით მთიან და მთისწინა ზონებში ფერმერული მეურნეობების შექმნა მეტად ეფექტური და გამართლებულია.

შეიძლება ითქვას, რომ ფერმერული მეურნეობები საქართველოში ჩამოყალიბების საწყის სტადიაში იმყოფება.

როგორი უნდა იყოს მათი განვითარების შემდგომი მიმართულებები და ეტაპები?

ფერმერული მეურენობების განვითარების ტენდენციებზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ფერმერული მეურნეობების ფორმირებისა და განვითარების პროცესი მსოფლიოს ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში.

ევროგაერთიანების სტატისტიკური სამსახურის **(EUROSTAT)** მონაცემებით, ევროგაერთიანების ქვეყნებში ერთი ფერმერული მეურნეობის სარგებლობაში არსებული სავარგულების საშუალო სიდიდე 17,4 ჰექტარია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი კი 5%.

თუ შევადარებთ საქართველოს აგრარული სექტორისა და ფერმერული მეურნეობების სტრუქტურულ მაჩვენებლებს ამერიკის შეერთებული შტატების და ევროგაერთიანების ქვეყნების მონაცემებს, მაშინ შემდეგ სურათს მივიღებთ: ამერიკის შეერთებული შტატების ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ

126 მაცხოვრებელს. გერმანიაში საშუალოდ 144 მაცხოვრებელს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ 51-ს, ხოლო საქართველოში კი, თუ დამატებული ღირებულების რეალურ მოცულობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოჩნდება, რომ დღევანდელ პირობებში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაც კი არ ძალუძს, და რომ არა საქმიანობის სხვა არააგრარული სახეობები სოფლად შიმშილი დაისადგურებდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ გამოყენებული სასოფლო სამეურნეო სავარგულის საშუალო სიდიდე 190,2 ჰა-ს შეადგენს, გერმანიაში შესაბამისად – 30,3 ჰა-ს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ–17,4 ჰა-ს, ხოლო საქართველოში კი – მხოლოდ 1,5 ჰა-ს.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა ამერიკის შეერთებული შტატებში 2,9 მლნ. კაცს შეადგენს, რაც დასაქმებულთა 1,6 %-ია, გერმანიაში – 2,9%-ს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ – 5,0%-ს, ხოლო საქართველოში კი – 63%-ს.

ფერმერული მეურნეობების მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ზომების მიხედვით დაჯგუფების მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებში 1-დან 5 ჰა-მდე სავარგულით სარგებლობს ფერმერული მეურნეობების ძალზედ მცირე რაოდენობა, გერმანიაში ფერმერული მეურნეობების – 31,2%, ევროგაერთიანების ქვეყნებში – 56,4 %, საქართველოში კი – 98,4%. 5-დან 50 ჰა-მდე სავარგულით ამერიკის შეერთებული შტატებში სარგებლობს ფერმერული მეურნეობების 60,4 %, გერმანიაში – 55,7%, ევროგაერთიანების ქვეყნებში – 35,1 %, საქართველოში კი –1,5%. და

ბოლოს 50 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულით ა.შ.შ.-ში სარგებლობს ფერმერული მეურნეობათა 39,6 %, გერმანიაში – 12,6 %, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ – 7,9%, ხოლო საქართველოში კი მხოლოდ – 0,14%.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ფერმერული მეურნეობები თავისი განვითარების საწყის სტადიაში იმყოფებიან. ეს მეურნეობები ჯერჯერობით არ არიან საბაზრო ურთიერთობების სრულყოფილი ნიშნების მატარებელნი. საქართველოს ფერმერულ მეურნეობათა სრულყოფისა და განვითარების პროცესს უსათუოდ სათანადო დრო და ძალისხმევა დასჭირდება.

თუ საქართველოს ფერმერული მეურნეობების განვითარების ორიენტირად ევროგაერთიანების განვითარებული ქვეყნების ფერმერული მეურნეობების სტრუქტურულ მაჩვენებლებს მივიღებთ (ვინაიდან ეს ქვეყნები საქართველოს მეტ-ნაკლებად მსგავსი ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და აგრარული ურთიერთობებით ხასიათდებიან, ვიდრე ვთქვათ თვალუწვდენელი ფართობების მქონე ამერიკის შეერთებული შტატები ან რუსეთი), საქართველოში ფერმერული მეურნეობების შემდგომი განვითარების პროცესი ისე უნდა წარიმართოს, რომ აქცენტი გამახვილდეს ფერმერული მეურნეობების კოოპერირებაზე და გაერთიანება-გამსხვილებაზე, მიწის ცივილური ბაზრის ჩამოყალიბებაზე და ყიდვა-გაყიდვის გზით მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწების გამასივებაზე, ინტენსიფიკაციაზე და ფერმერული მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვაზე.

ანალიზის საფუძველზე, შედარების და „თანაბარი პირობების დაშვების" მეთოდების გამოყენებით იკვეთება საქართველოს ფერმერულ

მეურნეობების სტრუქტურული სრულყოფის მიმართულებები: ფერმერული მეურნეობების ოპტიმალურ რიცხოვნობად საქართველოში საორიენტაციოდ მიჩნეული იქნეს 115 ათასი ერთეული – ნაცვლად 691577-ისა (ფერმერულ -გლეხურ მეურნეობათა რიცხვი, რომლებიც ფლობენ მიწებს – პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით). ე.ი. ფერმერული მეურნეობების რიცხოვნობა, მათი შემდგომ განვითარებასთან და გამსხვილებასთან ერთად, საშულოდ 6-ჯერ მაინც უნდა შემცირდეს. რათქმაუნდა, ეს ციფრი პირობითია და მისი ჩამოყალიბება საბოლოო ინდიკატურ მაჩვენებლად მხოლოდ საქართველოს ბუნებრივი პირობების დეტალურად გაანალიზების შემდეგაა შესაძლებელი.

თუ ორიენტირად ისევ ევროგაერთიანების ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს ავიღებთ, სადაც 1-დან 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულით სარგებლობს ფერმერული მეურნეობების 56,4%, ამ მაჩვენებლის შესაბამისად, საქართველოში 1-დან 5 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 64860 მეურნეობა, ნაცვლად 691577 ე.ი. მათი რიცხვი უნდა შემცირდება 11-ჯერ, ხოლო 5-დან 50 ჰა-მდე სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 40365 მეურნეობა, მეურნეობების 35,1 % ნაცვლად 10112 -ისა, ე.ი. ასეთი მეურნეობების რიცხვი უნდა გაიზარდოს საშუალოდ 4-ჯერ, ხოლო 50 ჰა-ზე მეტი სავარგულით საორიენტაციოდ უნდა სარგებლობდეს საშუალოდ 9085 ფერმერული მეურნეობა, მეურნეობის 7,9%, ნაცვლად დღევანდელი – 0,14%-ისა. ჩვენი აზრით მეურნეობების გამსხვილების პროცესი მაქსიმალურად უნდა განხორციელდეს ისეთ რაიონებში, სადაც

ამისათვის შესაბამისი ბუნებრივი პირობებია, შუა ბარებში და მდინარისპირა ველებზე, სადაც თავმოყრილია ქვეყნის სახნავი მიწების და მრავალწლიანი ნარგავების 80%-ზე მეტი.

ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შერჩევის, ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების დაჩქარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დასაძლევად, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად, ეკონომიკის შემდგომი პროგრესისა და სახელმწი-ფოებრივი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. მისი ეს მნიშვნელობა და როლი კიდევ უფრო გაიზრდება მომავალში, საბაზრო ურთიერთობების განვითარებისა და სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ახალი დიდი ამოცანების პარალელურად, ეს გასაგებიცაა და იგი ახლავე უნდა იქნეს გამოსწორებული. მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლე-ბრივი ფორმების შერჩევის, ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე, რომლებმაც საბოლოო ანგარიშით უნდა უზრუნველყოს არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოვლენა და რაციონალურად გამოყენება, დღის წესრიგში დგას უცხოური ინვესტიციებისათვის მაქსიმალურად ხელშეწყობის საკითხი, სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების მართვის ეფექტურობის ამაღლება, ბიუჯეტში დამატებითი თანხების მოზიდვის ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება, ინსტიტუციონალური ცვლილებებისათვის კონსტრუქციული მხარდაჭერა და პრივატიზების პროცესში ჩამოყალიბე-ბულ მესაკუთრეთა და მეწარმეთა ფენისათვის ხელშეწყობა. ყოველივე ეს მოითხოვს სათანადო საკანონმდებლო, სტრუქტურულ და ადმი-ნისტრაციულ ცვლილებებს.

ამჟამად მძიმე ტვირთად აწვება სოფლის მეურნეობას ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო, საკრედიტო საფინანსო, სადაზღვევო და საბაჟო მექანიზმები, რის გამოც ფერმერთა ფინანსური მდგომარეობა კრიტიკულია. აღნიშნულის გამო ბევრმა ფერმერმა შეწყვიტა სამეწარმეო საქმიანობა.

ჩვენს მიერ ჩატარებული სტატისტიკური გამოკითხვით (გამოკითხული იქნა 250 ფერმერი აჭარაში და ახმეტის რაიონში) მეწარმეთა 46%, ახალი ფინანსების მოსაზიდად საკუთარი პარტნიორების ან ოჯახის წევრების დანაზოგებს მიმართავს, მხოლოდ 8% იყენებს საბანკო კრედიტს. გამოკითხულთა 89%-მა აჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის კრედიტს არ იძლევიან დარგში არსებული დიდი რისკის გამო, ფერმერთა მიერ გამოშვებული პროდუქცია მაინც სამამულო ბაზარზეა ორიენტირებული და მხოლოდ 12%-მდე ახერხებს ნაწილობრივ ან მთლიანად საგარეო ბაზარზე (აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის) მის გატანას, დანარჩენს საერთოდ უჭირს საკუთარი პროდუქციის გასაღება.

საქართველოში ბევრია ისეთი სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც არსით ფაქტიურად ფერმერული მეურნეობაა, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ამ სტატუსით ფუნქციონირება სათანადო იურიდიულ ბაზის არ არსებობის გამო შეუძლებელია, მოქცეულია სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩარჩოებში და ისევე იბეგრება, როგორც მრეწველობის თუ ვაჭრობის საწარმო. ეს იმ დროს, როცა ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობები მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობენ, რის გამოც ხშირად სხვა დარგის საწარმოები თავისი

კაპიტალის ნაწილს სოფლის მეურნეობაში, სწორედ ზემოთ აღნიშნული შეღავათებით სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით აბანდებენ, ამჟამად ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის სათანადო იურიდიული ბაზის შექმნას და მის საფუძველზე საგადასახადო სისტემის დახვეწას ესაჭიროება სერიოზული მიხედვა და სახელმწიფო დონეზე გადაწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებადი ბევრი სასოფლო-სამეურნეო საწარმო შეწყვეტს არსებობას, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის სოფლად მეწარმეობის განვითარებას. რეფორმები ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების შექმნისა და განვითარების საფუძველი გახდა, მაგრამ მათი ფორმირება მოხდა სტიქიურად არამიზნობრივად, ისინი დღეს თავიანთ პოტენციურ შესაძლებლობებს ვერ ავლენენ, თუმცა გატარებული რეფორმების შედეგია, რომ დღეს ეკონომიკურ რუკაზე გაჩნდა საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი ახალი მეწარმე სუბიექტი, სოფლად ჩამოყალიბდა კერძო მეწარმეთა და საქონელმწარმოებელთა ახალი ფენა-ფერმერები, სხვადასხვა ორგანიზა-ციულ-სამართლებრივი ფორმით ყალიბდება კოოპერაცია, იქმნება ახალი ფერმერული სტრუქტურები, საჭიროა ისინი ოპტიმალური სიდიდის საწარმოებამდე იქნენ ფორმირებულნი. ფაქტი ერთია, რომ მიწები განაწილებულია და მისი ხელახლა განაწილება ვერ ხერხდება, არადა მიწის რეფორმის შედეგები არ იძლევა ოპტიმალური ფორმის საწარმოთა შექმნის შესაძლებლობას.

სასოფლო სამეურნეო საწარმოთა ოპტიმალურ სიდიდედ მიჩნეულია ფერმერულ მეურნეობათა მიხედვით შემდეგი დონეები. მარცვლეულის მწარმოებელ მეურნეთათვის 200-250 ჰექტარიანი მიწის

ფართობით, მეხილეობის მიმართულების ინდივიდუალური მეურნეობები 20-25 ჰექტარიანი ფართობით. მეჩაიეობის 30-35 ჰექტარიანი, მეღორეობის 10-15 ნეზვიანი ფერმა, მათ საკუთრებაში უნდა ჰქონდეთ საჭირო საკვების წარმოებისათვის სულ ცოტა 15 ჰექტარი სახნავი. ხოლო მსხვილი რქოსან პირუტყვისათვის (სადაც იქნება 40-45 სული ფური) 50 ჰექტარი სახნავი.

როგორც ჩანს მეურნეობათა ამ სიდიდემდე მიღწევისათვის საჭიროა მიწის ბაზრის ფორმირება. იგი საშუალებას მოგვცემს მიწის ყიდვა-გაყიდვით უფრო უკეთ დავარეგულიროთ მიწათსარგებლობა, საწარმოთა ოპტიმალურ დონემდე ფორმირება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სისტემის დარეგულირებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია მიწის იჯარით გაცემას და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწების განსახელმწიფოებრიობას.

ფერმერული მეურნეობის სტრუქტურული სრულყოფის და განვითარების გზას გვკარნახობს ეკონომიკური ზრდის, მომავალზე ორიენტირებული საბაზრო მოტივაციები და ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს გამოყენების რაციონალიზაციის მოთხოვნები.

საქართველოში სოფლად ფუნქციონირებს საკუთრების სხვადასხვა ფორმის 3200 საწარმო, რომელთა შორის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით 72.2% უკავია ინდივიდუალურ მეწარმეს, ხოლო 25.7% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. აღნიშნულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში 2009წელს დასაქმებული იყო 6058 ადამიანი, რომელიც მთლიან საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებში დასაქმებუ-ლთა 1,6%-ს შეადგენს. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა საქართველოს მასშტაბით გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო

სოფლის მეურნეობაში მხოლოდ 15,9%-ით. მათ მიერ გამოშვებული მთლიანი პროდუქცია ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა 88,5%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში 2,7-ჯერ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი კი 2005-2009წლებში 1%-იან ნიშნულს ვერ ასცდა. მთლიანი პროდუქცია ერთ დასაქმებულზე ქვეყნის მასშტაბით იგივე პერიოდში გაიზარდა 89,2%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში (სამეწარმეო სფეროში) 2,3-ჯერ და შეადგენს 1794 ლარს(იხ. დანართი 7.8.9.10.)

- ფერმერთა ასოციაცია "თუშეთი" ახმეტის რაიონი სოფელი ალვანი. მასში ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად გაწევრიანებულია 17 ფერმერი.

- მიზანი: კოოპერირების გზით მიზანმიმართული მუშაობის წარმოება თუშური ცხვრის აღორძინების, პროდუქციის წარმოების ადგილობრივი გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის. მიღებული შედეგების გავრცელება თუშური ცხვრის ტრადიციული გავრცელების რაიონებში მოქმედ ფერმერულ მეურნეობებში

- ასოციაცია ფლობს 88-ჰა. სახნავს, 465 ჰა. საძოვარს, ფერმის ორ შენობას 3800 კვ.მ., მწყემსის ბინა 186 კვ.მ., ტრაქტორს და ორ სატვირთო ავტომანქანას, რძის გადამამუშავებელ მოწყობილობებს, ცხვრის სულადობა 9000.

წარმოებული პროდუქცია

დასახელება	ზომის ერთეული	I ტრანში 01.03.2004-დან 31.08.2004-მდე	II ტრანში 01.09.2004–დან 28.02.2005–მდე	III ტრანში 01.03.2005-დან 30.06.2005-მდე
რძე	ტონა	18	-	22
მატყლი	ტონა	1.4	1.7	1.6
ხორცი	ტონა	10	2	7.5
უხეში საკვები	ტონა	40	45	-
ქერი	ტონა	130	-	-
გუდის ყველი	ტონა	3.5	-	4

ფინანსური ანგარიში – გაწეული ხარჯები

დანახარჯები	ზომის ერთეული	I ტრანში	II ტრანში	III ტრანში	სულ
საქონელი	ლარი	20854	6148	5848	32850
სამუშაოები	ლარი	5724	5055	3619	14397
მივლინებები	ლარი	2543	2353	2093	6989
სწავლება დემონსტრირება	ლარი	2505	2350	1290	6145
საოპერაციო ხარჯები	ლარი	4224	3755	3449	11428
სულ	ლარი	35850	19661	16229	71809

მიღებული შემოსავლები

გუდის ყველი	ლარი	-	15000	18000	33000
ხორცი (დაკლული წონა)	ლარი	35000	10000	30000	75000
მატყლი	ლარი	2100	2550	2400	7050
სულ	ლარი	37100	27550	50400	115050

მიღებული მოგება რენტაბელობის დონე	ლარი %	1250 3,4	7889 40.1	34171 210,5	43241 60.2

სულ რეალიზებული იქნა: გუდის ყველი 5.5 ტონა, ფასი 6.0 ლარი; ცხვრის ხორცი - 15 ტონა, ფასი 5.0 ლარი; მატყლი - 4.7 ტონა ფასი 1.5 ლარი.

პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო პროდუქციის წარმოების მოცულობის გადიდებას, რომლის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა გააუმჯობესა ადგილობრივ ფერმერთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ტექნოლოგიური ნოვაციების დანერგვამ უზრუნველყო მომხმარებლისათვის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიწოდება. პროექტის დასრულების შემდეგ მისი სიცოცხლისუნარიანობის დამადასტურებელი მაჩვენებელია პროექტით გათვალისწინებული პროდუქციის წარმოებით, პირველადი გადამუ-შავე-ბით და რეალიზაციით მიღებული ეფექტი, რომლითაც დაინ-ტერესდნენ სხვა ფერმერები და იგრძნეს სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვის აუცილებლობა.

ს.ს. "ნიკორას" დამხმარე მეურნეობა, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში. ძირითადი საქმია-ნობა. მოზარდი პირუტყვის შესყიდვა 4-5 თვის ასაკში, რომელთა ცოცხალი წონა 70-130 კგ-ის ფარგლებშია. ტექნოლიგიური პროცესის მთლიანი ციკლის შესასწავლად ჩვენს მიერ შერჩეული იქნა 14 სული მოზარდი. მეურნეობას არ გააჩნია საჭირო რაოდენობის სავარგულები, აქედან გამომდინარე პირუტყვის საკვებად გამოიყენება ნაყიდი საკვები. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ 15-თვემდე ასაკის მოზარდის გამოზრდისას გაწეულ დანახარჯებში საკვების ღირებულებამ შეადგინა

74.65%. პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულია 952,2 ლარი, მოგება ერთ სულზე შეადგენს 301.7ლარს, ხოლო რენტაბელობის დონე 46.3%. 19 თვემდე მოზარდის გამოზრდისას ეკონომიკური მაჩვენებლები შეიცვალა შემდაგნაირად. საკვებზე დანახარჯებმა შეადგინა მთლიანი ხარჯების 67,7%. ეს გამოწვეულია უხეში საკვების მოხმარების გაზრდით, პირუტყვის ასაკიდან გამიმდინარე. ერთი სულის გამოზრდის ღირებულება გაიზარდა 747,3 ლარამდე, რომელიც 262 ლარით (35,1% - ით) მეტია ვიდრე 15 თვემდე მოზარდების გამოზრდისას. პირუტყვის რეალიზაციიდან ამონაგები შეადგენს - 1213,2 ლარს, რაც 261 ლარით (21,5%-ით) მეტია ვიდრე 15 თვემდე მოზარდისას. ამასთან მოგებამ ერთსულზე 239,1 ლარი შეადგინა, ხოლო რენტაბელობის დონემ 24,5%. ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 15 თვემდე მოზარდის ინტესიური გამოზრდა ეკონომიურად უფრო მომგებიანია, რადგანაც რენტაბელობის დონე შეადგენს 46,3%-ს. პირუტყვის ასაკთან ერთად მისი წონაში მატება კლებულობს და წარმოების რენტაბელობა ნაკლებ ეფექტური ხდება.

ძროხის ხორცის წარმოების ეფექტურობა (1 სულზე)

მაჩვენებლები	სუქება 15 თვის ასაკამდე		სუქება 19თვის ასაკამდე	
	რაოდენობა	ღირებულება ლარი	რაოდენობა	ღირებულება ლარი

დანახარჯი საკვებზე,				
სულ	-	485,3	-	747,3
1. ხელფასი	-	13,2	-	18
2.ელექტრო ენერგია	180	144	245,1	196,008
3. წყალი	კვტ	8	კვტ·	12,8
დანახარჯი სულ	10 მ	650,5	16 $м^3$	974,1
შემოსავალი:	-		-	
1.ტანხორცი		866,7		1105,20
2. ტყავი	192,6	360	242,6	46,5
3.სუბპროდუქტები	24,0	50,2	31,0	61,5
შემოსავალი სული:	45		54,6	
მოგება		952,2		1213,2
რენტაბელობა, %	-	301,7	-	239,1
	-	46,3	-	24,5

1999 წელს ჰოლანდიის მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს გამოეყო გრანტი სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის "ტყირი"-ს ბაზაზე ფირმა "ვია-ინტერნეიშნელთან"ერთად გოლშტინური ძროხის მოსაშენებლად. აქვე შეიქმნა რძის გადამამუშავებელი საწარმო "ნაკორუ," სადაც იწარმოება ჰოლანდიური ყველი "გაუდა"და სხვა პროდუქტები. დღეის მდგომარეობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შეადგენს 216 სულს. მ.შ. 95 ფური 63 უშობელი და 32 მოზარდი სხვადასხვა ასაკის. სას. სამ სავარგული–98ჰა

საკვები კულტურების ნათესი ფართობები(ჰექტრებში)

	ფართობი სულ	მათ შორის			
		მრავალწლიანი ბალახები	სუდანური ბალახი	სასილოსე სიმინდი	სამარცვლე სიმინდი

2004	91	27	12	52	10
2005	97	27	10	50	10
2006	75	27	8	40	-
2007	98	27	15	56	-

ფურების საშუალო წველადობა

ლაქტაცია	სული	წველადობა კგ.		ცხიმი %	
		M + მ	სტანდარტი	M + მ	სტანდარტი
პირველი	64	4346,3+44,7	4200	3,82+0,01	3,6
მეორე	41	5903,5+77,4	4600	3,75+0,02	3,6
მესამე	12	7173,7+132,4	5000	3,75+0,01	3,7

საქართველოში ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციისა და განვითარების მაგისტრალური და სტრატეგიული მიმართულებაა. მითუმეტეს, რომ ასეთი მეურნეობა მიწის რაციონალური გამოყენების საკმაოდ ეფექტური ფორმაა, რასაც მცირემიწიანი საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფერმერული მეურნეობების უპირატესობა იმაშიც გამოიხატება, რომ აქ დაქირავებულ შრომასთან ერთად, ოჯახის ყველა წევრის შრომის გამოყენება შეიძლება. მასში წარმოება ინტეგრირებული და შეხამებულია ოჯახის კვლავწარმოების პროცესთან, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია.

ფერმერული მეურნეობების მიზნობრივი და ეფექტური განვითარება დღის წესრიგში აყენებს აგროსერვისის სრულყოფის, სოფლად ერთიანი ინფრასტრუქტურის სამსახურის შექმნის საკითხს, რომელმაც უნდა განახორციელოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუ-ნველყოფა, მათი შეკეთება, მექანიზებული სატრანსპორტო, სამონტაჟო და აგროქიმიური სამუშაოების შესრულება და სხვა. უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამქირავებელი პუნქტები. უნდა გაფართოვდეს მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და მოტობლოკების წარმოება.

ამასთან მნიშვნელოვანია მეურნეობის საწარმოო მიმართულების სწორი განსაზღვრა და დარგთა შეთანაწყობა. ფერმერებმა კონცენტრაცია უნდა მოახდინონ იმ პროდუქტების წარმოებაზე, რომლებიც მეტ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

სოფლის მეურნეობაში დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების და

მისი სრულყოფის ტენდენციების, მასთან დაკავშირებული კანონზომიერებების შესწავლის საფუძველზე ვლინდება, რომ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულმა რეფორმებმა უარყოფითი გავლენა იქონია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაზე, რის გამოც მან სტიქიური ხასიათი მიიღო. ყოველივე ამან ხელი ვერ შეუწყო სხვადასხვა ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმების განვითარებას. სწორედ ამის შედეგია ის რომ სასოფლო სამეურნეო წარმოების ძირითად ბირთვს ფერმერული მეურნეობები წარმოადგენს, ამასთან დარგობრივი ნიშნით თუ განვიხილავთ მათ საქმიანობას, ისინი ძირითადად მიეკუთვნება მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის და მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელ ფერმერულ მეურ-ნეობებს. ფერმერულ მეურნეობებში საწარმოო პროცესი სუსტი მენეჯმენტის პირობებში მიმდინარეობს. მეწარმეები განიცდიან ბიზნესისათვის აუცილებელი ცოდნის და ინფორმაციის დეფიციტს. მათ არც კი იციან სესხების, გრანტების გამცემი და სხვა ინსტიტუტების არსებობის შესახებ. ამისათვის ვფიქრობ საჭიროა შეიქმნას აგრარული სექტორის კოორდინირებული მართვის ერთიანი სამსახური.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს აგრარულ სექტორს შეუძლია მომავალში მიაღწიოს ეკონომიკურ გაჯანსაღებას, თუ სწორად იქნება გამოყენებული მასში არსებული ეკონომიკური რესურსები. რამდენიმე წელიწადში შესაძლებელია აგრარული სექტორის მთლიანი პროდუქციის 2-3-ჯერ ზრდასაც მივაღწიოთ. ხალხის მაღალ კეთილდღეობის სრული საფუძველი კი მაშინ იარსებებს, თუ ქვეყნის აგრარული სექტორის შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნება გამოყენებული.

თავი II. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და აგრარული სექტორის ეკონომიკური რესურსების გამოყენება

21. აგრარული რეფორმები საქართველოში და სასურსათო უსაფრთხოება.

აგრარული რეფორმა ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. იგი მოიცავს დროის გარკვეული პერიოდისათვის აგრარული სექტორის განვითარებისათვის საჭირო ორგანიზაციულ სამართლებრივ, საწარმოო ეკონომიკურ, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და სხვა სახის ღონისძიებათა კომპლექს.

აგრარული რეფორმა განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებს და მათი რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს ქვეყნის წინაშე მდგარი გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით.

აგრარული რეფორმის შემუშავების და რეალიზაციის ძირითადი მიზანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების საფუძველთა საფუძველს, ამდენად სახელმწიფოს აგრარული რეფორმის შემუშავება და რეალიზაცია ობიექტურადაა აუცილებელი პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ქვეყნისათვის. აქედან გამომდინარე მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ახორციელებს აგრარულ რეფორმას, რომელიც მრავალი შიდა თუ გარე ფაქტორების გავლენით ყალიბდება.

აგრარული რეფორმის ობიექტებად შეიძლება მოიაზრებოდეს ცალკეული დარგები და საწარმოები, რეგიონები და ქვეყნის მხარეები და ა.შ. აგრარული რეფორმის შეფასებისათვის მრავალი ინდიკატორი

არსებობს. უპირველ ყოვლისა ესაა ქვეყნის შიდა ბაზარზე ადგილობრივი და უცხო ქვეყნების აგრარული პროდუქციის თანაფარდობა, თუ ეს შეფარდება 4:1-ნაა, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში სწორი აგრარული რეფორმა ხორციელდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგრარული რეფორმის ძირითადი მიზანი სასურსათო უსაფრთხოების მიღწევაა, რომლის რეალიზაცია თხოულობს აგრარულ სექტორში რიგი ამოცანების გათვალისწინებას და გადაწყვეტას. მათგან მთავარია:

- კონკურენტული საბაზრო გარემოს ფორმირება და ეფექტიანი კონკურენტუნარიანი საწარმოო ერთეულების გამრავლება-განვითარება;
- ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზრის ტევადობის გადიდება, მუშახელის დასაქმებისა და შემოსავლების არსებითი გადიდება;
- ქვეყნის შეფარდებით უპირატესობათა მაქსიმალური ამოქმედება იმ პროდუქტების წარმოების გზით, რომელიც ყველაზე ეფექტურია, როგორც წმინდა ეკონომიკური, ასევე სოციალური და ეკოლოგიური თვალსაზრისით;
- წარმოებისათვის საჭირო რესურსების კონცენტრაცია და გამოყენება პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- ექსპორტზე და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებული დარგების სწორი სელექცია და მათი მიზანმიმართული განვითარება;

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული აგრარული რეფორმა, როგორი კარგიც არ უნდა იყოს ის დროის გარკვეული პერიოდისათვის. იგი მუდმივ ცვლილებას განიცდის იმ მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

სახელმწიფოს, გარდა მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციისა, გააჩნია სხვა ბერკეტებიც, მათ შორის არსებითია წარმოების პირდაპირი სუბსიდირება, დოტაცია, კომპენსაცია და სხვა.

აგრარული რეფორმის ძირითადი პრიორიტეტების ჩამონა-თვალში ერთ-ერთი ძირითადია აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირება. ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სურსათის რეზერვების შექმნის მექანიზმი, სურსათის მწარმოებლებისაგან პროდუქციის გარანტირებულ ფასებში შესყიდვის გზით, აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგადასახადო, საკრედიტო, სადაზღვეო და ეკონომიკური მექანიზმის სხვა ბერკეტები.

საქართველოში ახალი ტიპის სოფლის მეურნეობის წარმოების შექმნა არსებულის უსისტემო ნგრევით დაიწყო. სოციალისტური სოფლის მეურნეობის რეორგანიზაცია (უფრო სწორად ლიკვიდაცია) დაიწყო და წარიმართა საკანონმდებლო ბაზის გარეშე, რამაც შეუძლებელი გახადა ამ სასიცოცხლო დარგის ახალ ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძველზე დინამიური გადასვლა. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ურთიერთობის კურსის შესაბამისად.

შეიძლება დაისვას კითხვა, თუ რატომ არის საჭირო დღეს რეფორმების ძირითად მოთხოვნებზე ლაპარაკი, რომელიც უკვე განვლილ პერიოდს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ იგი მართლაც განვლილი ეტაპია, რომელიც დაიწყო 1990 წელს და დღემდე დაუსრულებლად ითვლება. რეფორმები დაიწყო საკანონმდებლო ბაზის გარეშე და წარიმართა უსისტემოდ ქაოსის პირობებში. დაშვებული იქნა მრავალი შეცდომა, რომელიც დღესაც სანახევროდ არ არის გამოსწორებული. რეფორმის ბოლომდე მიყვანა და ახალი ტიპის მეწარმე

სუბიექტების ფორმირება-ჩამოყალიბება სამეწარმეო თვალსა-ზრისით ჯერ კიდევ მოითხოვს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას.

ახალი ტიპის სოფლის მეურნეობის წარმოების შექმნის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათი ჩამოყალიბება ხორციელდება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ბაზაზე, რომელსაც მსოფლიოში პრეცედენტი არ გააჩნია. ამის შესახებ კი არაფერი ყოფილა ნათქვამი კანონში „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ", რომელიც 1992 წლის 25 ივლისს იქნა მიღებული. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულმა კანონმა ვერ შეაჩერა კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების სტიქიური ნგრევა, რომელიც ფაქტობრივად 1994 წლამდე გაგრძელდა, სანამ მიღებული არ იქნა „მეწარმეთა შესახებ ახალი კანონი".

მეწარმეთა ჩამოყალიბება უშუალოდ უკავშირდება სამეწარმეო პირობების შექმნას, რომელიც ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თუ რეალური საქმიანობის მიხედვით ვიმსჯელებთ ასეთი პირობები არ არსებობს და ჩვენი აზრით, ჯერჯერობით მის შექმნაზეც ნაკლებად ზრუნავენ.

სოფლის მეურნეობის რეფორმების პროგრამის უქონლობა, გარკვეულად შეავსო საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციამ, რომელიც საბაზრო ურთიერთობის პირობებში ნათელს ჰფენს აგრარული სექტორის განვითარების მიმართულებებს. კონცეფციაში ნათქვამია, რომ სათანადო ღონისძიებების განხორციელების შედეგად, საქართველოში შესაძლებელია წარმოებულ იქნეს ყველა სახის მარცვალი 1400 ათ. ტონა, მსესზუმზირა – 250 ათ. ტონა, ჭარხალი – 509 ათ. ტონა, ბოსტნეული – 950 ათ. ტონა, კარტოფილი – 630 ათ. ტონა, ხილი და კენკრა – 840 ათ. ტონა, ყურძენი – 700 ათ. ტონა, ჩაის ფოთოლი – 300 ათ. ტონა,

ციტრუსები – 200 ათ. ტონა, თამბაქო – 20 ათ. ტონა, პირუტყვისა და ფრინველის ხორცი ცოცხალი წონით – 180 ათ. ტონა, რძე და რძის პროდუქტები – 1400 ათ. ტონა, კვერცხი – 800 მილიონი ცალი.

ამ მაჩვენებლების მიღწევა, მოითხოვს ეფექტური აგროსამრეწველო წარმოების შექმნას, რომელიც უნდა განხორციელდეს დარგის რეფორმებისა და საბაზრო ურთიერთობაზე რეალური გადასვლის გზით. კონცეფციაში განსაზღვრულია საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმები. სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში სამეურნეო საქმიანობის განსხვავებულ ბუნებრივ და ეკონომიკურ პირობებში, მეურნეობის გაძღოლის მსოფლიოში გაბატონებული ტენდენციების გათვალისწინებით დასაშვებია საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალი სახეობის არსებობა, ცალკეული მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების მიერ საკუთრებისა და მეურნეობათა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დამოუკიდებლად არჩევის შესაძლებლობა.

- საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმაზე დაფუძნებული სამეურნეო სუბიექტების „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული სამეურნეო-სამართლებრივ ფორმათა შესაბამისობაში მოყვანა და მათი რეგისტრაცია;
- უცხოელი პარტნიორების მონაწილეობა ერთობლივი საწარმოების შექმნაში, ფინანსური ჯგუფების შექმნაში და ა.შ;
- წვრილსაქონლური, აგრეთვე ფერმერულ მეურნეობებთან ერთად, სხვადასხვა ფორმის მსხვილი სასაქონლო წარმოების განვითარება;

•კადრების მომზადება, ჯანმრთელი შრომის და უსაფრთხო პირობების შექმნა.

ნებისმიერ ქვეყანაში აგრარული რეფორმის შემუშავებისა და რეალიზაციის ძირითადი ამოცანა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რომელიც თავის მხრივ ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარკვეული გარანტია და საფუძველია.

ეროვნულ სასურსათო უსაფრთხოება დაკავშირებულია სახელმწიფოს მოვალეობასთან და წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ისეთ სისტემას, რომელიც მუდმივად ზრუნავს საკუთარი მოსახლეობის ინდივიდუალურ სასურსათო უსაფრთხოებასა და მის დაცვაზე, უპირატესად სამამულო აგროსასურსათო სექტორის გამართული ფუნქციონირების ხარჯზე. სხვა სიტყვებით, ესაა ქვეყნის ეკონომიკისა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების უნარი უზრუნველყოს ქვეყანაში ეკოლოგიურად სუფთა (უვნებელი) სურსათის სტაბილური საკმარისობა და ხელმისაწვდომობა იმპორტისაგან დამოუკიდებ- ლობისა და თვითუზრუნველყოფის გარკვეულ პირობებში (იგულისხმება 80-90% - იანი თვითუზრუნველყოფის დონე).

სასურსათო უსაფრთხოების მთავარი კრიტერიუმი მაინც სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელია, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენების ხარჯზე.

სურსათით თვითუზრუნველყოფის რეკომენდებული მინიმუმი 75-80%-ის ფარგლებშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის სასურსათო

უსაფრთხოება დარღვეულად ჩაითვლება მაშინ, როცა ქვეყანაში მოხმარებული სურსათის 20-25%-ზე მეტი იმპორტული წარმოშობისაა. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც აგრარული რეფორმის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას გააჩნია როგორც საერთო ეროვნული, ასევე რეგიონული ასპექტები. ეს უკანასკნელი მოითხოვს რომ ქვეყნის რეგიონული აგრარული რეფორმა უნდა ემსახურებოდეს რეგიონში არსებული პოტენციალის ამოქმედებას და სასურსათო უზრუნველყოფის სამსახურში ჩაყენებას, კერძო მეწარმეობის განვითარების სტიმულირების და მოსახლეობის დასაქმების პრობლემების მოგვარების გზებით.

ეკონომიკის განვითარება, მჭიდროდ არის დაკავშირებული სასურსათო ბაზრის ფორმირებასთან. ჩვენი მონაცემებით ქვეყანაში კვების პროდუქტების მოხმარების დონე რაციონალურთან შედარებით ორჯერ დაბალია, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის დაბალი დონით. საჭიროა ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის დასაქმება, რასაც აუცილებლად მოყვება შემოსავლებისა და მსყიდველობითი უნარის გაზრდა. ამასთან, მთავარია სასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის დაბალანსება ექსპორტის გაზრდის თავლსაზრისით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მიზანია – შეიქმნას სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა. შემობრუნებული იქნას მთელი წარმოება მომხმარებლის მოთხოვნებისაკენ. დაძლეული იქნას პროდუქციისა და საქონლის დეფიციტი, უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის ეკონომიკური თავისუფლება, შეიქმნას შრომის

სიყვარულის, შემოქმედების, ინიციატივისა და ნაყოფიერების წახალისების პირობები, ამაღლდეს ხალხის ცხოვრების დონე.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, მისი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის წარმატებით განვითარება, მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სასურსათო ბაზრის ფორმირებასთან, რომელიც კვების ძირითადი პროდუქტებით (მარცვლეული, ყურძენი, ღვინო, ხილი, ჩაი, ციტრუსი, ბოსტნეული, კარტოფილი, რძე, ხორცი, კვერცხი და ა. შ.) თვითუზრუნველყოფაზეა დამყარებული. {იხ.დანართი 11.)

საქართველოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა სასურსათო კომპლექსის დინამიურ განვითარებას საჭიროებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცვალებადი ეკონომიკური პირობებისადმი ადაპტაცია ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში მიმდინარეობს, რაც რეფორმების პერიოდში ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მნიშვნელოვანი დაცემით გამოირჩევა.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ (იხ.დანართი 12.) საქართველოში 2009 წელს 2006 წელთან შედარებით პურისა და პურპროდუქტების მოხმარება ერთ სულზე შემცირდა 2,7%-ით, ბოსტნეულის 3,6%-ით, ყურძნის 10,8%-ით, ხორცის 1,9%-ით, რძე და რძის პროდუქტები 19,1%-ით, ზრდის ტენდენციებით კი ხასიათდება კვერცხის 50%-ით, მცენარეული ზეთის მოხმარება 12,5 %-ით, ხოლო შაქრის 5,4 %-ით. თუ შევადარებთ კვების პროდუქტების საშუალო მოხმარებას ფიზიოლოგიურ ნორმას დავინახავთ, რომ ხორცის პროდუქტების მოხმარება კმაყოფილდება 46.3%-ით, შესაბამისად რძისა და რძის პროდუქტების მოხმარება 41.5%-ით, ბოსტნეულისა 44.9%-ით, კვერცხისა 60%-ით,

კარტოფილის 88 %-ით და ა. შ. ე. ი. მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ კვების პროდუქტების ფაქტიური მოხმარება რეკომენდირებული ნორმის მხოლოდ ნახევარს შეადგენს. მისი მიზეზია არა ის, რომ ქვეყნის ბაზარი ამ პროდუქტების დეფიციტს განიცდის, არამედ მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარი. ვფიქრობთ ეს მდგომარეობა დროებითია და ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად სამუშაო ადგილებიც შეიქმნება, დასაქმდება მოსახლეობა, გაიზრდება შემოსავლები და შესაბამისად კვების პროდუქტების მოხმარებაც, რაც თავის მხრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას შეუწყობს ხელს. ამასთან, საჭიროა სასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის დაბალანსება ექსპორტის გაზრდის თვალსაზრისით. რეალობაში კი საპირისპირო ხდება, იზრდება იმპორტული პროდუქციის რაოდენობა. უკონტროლოდ შემოედინება შედარებით იაფი და დაბალი ხარისხის რძის პროდუქტები, ხორცის პროდუქტები, კვერცხი და ა.შ. რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას, რითაც ზარალდება მწარმოებელი და მთლიანად ქვეყანა.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი საქართველოში 2009 წელს 2000 წელთან შედარებით 4,1-ჯერ გაიზარდა, რაც 2.1-ჯერ მეტია ამავე წელს ექსპორტზე გატანილ პროდუქციასთან შედარებით. ამავე პერიოდში საგრძნობლად გაზრდილია ექსპორტზე გატანილი პროდუქციის მოცულობა 4.8-ჯერ, მაგრამ სწრაფი ზრდის მიუხედავად ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება იმპორტს, მაშინ როცა საექსპორტო საქონლის ასორტიმენტი და მოცულობა გაცილებით მეტია (იხ.დანართი13. 14).

მსხვილ საექსპორტო სასაქონლო ჯგუფს შეადგენს საკვებად ვარგისი ნაყოფი და კაკალი, ციტრუსების ან ბახჩეული კულტურების ქერქი ან კანი, რომლის ხვედრითი წილი საერთო ექსპორტში შეადგენს 53.9%-ს, ცოცხალი ცხოველები 20.3%-ს, მცენარეების თესლი და ნაყოფი, სამკურნალო მცენარეები და ტექნიკური მიზნებისთვის 13.9%-ს, ხოლო ისეთი პროდუქციის ექსპორტი, როგორიცაა ჩაი შეადგენს მხოლოდ 2.8%-ს, ბოსტნეული და საკვებად ვარგისი ზოგიერთი ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები კი 1.5%-ს. უმსხვილეს საიმპორტო საქონელთა ჯგუფს შეადგენს პურეულ მარცვლოვანები 33.2%-ს, ხორცი და ხორცის საკვები პროდუქტები 17.8%-ს, მცენარეების თესლი და ნაყოფი, მცენარეები სამკურნალო და ტექნიკური მიზნებისთვის 9.4%-ს, თევზი და კიბოსნაირნი, მოლუსკები და წყლის სხვა უხერხემლოები 7.4%-ს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის წილი იმპორტირებულ საქონელში შეადგენს 4.8%-ს, მაშინ როცა არსებობს ყველანაირი საშუალება იმისათვის, რომ იყოს ამ მიმართულებით ერთ–ერთი ექსპორტიორი ქვეყანა.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის პროდუქცია შემოედინება, ვიდრე პირიქით. რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში შემოსული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც არა მარტო ეკონომიკას ასუსტებს, არამედ ადგილობრივ წარმოებასაც მნიშვნელოვნად აფერხებს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ისეთი სახის სასურსათო პროდუქციის იმპორტი ხდება, რომლის წარმოების გაზრდის დიდი საშუალება ჩვენვე გაგვაჩნია და ქვეყნის გარეთაც შეგვიძლია

გავიტანოთ, თუკი ამისათვის მთავრობისა და ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მათი მხრიდან ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები შეიქმნება. ამისათვის საჭიროა აღნიშნული სახის პროდუქციის იმპორტზე საბაჟო გადასახადები ეტაპობრივად გაიზარდოს, ხოლო ექსპორტზე კი შემცირდეს. რაც ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკუთარი კვების პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის გაზრდას. სამწუხაროდ ამჟამად ადგილობრივი წარმოების პროდუქცია ძნელად საღდება და კონკურენციას ვერ უწევს საზღვარგარეთიდან შემოსულ შედარებთ იაფ პროდუქციას. სასურსათო კომპლექსის განვითარებას ხელს უშლის სახელმწიფოს მხრიდან სასურსათო ბაზრის დაუცველობა.

ჩვენი აზრით სახელმწიფომ რძესა და რძის პროდუქტებზე, ხორცზე და ხორცის პროდუქტებზე, კვერცხზე, ღვინოზე, ხორბალსა და ფქვილზე და სხვა იმპორტულ სასურსათო პროდუქტებზე საბაჟო და სხვა გადასახადები უნდა გაზარდონ იმ დონემდე, რომ ბიზნესმენებისთვის ხელსაყრელი არ იყოს კვების პროდუქტების სხვა ქვეყნიდან შემოტანა და იზრუნონ ადგილზე წარმოებული საქონლის რეალიზაციაზე. აღნიშნული ღონისძიება კი ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას, კვების მრეწველობის საწარმოთა აღდგენას და ფუნქციონირებას. სხვა გზით საქართველოში სასურსათო კომპლექსი ვერ განვითარდება.

2.2. აგრარული სექტორის სახელმწიფო რეგულირება და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრიორიტეტული მიმართულებები.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელება დაკავშირებულია ქვეყნის ევოლუციური განვითარების შესაძლებლობებთან, არსებული ურთიერთობების და ხალხის მენტალიტეტის საბაზრო კანონებთან ადაპტაციასთან, ისეთი ადეკვატური სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების ფორმირებასთან, რომელიც მიმართულია მიზანშეწონილი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად.

ჯ.მ. კეინსი აღნიშნავდა, რომ "საბაზრო ეკონომიკისადმი ადეკვატური ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზია ფულადი ეკონომიკის გაურკვევლობა". ჩვენ ამაზე იმიტომაც მივუთითებთ, რომ ჩვენთან საბაზრო გარემო პირობები არ შექმნილა და შედეგებიც არა გვაქვს დამაკმაყოფილებელი. ამ პირობებში კი აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირება. ჯ.მ. კეინსი აღნიშნავდა, რომ რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა მით უფრო მეტად საჭიროა სახელმწიფო ჩარევა.

საბაზრო ეკონომიკის განვითარება ხალხის ინტერესებითაა ნაკარნახევი. მასზე ყურადღების გამახვილება შემთხვევითი არ არის. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ მეურნეობის საბაზრო ურთიერთობებზე უკეთესი ფორმა ჯერ არ არსებობს და მას, როგორც ამჟამად, ისე თვალსაწიერ პერსპექტივაში სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. სწორ საფუძველზე და კარგად გათვლილ პარამეტრებზე დაყრდნობით აგებული საბაზრო ურთიერთობები ყოველმხრივ გამართლებულია, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით.

ბაზრის წარმოშობასა და მაშასადამე, საქონლის გაცვლას

განაპირობებს ორი პირობა: წარმოების საშუალებებისა და საქო-ნელზე კერძო საკუთრების არსებობა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. ლოგიკურია, რომ საწარმოო ძალების განვითარების კვალობაზე ეს პირობებიც ღრმავდება, ვითარდება და რთულ განზომილებაში გადადის. ამის შესაბამისად ვიწრო და მარტივ საბაზრო ურთიერთობებიდან, ეს პროცესი გადადის მრავალმხრივსა და ფართომასშტაბიანში. იგი თანდათანობით რეგულირებულ ხასიათს ღებულობს, იქმნება ეროვნული საბაზრო ურთიერთობები, შემდეგ კი ინტეგრირებული.

თავისუფალი ბაზარი მთლიანად რისკზეა აგებული, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს არაეფექტიან წარმოებამდე, როგორც პ.სამუელსონი და ვ.ნორდჰაუსი აღნიშნავენ, ბაზარიც და სახელმწიფოც არსებითია ეკონომიკაში, რომელიმე მათგანის გარეშე ეკონომიკის მართვა ცალი ხელით ტაშის დაკვრის მცდელობას წააგავს.

საბაზრო ეკონომიკის პრობლემების შესწავლა ერთმნიშვნელო-ვნად ადასტურებს იმას, რომ იგი ერთის მხრივ ხასიათდება დიდმასშტაბურობით, უნივერსალურობით, თანამედროვე ეკონომიკური გარემოსა და ფაქტორების გამოყენების დიდი ეფექტიანობით, მეორეს მხრივ კი მას ახასიათებს გარკვეული უთანასწორობა, რაც მოითხოვს იმას, რომ ამ წინააღმდეგობების აღმოფხვრაში სახელმწიფომ მიიღოს მონაწილეობა. ამიტომაც, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე, მთელი მსოფლიოსათვის ყველაზე მისაღებ მოდელად გამოიკვეთა "სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა," რომელშიც საბაზრო ურთიერთობათა თვითრეგულირების მექანიზმი შერწყმულია სხელმწიფო რეგულირების მეთოდებთან იმ პირობით, რომ ეკონომიკა სოციალურად იყოს ორიენტირებულ.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ორ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ერთი საგრძნობლად იხრება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევის, რეგულირებადი მეურნეობისაკენ. მეორე კი აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ ეკონომიკურ თავისუფლებაზე. ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის გრძელდება. მოხდება თუ არა მათ შორის სინთეზი ან კომპრომისი, ძნელი დასამტკიცებელია, რადგანაც თანამედროვე ეტაპზე ორივე მიმართულება კვლავინდე-ბურად პოპულარულნი არიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია, მით უმეტეს სუსტი ეკონომიკის პირობებში.

ეს პრობლემა XXI საუკუნეში ისევ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, მეცნიერებს შორის კამათი გრძელდება არა იმის შესახებ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება აუცილებელია თუ არა, არამედ მის მასშტაბებზე, ფორმებზე, მეთოდებზე, ეფექტიანობასა და საერთოდ მიზანმიმართულობაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ ნიშნავს თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას. სინამდვილეში სრული თავისუფლება და შესაბამისად სრული ეკონომიკური თავისუფლება არ არსებობს, თუმცა უნდა იყოს საკმარისი ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და მიიღწევა რეგულირებადი ბაზრის განვითარებით.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება თანდათანობით იკრებს ძალას და პრაქტიკულად ამტკიცებს თავის სიცოცხლის-უნარიანობას. ამის ნათელი მაგალითია სახელმწიფო რეგულირების ის მიდგომები, რომელსაც დღეს იყენებს ქვეყნის ხელმძღვანელობა, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის რიგი რეგიონები, რომლებმაც ერთგვარად უზრუნველყვეს

თავიანთი მხარეეების (შედარებით ქვეყნის საშუალო დონეებთან) ეკონომიკის განვითარების ერთგვარად დაჩქარება. გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკა წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ-ეკონომიკურ ტიპს, რომელიც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფო რეგულირებას.

ამრიგად გვაქვს ერთი უმთავრესი ამოცანა მივაღწიოთ სახელმწიფო რეგულირებით ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკა ამჟამად დომინანტურ ფორმას იღებს და მბრძანებლურ-გამანაწილებელ მექანიზმს ცვლის ახალი მექანიზმით, თუმცა იგი ჯერ-ჯერობით სრულად არ არის ჩამოყალიბებული. უკვე ახლა, ამ პროცესის დასაწყისში, გამოვლინდ-ნენ ნეგატიური მოვლენები. სოფლად საქონელმწარმოებლები, თვით მეწარმეები და ბიზნესმენებიც მოითხოვენ სახელმწიფო რეგულირების ერთგვარ გაფართოებას. ნეგატიურ მოვლენებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა: სოფლის აგროსაინჟინრო სერვისის ორგანიზების მოუგვარებლობა; წარმოების მასშტაბების გაფართოებისადმი ნაკლები ზრუნვა; გასაღების სფეროს ორგანიზაციული ფორმების უკმარისობა; სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციას შორის ფასების პარიტეტულობის დარღვევა; აგრარული ბაზრის ჩამოყალიბების დაბალი ტემპები; მაღალი პროცენტები კრედიტებზე; ჯერ კიდევ მოუგვარებელია სახელმწიფოს მიერ მინიმალური (გარანტირებული) ფასების დაწესების საკითხი სასოფლო-სმეურნეო პროდუქტებზე, რაც სოფლის მეურნეობის მუშაკთა ძირითადი ჯგუფის წარმოების ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის წინაპირობა უნდა გახდეს.

ამგვარ პირობებში ისმება კითხვა, რა ფორმით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო და როგორ უნდა არეგულიროს აგრარული ეკონომიკა გარდამავალ პერიოდში და რა ფუნქციებს ასრულებდეს? სახელმწი-ფოს ჩარევა სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირ ჩარევასთან გვაქვს საქმე, როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ფასებზე უშუალო კონტროლს, ანუ ადგენს და აკონტროლებს მათ ზრდას. არაპირდაპირი ჩარევაა მაშინ, როდესაც იგი ბაზარზე ჩნდება, როგორც ერთი მრავალთაგანი და არეგულირებს საქონლის ყიდვა-გაყიდვას, მიწოდებასა და მოთხოვნილებას თავისუფალი თამაშის შედეგად ბაზრის მიერ დადგენილი ფასით. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო არაპირდაპირ გავლენას ახდენს ბაზარზე. თუ ბაზარმა ნორმალურად უნდა იარსებოს და სოფლის მეურნეობის მუშაკთა და მოხმარების საგნების მყიდველთა მოქმედება უნდა არეგულიროს, მაშინ სახელმწიფო უშუალოდ ვერ გადაწყვეტს ფასების დონეს, ეს ბაზრის არსიდან გამომდინარეობს. იმ სიტუაციაში, როცა სახელმწიფო დააწესებს ფასებს, მაშინ ბაზარი ფიქციად გადაიქცევა და ისევ დავბრუნდებით მბრძანებლურ-გამანაწილებელ სისტემას. ამჟამად გადაწყვეტილებათა რაციონალიზა-ციი-სათვის საქართვე-ლოს სოფლის მეურნეობას ესაჭიროება ნორმალური ბაზარი. თუ რაიმე პროდუქტი მყიდველს ვერ პოულობს, ეს ნიშნავს, რომ მას ან ძალიან ბევრს აწარმოებენ, ან ძვირად აწარმოებენ. ჩვენთან კი დღეს პროდუქციას საქონელმწარმოე-ბლები მეტად ძვირად აწარმოებენ და მყიდველი მას ვერ პოულობს ან ფული არ არის მიმოქცევაში, მყიდველს ფული არ გააჩნია და საქონელს ამის გამოც ვერ ყიდულობს.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის

დივერსიფიკაციის შემდეგ შევძლებთ იმის გაგებას, რა გვიჯდება პროდუქციის გარკვეული რაოდენობა, ვინ აწარმოებს ძვირად და ვინ იაფად. თუ ამ პრინციპებით იმოქმედებს ყველა, მაშინ თანაფარდობის მიღწევა და ეკონომიკური სისტემის ეფექტური მოქმედებაც შესაძლებელია. მაგრამ, თუ ამ ლოგიკურ მექანიზმში სახელმწიფო ჩაერევა და ფასების "კარნახს" დაიწყებს, მაშინ ფაქტიურად გამოითიშება საბაზრო შემოწმების ზემოთ დაყენებული მექანიზმი. ამგვარმა მიდგომებმა შეიძლება დესტრუქციულად იმოქმედოს. ითვალისწინებენ რა აღნიშნულ არგუმენტებს, სპეციალის-ტები საზოგადოდ პირდაპირი ჩარევის წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ამავე დროს, ისინი მხარს უჭერენ არაპირდაპირ ჩარევას. ჩვენ სწორედ ეს უკანასკნელი მიგვაჩნია მართებულად. მაინც რას ვთვლით ბაზრისადმი სახელმწიფო ჩარევის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებად და ფორმებად?

- თავისუფალი მეწარმეობა, კონკურენტული საბაზრო გარემოს ფორმირება;
- სოფლის მეურნეობაში და კვების მრეწველობაში რეფორმების გაღრმავება მყარ საკანონმდებლო საფუძველზე;
- შესაბამისი დემოკრატიული საკრედიტო სისტემა;
- ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და თვითრეგული-რების მექანიზმების ეფექტური შერწყმა;
- საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება;
- აგრარული სფეროს მეცნიერული უზრუნველყოფა;
- რესურსების კონცენტრაცია და ეფექტური გამოყენება პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

- დოტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმოების საშუალებების შესაძენად და სხვა.
- სამართლებრივი გარანტიები;

ამ პირობებში სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ბერკეტი უნდა გახდეს ინდიკატორული დაგეგმვა, რომელიც ახლა ჩვენთან რეგიონების დონეზე შეიძლება ითქვას, არ არსებობს. იგი ცენტრა-ლურ სფეროებსა და ძირითადად, მაკროდონეებზე იგეგმება. არადა, ინდიკატორული გეგმის სწორედ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, მიუხედავად მათი სარეკომენდაციო ხასიათისა, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების აქტიური სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს. ჩვენთან ახლა ეს აშკარა პასიურ ფორმას ატარებს, რაც სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარებას სერიოზულად აფერხებს.

ინდიკატორულმა დაგეგმვამ სოფლის მეურნეობაში, ძირითადად სამი ფუნქცია უნდა შეასრულოს:

- განვითარების პროგნოზირება და პროპორციების დაცვა ფორმირება;
- ფინანსური დაგეგმვა, როგორც შემოსავლებისა და ხარჯების შეთანხმების, დაბალანსების აუცილებელი ელემენტი;
- საქონელმწარმოებლებისა და მომხმარებელთა ინფორმირება საქონლის გასაღების ბაზრების რაოდენობასა და მიწოდებაზე. ე.ი. მოახდინოს მარკეტინგული მართვის ორგანიზაცია. ამასთან, აგრარულ სფეროში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ გვიჩვენა, რომ მიუღებელია მთელი რიგი დებულებები და მეთოდები, რომლის მიხედვითაც, ჩვენთან დღემდე ხდება სახელმწიფო რეგულირება

აგრარულ სექტორში. ამიტომ, საერთო პრინციპებთან ერთად, უნდა გამოვიყენოთ ზემოთ მითითებული პრინციპები და მიდგომები. ამის გარეშე, ეკონომიკურ წარმატებაზე ზედმეტია ლაპარაკი.

აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის საბოლოო შედეგის შეფასება სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით პრაქტიკულად შეუძლებელია ერთი რომელიმე კონკრეტული მაჩვენებლით. აგრარული პოლიტიკით გათვალისწინებული საწარმოო ეკონომიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციულ სამართლებრივი და სხვა ღონისძიებების განხორციელებამ სხვა თანაბარ პირობებში ბუნებრივია დადებითი შედეგი უნდა გამოიღოს. კერძოდ საშუალო ვადიან პერიოდში მან უნდა შექმნას საფუძველი აგრარული სექტორის სტაბილური აღმავლობისათვის და სასურსათო პრობლემის გადაწყვეტაში პოზიტიური ძვრების დაწყებისათვის; აგრარულ სექტორში უნდა გააქტიურდეს ინვესტიციების მოდინების პროცესი. ინვესტიციები უნდა გაიზარდოს არა მარტო საწარმოო არამედ არასაწარმოო სფეროებში (სამელიორაციო სისტემებში, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების საქმეში, ეროზიის პრევენციის და აღკვეთისათვის და ა. შ.). აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად გამოდგება ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა შიდა ბაზრის ტევადობის გადიდება და დაკარგული პოზიციების აღდგენა საგარეო ბაზრებზე. ამავე მიმართულებით არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა ქვეყნის სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსები და მისი ერთგვარი გაკეთილშობილება აქტიური სალდოს (წმინდა ექსპორტის) რაოდენობრივი ზრდის თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად

მიმართულებად საადგილმამულო ურთიერთობათა ძირეული ტრანსფორმაციაა აღიარებული, რამაც თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება და აგრარული რეფორმის დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორება. საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირებამ უნდა უზრუნველყოს მიწის რეფორმის დროს დაშვებული პარცელაციის უარყოფითი შედეგების ლიკვიდაცია, შექმნას პირობები სოფლად კოოპერატიული მოძრაობის განვითარებისათვის, მიწის წვრილმესაკუთ-რეთა ნებაყოფილობით გაერთიანებათა (ერთობლივი ძალისხმევით მიწის დასამუშავებლად ამხანაგობათა) შექმნისათვის.

რაც შეეხება გრძელვადიან პერიოდს, აქ აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა მთელი სისრულით უნდა გამოიხატოს. კერძოდ, პირველყოვლისა აგრარული პოლიტიკა უნდა შეფასდეს მისი მთავარი კრიტერიუმების მიხედვით, ანუ მოხდა თუ არა მთავარი დასახული მიზნის - სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის არსებითი გადაწყვეტა და ქვეყნის სასურსათო (ეკონომიკური) დამოუკიდებლობისათვის მყარი საფუძვლის შექმნა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა: სოფლის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური (ტერიტორიული) ერთეულის მდგრადი ფუნქციონირების შესაბამისი პირობების შექმნა; საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგება, მიწის ბაზრის ფორმირება და მისი ეფექტური ფუნქციონირება; სოფლად საქონელმწარმოებელთათვის ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს შექმნა ანუ იმ პრობლემის მოხსნა, რომელიც მატერიალურ-ტექნიკურ

მომარაგებას, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას, შემოსავლების სტაბილურობას და სხვა პრობლემურ საკითხებს უკავშირდებოდა; და ბოლოს, დარეგულირდა თუ არა აგრარული სექტორის დარგთა შეთანაწყობა ურთიერთმისაღებ და პარტნიორულ საფუძველზე. არის თუ არა ეკონომიკური მექანიზმი მისაღები და ეფექტური სექტორის შემადგენელი დარგებისათვის, როგორი გახდა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვის ხარისხი და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის დონე და ა.შ

თუ ამ მაჩვენებლებით და კრიტერიუმებით შევაფასებთ საქართველოს აგრარულ პოლიტიკას, უნდა ვაღიაროთ, რომ მასში დეკლარირებული ბევრი ეკონომიკური, თუ სოციალური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სხვა წინასწარ დასახული ღონისძიებები პრაქტიკულად არ განხორციელებულა, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტები, რომ დღესაც აგრარულ სექტორში ისევ ის პრობლემებია, რაც იყო აგრარული პოლიტიკის სახელმძღვანელოდ მიღების პერიოდში (1997წ.). კერძოდ, საადგილმამულო ურთიერთობები დღესაც მოსაწესრიგებელია, ვერანაირად ვერ დასრულდა მიწის პრივატიზება, რაც თავის მხრივ მიწის თავისუფალი ბაზრის შექმნასა და ფუნქციონირებას უშლის ხელს, ვერ დარეგულირდა სოფლად საქონელმწარმოებელთათვის მისაღები ფასები საკუთარ პროდუქციასა და სამრეწველო წარმოების პროდუქციაზე, ანუ ფასთა პარიტეტი კვლავაც დარღვეულია სოფლის მეურნეობის საზიანოდ.

აგრარული პოლიტიკის შემუშავებამდე სოფლად არსებული პრობლემების შემთხვევაში ბუნებრივია ვერ გადაწყდებოდა მთავარი ამოცანა, ანუ სასურსათო პრობლემის არსებითი გადაწყვეტა და

სასურსათო უსაფრთხოებისთვის მყარი საფუძვლის შექმნა. ამ უკანასკნელის დამტკიცება ადვილად შეიძლება ჩვენი სამომხმარებლო ბაზრის მაგალითზე, სადაც შეფარდება ადგილობრივ და უცხოურ პროდუქციას შორის არ არის საქართველოს სასარგებლოდ. გარდა ამისა, რიგი ბერკეტებისა, რომელიც სახელმწიფოს გააჩნდა აგრარული პოლიტიკის წარმატებული რეალიზებისათვის დღეისათვის არ მოქმედებს. მაგალითად ინდიკატური დაგეგმვა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის თანმხლები სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დამუშავების პრაქტიკა. ყოველივე აღნიშნული იმაზე მიუთითებს რომ საჭიროა ქვეყნისთვის ახალი აგრარული პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაცია იმ რეალობების და გამოწვევების გათვალისწინებით, რომლის წინაშეც დღეს დგას საქართველო და მისი აგრარული სექტორი.

2.3 სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების ეფექტურად ფუნქციონირების მექანიზმი

სოფლის მეურნეობა მჭიდროდ ინტეგრირებულია, რომელიც ბუნებრივი პირობების, საწარმოო ინფრასტრუქტურის, მოსახლეობის სიმჭიდროვის, ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების, ეკონომიკური და ეკოლოგიური პოტენციალის დიდ ზეგავლენას განიცდის. სოფლის მეურნეობის ეკონომიკა მრავალპროფილიანია, აქ ნედლეული არა მარტო იწარმოება, არამედ გადამუშავდება კიდევაც, ინახება, ხდება ტრანსპორტირება და სხვადასხვა პროდუქციის

რეალიზაცია. ეს არის სფერო ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, სამშენებლო მასალების წარმოების, ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ობიექტების განლაგების, რომლებიც დადებითად მოქმედებს გარემოზე. სოფლის თავისებურება ისიც არის, რომ იგი დიდად არის დამოკიდებული ქალაქის მეურნეობაზე, საერთოდ საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურაზე, მეწარმეობის კულტურის საქმიან აქტიურობაზე. ეკონომიკაში ამ სფეროს უპირატესობა ჩანს იმაშიც, რომ აქ არის შედარებით იაფი მუშახელი, არის ხარისხიანი და შედარებით იაფი ნედლეული, შედარებით დაბალი საიჯარო გადასახადი სხვადასხვა ქონების გამოყენების დროს და საერთოდ დაბალი გადასახადები.

მეცნიერთა ჯგუფი თვლის, რომ სოფლის მეურნეობის ეკონომიკური მექანიზმის კონცეფცია უნდა მოიცავდეს მცდელობას, რომ გათანაბრებული იქნას ცხოვრების პირობები სოფლის და ქალაქის მაცხოვრებლებს შორის, სხვები კი თვლიან რომ აქ ბაზრის ინტენსიური განვითარების პირობებში უნდა მონაწილეობდეს სახელმწიფო. საბაზრო რეფორმის თანამედროვე პირობებში საქართველოში სოფლის მეურნეობა ხშირად წაგებულია სამუშაო ძალის კონკურენციაში, ინვესტიციებში, პროდუქციის შეკვეთებში, ბუნებრივ რესურსებში, რაც რეგიონთაშორისი და დარგთაშორისი ბრძოლის პროცესების შედეგია. აღნიშნული კი იწვევს მათი კუთვნილი, შესაძლებელი შემოსავლების დაკარგვას. ჩვენი აზრით, თანამედროვე, სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური მექანიზმის კონცეფცია უნდა გამომდინარეობდეს იმ აუცილებლობიდან, რომ აქ უნდა მოხდეს ეფექტურ სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ფორმირება, მისი პროდუქციის

გადამუშავებაზე, სარეწების განვითარებაზე, კუსტარული წარმოების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, აქტიური მარკეტინგის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ შემოსავლების მიღების შესაძლებლობები ბუნებრივი რესურსებიდან, სასარგებლო წიაღისეულიდან, მიწის გაყიდვიდან და იჯარიდან, ვაჭრობიდან, ტურიზმიდან და ა.შ. დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად გაზიფიკაციას, ელექტროფიკაციას, უნდა დამუშავდეს პროექტები რეგიონალურ ჭრილში სოფლის მეურნეობის ბუნებრივ ეკონომიკური და სოციალური განვითარების, მისი პოტენციალის (საწარმოო რესურსები: მიწა, კაპიტალი, შრომითი ორგანიზატორობის უნარი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მეწარმის უნარი, ფულადი კაპიტალი ერთმანეთთან სინთეზურ კავშირში) სათანადო შეფასების საფუძველზე. საქმე ეხება იმას, რომ საჭიროა ნათლად გამოიკვეთოს, სოფლის მეურნეობაში რა უფრო ხელსაყრელია, მაგალითად სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება მისი გადამუშავება, თუ რეკრიაციული ფუნქციების შესრულება.

ოპტიმალურ გადაწყვეტას მოითხოვს საკითხები მიწის საკუთრების შესახებ. მიწის კერძო საკუთრებასთან ერთად, რომლებიც თავისუფლად გაიყიდება ან იჯარით გაიცემა, უნდა იყოს სახელმწიფო საკუთრება, (გზები, ბუნების დაცვის ზონები, წყალსატევები, მდინარეები, ტყე, ძეგლთა დაცვა და სხვა.) საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესები სახელმწიფოს გარეშე ათეულ წლობით გაიწელებოდა და არ გადაწყდებოდა რაციონალურად.

უნდა დაჩქარდეს ადგილზე მენეჯმენტის განვითარება, გამოიყოს სახელმწიფო სუბსიდიები და ინვესტიციები. უნდა შეიცვალოს ე.წ.

ბიზნეს ელიტის დამოკიდებულება აგრობიზნესის მიმართ. სოფლის მეურნეობას ესაჭიროება როგორც სეზონური ასევე გრძელვადიანი კრედიტები. სახელმწიფომ უნდა მიმართოს თავისი ძალისხმევა, რათა სტიმული მისცეს ინტეგრაციას რესურსების მომწოდებლის, გადამამუშავებელი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის (საფინანსო კომპანიებთან, გაზის კორპორაციებთან, მინერალური სასუქების მწარმოებლებთან და სხვა.). ასეთ "ჰოლდინგი"-ს ტიპის გაერთიანებებს უნდა შეუმცირდეს მოგებიდან გადასახადი იმ ოდენობით, რომელსაც წარმოება ხარჯავს თავისი ტექნოლოგიებისათვის. ეს თანხები უნდა გროვდებოდეს სპეციალურ ანგარიშზე და გამოყენებული უნდა იქნას სასოფლო-სამეურნეო საწარმოების აქტივების შესაქმნელად (შესასყიდად), მიწის შესყიდვა, იჯარა, საერთოდ სანედლეულო ზონის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ტექნიკური მოდერნიზაციისათვის. მაღალია სოფლად უცხოური ინვესტიციების ჩადების რისკი, მათი პირდაპირი ინვესტიციების გრძელვადიანი დაბანდების გზაზე არის წინააღმდეგობები და თითქმის არ არსებობს ამ რისკის დამცველი ეკონომიკური მექანიზმი.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელ რისკთან ერთად, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთან, ფასების ცვლილებებთან, სავალუტო ინსტიტუციონალურ, პოლიტიკურ და ტრანსფორმაციულ რისკებთან. იგი განპირობებულია ფულად–ეკონომიკური და აგრარული პოლიტიკის არასტაბილურობით აგრეთვე არასათანადო საკანონმდებლო ბაზით. ჩვენის აზრით უნდა შეიქმნას ფონდი უცხოური ინვესტიციების დაზღვევის, აღნიშნული კაპიტალი უნდა შეადგინოს შენებით დაინტერესებულმა ქვეყნებმა, ხოლო მათი დანაწილება უნდა შეესაბამებოდეს მის სტრუქტურულ

შემადგენლობას. საჭიროა მოვიზიდოთ ადგილობრივი ინვესტიციები გადამამუშავებელ და სხვა შესაბამის საწარმოებში, შევქმნათ ინტეგრირებული სტრუქტურა რეგიონთაშორის დონეზე გადახდისუნა--რიანი და გადახდისუუნარო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად. მათი მოღვაწეობა მიმართული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გამოცოცხლების, ძირითადი ფუნქციების აღდგენისათვის ახალი პროგრესული ტექნოლოგიების ათვისებით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მექანიზმი, რომლის სტრუქტურა შესდგება ისეთი ელემენტებისაგან როგორიცაა: ფასები, კრედიტები, ბიუჯეტი, გადასახადები. მათი ეფექტურობა უნდა განისაზღვროს აგ-რარულ საწარმოებში მათი მოქმედების ხარისხით, შინაგანი რეზერვების აქტივიზაციის ორიენტაციის მაქსიმალური ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ეფექტურობის მისაღწევად.

ეკონომიკური მექანიზმის ძირითადი ელემენტი არის ფასი, რომელიც ბაზრის მთავარი ინსტრუმენტია და ასრულებს ფუნქციას შეათანხმოს ინტერესები სასაქონლო ფულადი ურთიერთობისა, მონაწილეებს შორის. დისპარიტეტი ფასებს შორის აგრარულ სექტორში ჯერ კიდევ არ არის ოპტიმალური, რასაც მივყავართ დარგთაშორის დისპრორპორციამდე. ჩვენი აზრით აგრარულ სექტორში საბაზრო ფუნქციების განვითარებისათვის საჭიროა თავისუფალი, მაგრამ სათანადოდ რეგულირებადი ფასწარმოქმნის სტრუქტურა. ასეთმა სისტემამ უნდა მისცეს სტიმულირება წარმოებული პროდუქციის (მომსახურეობის) რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდას, დანახარჯების შემცირებას. შექმნას პირობები ექვივალენტური სასაქონლო გაცვლის უზრუნველყოფისათვის გაფართოებულ კვლავწარმოებაში. აგრარული

სექტორის ყველა დარგში საბაზრო პირობებში სახელმწიფო და რეგიონის დონეზე უნდა გატარდეს ფასწარმოქმნის, სასაქონლო ბაზრის რეგულირების პოლიტიკა. თანაც აგრარული ეკონომიკის არასტაბილურობის პირობებში, როცა ფასები ბაზარზე განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტაბილურობის მიზნით რესურსების ეფექტურად გამოყენებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომ შევქმნათ მაღალორგანიზებული საწარმო განვითარებული ინფრასტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფს ბაზარზე პროდუქციის მოძრაობას.

მნიშვნელოვანი ელემენტი ეკონომიკური მექანიზმისა რეგიონულ ჭრილში არის საფინანსო საკრედიტო ქვესისტემა, სოფლის მეურნეობის ფუნქციონირების სპეციფიკა მოითხოვს კრედიტების განსაკუთრებულ მნიშვნელობას საწარმოო პროცესში. სოფლის მეურნეობის დაკრედიტების თანამედროვე სისტემა არ პასუხობს მეურნეობრიობის ეფექტურად გაძღოლის პირობებს, მიგვაჩნია, რომ ამ სიტუაციის გადახედვა რეგიონის დონეზე შესაძლებელია მყარი, გრძელვადიანი, საკრედიტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებით, რომელიც უნდა მოიცავდეს: შეღავათიან მიზნობრივ კრედიტებს მაღალმწარმოებლური ტექნიკისა და პერსპექტიული ტექნოლოგიების დასანერგად, გრძელვა-დიანი კრედიტებით ძირითადი კაპიტალის განახლებას, ტექნიკის ლიზინგს, მექანიზმს სახელმწიფო გარანტიების, კრედიტის დაბრუნების. უნდა შევქმნათ საფინანსო კოოპერატივები, რომლებიც დააკმაყოფილებენ საკრედიტო რესურსების მოთხოვნებს, წვრილი ფერმერული მეურნეობებისათვის. საბიუჯეტო სისტემა ეკონომიკური მექანიზმის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელთაც აქვთ არსებითი მნიშვნელობა

სამეურნეო სუბიექტების ურთიერთობაში, პირდაპირი სუბსიდიებისა და დოტაციების განხორციელების საფუძველზე. ფაქტიურად დღეისათვის მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დაფინანსების რაოდენობა, ამასთან არსებითად მცირეა იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც. იგივე მდგომარეობაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში, ისიც უნდა ითქვას, რომ ინვესტიციების ყველა წყაროდან, მათ შორის საკუთარი და ნასესხები საშუალებების არ არსებობა ძირს უთხრის სასოფლო სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას, ძირითადი კაპიტალის განახლებას, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას. ისიც უნდა ითქვას რომ სოფლის ინფრასტრუქტურა მეტად სავალალო მდგომარეობაშია, რასაც სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობებს სოფლის მოსახლეობის მეტად დაბალი შემოსავალი.

საგადასახადო სისტემას არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრარული ეკონომიკის საწარმოო მოღვაწეობის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის. გადასახადები წარმოადგენს ძირითად წყაროს სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებისათვის და ძირითად ინსტრუმენტს სახელმწიფო პროგრამების შესრულებისათვის. ეფექტური საგადასახადო სისტემის შემუშავებისათვის რეგიონის დონეზე აუცილებელია შემდეგი მოთ-ხოვნების გათვალისწინება: გადასახადების მაქსიმალური გამჭვირვა-ლობა, საინვესტიციო პოლიტიკის სტიმულირება, გადასახადებმა უნდა მისცეს სტიმული წარმოების გაზრდას და არა შემცირებას. ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ გარკვეული ნორმატიული წარმოების ზღვარის გადამეტების შემთხვევაში გადასახადები უნდა მცირდებოდეს პროდუქციის ზრდის

ტემპის შესაბამისად. ისიც უნდა აღინიშნოს რომ საბაზრო მექანიზმის სისტემური ფორმირება საშუალებას იძლევა განვავითაროთ საქონელმწარმოებელთა უფრო ეფექტური მუშაობა, რაც პირდაპირ კავშირში აყენებს მათ მატერიალურ დამოკიდებულებას შრომის შედეგებთან.

აგრარული სექტორის რესურსური ბაზრის შემცირებამ დღის წესრიგში დააყენა მისი საბაზრო მექანიზმის სრულყოფა, რომლის ძირითადი ელემენტებია ფასების დაბალანსების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს და დააჩქარებს სასურსათო ბაზრებზე ექვივალენტურ სასაქონლო ფულად გაცვლებს, საკრედიტო საფინანსო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კრედიტის საპროცენტო დონეს (ვადებს) სესხების დაბრუნებაზე და სოფლის საქონელმწარმოებელთა მხარდაჭერას. საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მაკოორდინირებელი მექანიზმი არის საბაზრო სისტემა ანუ ფასწარმოქმნა. ისიც უნდა აღინიშნოს რომ საბაზრო სისტემას, როგორც საზოგადოებრივ პროდუქციის დანაწილების მექანიზმს, არ ახასიათებს ეთიკური პრინციპები ვისაც ფული აქვს მემკვიდრეობით ან მძიმე შრომით მიღებული ან თაღლითობით მოპოვებული იღებენ მსხვილ შემოსავალს და ამით გაინაღდებენ საზოგადოებრივი პროდუქტის დიდ ნაწილს. აღსანიშნავია ისიც, რომ რესურსების ნაკლებობამ და მათმა არაეფექტურად გამოყენებამ მნიშვნელოვნად განაპირობა აგროსამრეწ-ველო სფეროს დეზინტეგრაცია. დღეისათვის ფუნქციონირებს სამი სახის კაპიტალი სრულიად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მწარმოებლური, რომელიც თავმოყრილია საწარმოებში, სასაქონლო-მბრუნავ სტრუქტურე-ბში, რომლებიც ახდენენ პროდუქციის რეალიზაციას და საფინანსო, რომელიც

არის ბანკში. ამიტომ მეტად აქტუალურია მათი ინტეგრაცია რათა შევქმნათ აგროსამრეწველო ფორმირებები, სადაც შევლენ სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, საფინანსო და სხვა სტრუქტურები. ბირთვი ამ გაერთიანებების უნდა იყოს საფინანსო სტრუქტურები, რადგანაც მეცნიერულად დასაბუთებულია რომ კარგად აწყობილი საფინანსო საკრედიტო მექანიზმის გარეშე, გაერთიანებაში შემავალი სუბიექტები ნორმალურად ვერ იფუნქციონირებენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის ნგრევის შეჩერება შეიძლება იმითაც, რომ მსხვილ არასასოფლო სამეურნეო ფორმირებებს გადაეცეთ სასოფლო სამეურნეო საწარმოო რესურსები. იმ საწარმოების, რომლებიც არ არიან სიცოცხლისუნარიანი, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ფორმირებებში გადაცემულ საწარმოებს შენარჩუნებული ექნებათ და-მოუკიდებლობის იურიდიული სტატუსი.

ამრიგად, ეკონომიკური მექანიზმის ქვეშ იგულისხმება ურთიერთობების ნორმები, წესები, წარმოების გაცვლის, განაწილების და მოხმარების პროცესში, რომელიც განპირობებულია საბაზრო საწარმოო ურთიერთობებით და მათი კანონზომირებებით. ე.ი. იგი არის ორგანიზაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რომელიც მიმართულია, წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფილად განხორციელებისათვის მეცნიერულ საფუძვლებზე უნდა გადაწყდეს ისეთი ეკონომიკური კატეგორიები როგორიცაა: საკუთრება, ფინანსები და კრედიტები, მართვა, აღიცხვა, კონტროლი და სხვა. ეს პროცესები დღეს მიმდინარეობს მეტად მტკივნეულად, მაგრამ იგი გარდუვალია.

თავი III. ეკონომიკური რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამაღლების პრიორიტეტული მიმართულებები აგრარულ სექტორში

3.1 თავისუფალი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბება და შრომითი რესურსების დასაქმება აგრარულ სექტორში.

„საქართველოში მიმდინარე რეფორმის პირველი ეტაპის შედეგებს – წერს პროფესორი ვლადიმერ პაპავა - უცხოელი სპეციალისტები და საერთაშორისო ორგანიზაციების მისიები ცალსახად დადებითად აფასებენ. ეს მაშინ, როცა იგივეს შესახებ ქართველი ეკონომისტების ერთი ნაწილი უარყოფითი შეხედულებისაა.”

ასეთ რადიკალურ შეფასებებს შორის ჩვენ შუალედური პოზიცია გვიჭირავს. მართლაც, არ შეიძლება არ დაინახო ის სასიკეთო ცვლილებები, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაში გამოვლინდა მიკრო თუ მაკროეკონომიკური გარდაქმნების სახით. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ამ დადებითი შედეგების გამტკიცება და გაფართოება, ეკონომიკის სწრაფად აღმავლობა და ხალხის ცხოვრების დონის მკვეთრად გაუმჯობესება. განვლილი პერიოდის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოში უკვე დამთავრდა ეკონომიკის დაცემის ეტაპი, ხდება სტაბილიზაცია ერთგვარად აღმავლობა. ამასთან, ყველაზე დიდი ნაბიჯია გადადგმული ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით და გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება მაკრო და მიკროეკონომიკურ სტაბილიზაციის საქმეში. მაგრამ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება იმასაც ხომ ცხადჰყოფს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია მიზანი კი არაა, არამედ მხოლოდ წინაპირობაა

მეწარმეობის ფართოდ გაშლისათვის. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სწორედ ეროვნული მეწარმეობის განვითარების დონეა საუკეთესო საზომი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირებისათვის. მეწარმეები უშუალოდ მონაწილეობენ ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი ეკონომიკის მშენებლობაში.

ჩვენ, როდესაც ვაფასებთ რეფორმის შედეგებს, გამოვდივართ იქიდანაც, რომ ქვეყანაში დღეს მიღწეული ფინანსური სტაბილიზაცია (ინფლაციის აღმოფხვრა, ვალუტის კურსის გამყარება და სხვა), ძირითადად განხორციელდა არა ეკონომიკის განმტკიცებით, არამედ უპირატესად იგი მიღწეულია საერთაშორისო და ჰუმანიტარული დახმარებების წყალობით. მან კი სახელმწიფოს დამოუკიდებელი (პროტექციონისტული) პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობანი რამდენადმე შეზღუდა, რის გამოც ქვეყანაში ვერ მოხერხდა ეროვნული საწარმოო ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების შექმნა ფორმირება.

ჩვენში მიმდინარე რეფორმის ნაკლი, ვფიქრობთ, მაინც ის არის, რომ მისი სასტარტო შედეგები (ინფლაციის შეკავება, სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმაცია და სხვა) ხილულია მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილისათვის, სპეციალისტების და თვით რეფორმატორებისათვის, არადა მისი წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია უფრო ფართო სოციალური ბაზა. ამისათვის, საჭიროა ადამიანებმა უფრო თვალნათლივ იხილონ რეფორმის სიკეთე. მეტიც, მათ ეს უნდა იგრძნონ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოჯახებში. ცხადია მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიზერული, საარსებო მინიმუმზე ბევრად დაბალი და ისიც დიდად დაბეგრილი ხელფასით, ეს

ვერ მოხერხდება. სამუშაო ძალის მიგრირება, სამუშაო ძალის ხელოვნურად დაბალი, არასაბაზრო ფასი, ასევე ასტიმულირებს იაფი, მაგრამ მდარე ხარისხის იმპორტული პროდუქციის გასაღებას და ჩვენი პროდუქციის ჯერ ჩაწოლას, ხოლო შემდეგ ეროვნული წარმოების მოშლას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეწარმეობის, ბიზნესის აღორძინების აუცილებლობა განპირობებულია არა მარტო სამამულო საქონლის წარმოების ზრდით, არამედ შიდა ბაზრის უმთავრესი სუბიექტის, მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის ჩამოყალიბებითაც. ჩვენ ვერც ერთს ვერ მივაღწიეთ, ვერ შევქმენით გაჯერებული ბაზარი და დაბალი შემოსავლის გამო, ამ საქონლის მომხმარებელიც ვერ გავხდით. ეს რომ დავძლიოთ საჭიროა შევუწყოთ ხელი მეწარმეობის განვითარებას, ავაღორძინოთ მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესი.

ეროვნული მეწარმეობის ფორმირება-განვითარება მხოლოდ მომგებიანი საქმიანობისათვის ხელსაყრელ საბაზრო და სოციალურ გარემოშია შესაძლებელი. ამგვარი გარემოს შექმნა კი სახელმწიფოს პრეროგატივაა.

მეწარმე, მეწარმეობის კანონის შესაბამისად, შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის საფინანსო საქმიანობას კანონით გათვალისწინებული წესით.

სამეწარმეო საქმიანობას შეიძლება ეწეოდეს უშუალოდ მესაკუთრე ან სხვა სუბიექტი, რომელსაც კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრის მიერ გადაცემული აქვს ქონება სარგებლობის უფლებით. ამასთან დაკავშირებით, უნდა განვასხვავოთ მეწარმე და მენეჯერი. მეწარმე დამოუკიდებელი მეპატრონეა, იგი თავისი საკუთარი რისკით და

პასუხისმგებლობით მოქმედებს, მენეჯერი კი დაქირავებული მუშაკია, მას არ ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა. თავისი საქმიანობისათვის ის პასუხს აგებს მხოლოდ თავისი დამქირავებლის წინაშე.

მესაკუთრეს აქვს იმუნიტეტური მისწრაფება, გაზარდოს თავისი საკუთრება. ეს სურვილი ამოძრავებს ყველა მესაკუთრეს და მაშასადამე მთელ საზოგადოებას, ამისათვის კი მეწარმეობაა (რაიმეს კეთებაა) საჭირო.

ახლა, როცა სახალხო მეურნეობა საბაზრო ეკონომიკის რელსებზეა გადაყვანილი, საქართველოს აგრარულ სექტორის სამეწარმეო სფეროში ინტენსიური გარდაქმნები მიმდინარეობს, მუშავდება ეკონომიკის ამ სისტემისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპები, როგორიცაა: 1. საკუთრების მრავალფორმიანობა (კერძო საკუთრების წამყვანი როლით), 2. სამეწარმეო საქმიანობის შერჩევის თავისუფლება, 3. პირადი მატერიალური დაინტერესება, როგორც მოქმედების (საქმიანობის) მთავარი მოტივი, 4. კონკურენცია, 5. ფასების მოქნილი სისტემა, 6. ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ სამეწარმეო საქმიანობას განსაზღვრავს როგორც მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ორიენტირებულია მოგებაზე და ხორციელდება დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

საწარმოები ზომის მიხედვით დაიყოფა შემდეგნაირად: მსხვილი, საშუალო და მცირე.

მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც

დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- მცირე საწარმოებისათვის - 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;
- საშუალო საწარმოებისათვის - 100 დასაქმებულსა და 1500 ათას ლარს;
- მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 100 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 1500 ათას ლარს;

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პირველ ეტაპზე აშკარა იყო პროცესების სტიქიურად განვითარების ტენდენცია, რასაც თანდათანობით ცვლიდა საერთაშორისო ეკონომიკური სტრუქტურების მხრიდან დიქტატის პოლიტიკა. ასეთ ვითარებაში, ხშირად უგულებელყოფილი იყო ქვეყნის ისტორიული, ეთნიკური, დემოგრაფიული, გეოპოლიტიკური, სოციალურ-ფსიქოლო-გიური, ნიადაგურ-კლიმატური თავისებურებები და საუკუნის განმავლო-ბაში ჩვენში დამკვიდრებული საწარმოო ურთიერთობების ტრადიციები. ცხადია, აღნიშნული განსაკუთრებით მწვავედ აისახება ეკონომიკის ისეთ ტრადიციულ სფეროზე, როგორიცაა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ამ სექტორებში ჯერჯერობით ბოლომდე არ ჩამოყალიბე-ბულა მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო გარემო პირობები. ამის გამო, ვერ ამოქმედდა საბაზრო ეკონომიკის ზრდის საწარმოო ბერკეტები: მიწა, კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფო მართვის უნარი.

საკუთრებაში გარდაქმნებმა ძირეულად ვერ შეცვალა სიტუაცია ქვეყნის აგრარულ სექტორში: ორგანიზაციულ-სამართლებრივი და მით

უფრო თვისობრივი მაჩვენებლებით, პირველ რიგში ეფექტიანობისა. ვერ მოხერხდა საწარმოო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, შემცირდა მოთხოვნები სახელმწიფო ხარჯზე აგროსამრეწველო სექტორისათვის მხარდასაჭერად, ვერ განხორციელდა ახალი სტრუქტურების სწრაფი გადასვლა ბაზარზე ორიენტირებულ ქცევაზე, ვერ შეიცვალა შრომის მოტივაცია, რეფორმირებული საწარმოების მუშაკთა ძირითად მასაში და ვერ წარმოიშვა ადამიანთა უმრავლესობაში პრინციპულად ახალი დამოკიდებულება პრივატიზე-ბული საშუალებებისა და ქონების მიმართ. ვერ მოხერხდა მნიშვნელოვანი რაოდენობით კერძო საწარმოების შექმნა. აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი მრავალია:

პირველი. ნებისმიერი საკუთრება, მათ შორის კერძო თავისთავად ვერ წყვეტს და ვერც გადაწყვეტს წარმოებისა და სოციალური ცხოვრების ყველა საკითხს. მექანიზირებული წარმოების მოცულობის ზრდისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს უახლეს ტექნოლოგიებს, ნორმატივების შესაბამისად წარმოების ტექნოლოგიურ უზრუნველყოფასა და ა.შ.

მეორე. განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის რეალური პრაქტიკა არ უკავშირდებოდა წარმოების შედეგიანობის ამაღლების პრინციპს, საკუთრება ნაწილდებოდა თანაბრად, მეურენობრიობის უნარის გაუთვალისწინებლად. ამით წინასწარ იქნა დაშვებული მიწისა და წარმოების სხვა ძირითადი საშუალებების შემდგომი გადანაწილების აუცილებლობა, უკეთეს მომუშავე მესაკუთრეთა სასარგებლოდ.

მესამე. პრივატიზაცია ხშირად ტარდებოდა ნაჩქარევად და ფორმალურად. საწარმოთა ხელმძღვანელები ყოველთვის როდი

ერკვეოდნენ გატარებული გარდაქმნების შინაარსში, ხოლო რიგითმა მუშაკებმა ხშირად არ იცოდნენ თავიანთი უფლებები, ადგილი ჰქონდა დარღვევებს საწარმოო საშუალებებისა და ქონებრივი პაიების განსაზღვრაში და ა.შ.

პრივატიზაციით დასახული მიზნების მისაღწევად და დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრა და გარემოებათა გათვალისწინება. ამჟამად, პრივატიზაციის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კიდევ არ არის დამთავრებული საწარმოთა ფორმალური რეორგანიზაცია. საკუთრებითი ურთიერთობების რეორგანიზაციის თანამედროვე ეტაპზე უმნიშვენლოვანეს ამოცანებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: ჯერ კიდევ რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის გარეშე დარჩენილი საწარმოების პრივატიზაციის საკითხი. საწარმოებში სახელშეკრულებო ურთიერთობების სრულყოფა, რაც საწარმოთა ადმინისტრაციასა და მუშაკებს შორის პრინციპულად ახალი ურთიერთობების დამყარების საფუძველი უნდა გახდეს.

ქვეყნის ბუნებრივმა სანედლეულო რესურსებმა უნდა უზრუნველყოს ნედლეულის მომხმარებელი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა განვითარება, რისთვისაც საქართველოს საკმარისი პოტენციალი გააჩნია.

ქვეყნის სანედლეულო-რესურსული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ნედლეულის გადამამუშავებელ, პროდუქციის მწარმოებელ და მომხმარებელ დარგებს შორის ორგანული კავშირების ფორმირებაზე, რითაც მიიღწევა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური წონასწორობა და იქმნება მისი სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობა.

საქართველოს ეკონომიკური განვითრების შემდგომი დაჩქარება ძირითადად დამოკიდებული იქნება იმ მაკროეკონომიკურ მოდელზე, რომელსც ქვეყანა აირჩევს არსებული რესურსების გამოყენების ბაზაზე სოფლის მეურნეობის და მრეწველობის შეკრული სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რისთვისაც აგრარულ სექტორში ბიზნესის განვითარებისათვის დამუშავდება სპეციალური მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ქვეყნის სანედლეულო ბაზის პრაგმატული შეფასების მიდგომიდან უნდა გადავიდნენ უპირატესად ეკონომიკურ მიდგომაზე, როდესაც არსებული რესურსები განიხილება, როგორც უძრავი მატერიალური ქონების ფორმა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო საბაზრო ურთიე-რთობებში, ამ ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ყველა ეკონომიკური მაჩვენებლებით.

რამდენადაც, დღეისათვის აგრარულ სექტორში ბიზნესის კრიზისული მდგომარეობის ძირითადი განმსაზღვრელი მიზეზი არის საბრუნავი საშუალებების და საერთოდ ფინანსური აქტივების უქონლობა, ამ დარგის განვითარების მიმართულებების განსაზღვრისას, დარგთა და საწარმოთა პრიორიტეტების დადგენა უნდა განხორციე-ლდეს მათ საინვესტიციო რესურსებზე მოთხოვნილების კონტექსტში. აქედან გამომდინარე, ამ დარგების ძირითადი ჯგუფები უნდა დაიყოს შემდეგი სქემებით:

- საბაზრო საწარმოებად, რომლებსაც გააჩნიათ უნარი თვითონ შექმნან საინვესტიციო რესურსები;
- პერსპექტიული დარგების ჯგუფებად, რომლებსაც შეუძლიათ

შექმნან საინვესტიციო რესურსები მათი რესტრუქტურიზაციის შემდეგ;

- სტრუქტურულად დეპრესიულ დარგები;

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ცოტაა ისეთი საწარმოები, რომლებსაც დღეისათვის შეუძლიათ აღორძინდნენ ინვესტიციების გარეშე, სადაც ძირითადად აგრარული სექტორის საწარმოები შედიან.

აგრარული სექტორში მეწარმეობის განვითარების მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე მისი განვითარებისათვის არსებული ხელშემწყობი პირობები, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- გარკვეული სანედლეულო ბაზის არსებობა (როგორც მატერიალური, ისე სასოფლო-სამეურნეო);
- ტრადიციული საექსპორტო პროდუქციის შექმნისა და გასაღების გამოცდილება;
- სამრეწველო და სასოფლო პოტენციალის არსებობა შიდა ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;
- განვითარებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, სასოფლო და სამრეწველო წარმოების გარკვეული გამოცდილება;
- თავდაცვითი მნიშვნელობის პროდუქციაზე მოთხოვ-ნილების არსებობა და სამამულო წარმოების მიერ მისი ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესაძლებლობა;
- აგრარულ სექტორში ბიზნესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ელემენტების არსებობა;

- აგრარული სექტორის პოტენციური მოთხოვნილების არსებობა სამრეწველო პროდუქციაზე;
- ხელშემწყობი ბუნებრივი კლიმატური პირობები და საკურორტო-ტურისტული ბიზნესის ინდუსტრიული მომსახურების პერსპექტივები;
- კვების მრეწველობის საწარმოთა რეაბილიტაცია და განვითარება (ღვინო და ღვინის პროდუქტები, ჩაი, სასმელი და მინერალური წყლები, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები, ეთერზეთები და სხვა);
- საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობისათვის მანქანა-დანადგარების წარმოება.

აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობაზე გადაყვანის სტრატეგია და ტაქტიკა (მიმართულებები) ორგანულად უკავშირდება პრივატიზაციის პროგრამას. სოფლის მეურნეობა ეს ერთ-ერთი დარგია, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში ჩავარდნილი ეკონომიკის ამომწევი ფუნქცია და ქვეყნის ეროვნულ დამოუკიდებლობაში განმსაზღვრელი როლი შეასრულოს. ამიტომაც, აუცილებელია აღნიშნული დარგი მიჩნეული იქნეს პრიორიტეტულ მიმართულებად, ქვეყნის ეკონომიკის ამაღორძინებელ დარგად.

ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ აგრარული სექტორში საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნეს, როგორც საშინაო და საგარეო ეკონომიკური მდგომარეობა, ისე რაც მთავარია, ეროვნული ინტერესები და გარემო პირობები.

უმუშევრობის პრობლემათა კვლევის საფუძვლად უმუშევართა აღრიცხვა უნდა იქცეს, რადგანაც ამ ინფორმაციულ ბაზას უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა შრომითი რესურსების აღრიცხვის მეთოდიკის და მაჩვენებელთა სისტემის შემუშავების საქმეში, მაგრამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდური მითითებების საქართველო-სთვის მორგება არასწორად მიგვაჩნია. სტატისტიკური მონაცემები დასაქმებისა და უმუშევრობის რეალურ სურათს არ ასახავს. ჩვენთან დასაქმებულად ითვლება მომუშავეთა დიდი რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ საარსებო მინიმუმის დაახლოებით 20 პროცენტს, რაც საერთაშორისო სტანდარტებით მიუღებელია. დაზუსტებას მოითხოვს დასაქმებისა და უმუშევრობის დონის გაანგარიშების მეთოდიკა – არასრული დასაქმებისა და შემოსავლების გათვალისწინების თავლსაზრისით.

შრომის ბაზრის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს სამუშაო ძალისა და ქვეყნის შრომითი პოტენცილის ეფექტიანი გამოყენება ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, რაც უნდა განხორციელდეს მათი ოპტიმალური განაწილების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, საზოგადოების შრომითი პოტენციალის რაციონალურად გამოყენებისკენ უნდა იყოს მიმართული. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა მთლიანად ცვლის შრომისადმი დამოკიდებულებას.

სახელმწიფოს მიერ იძულების ნაცვლად მკვიდრდება თავისუფალი არჩევანი.

თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები საშუალებას იძლევა, იქ დასაქმდეს ადამიანი სადაც პრესტიჟულად მიიჩნევს. მხოლოდ ასეთ მიდგომას შეუძლია უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების ამაღლება. ეს კი დასაქმებისა და ეკონომიკის ამაღლების უმთავრესი პირობაა. დასაქმებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა არის ღონისძიებათა სისტემა შრომითი რესურსებისა და შრომისუნარიანთა მაქსიმალურად გამოყენებისათვის, რაც შრომის სამართლიანი განაწილებისა და მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლების პირობებს ქმნის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარი, როგორც ყოველგვარი სასაქონლო ბაზარი, ვითარდება მოთხოვნა-მიწოდების კანონების შესაბამისად. ამის გათვალისწინებით წარმოიქმნება შრომის ბაზრის კვლევის ძირითადი კომპონენტები: მოთხოვნა, მიწოდება და ფასი. ბაზრის ძირითადი სუბიექტები კი მრავალფეროვანი მეწარმეები და შრომისუნარიანი ადამიანები არიან.

უმუშევრობის დონეს ისიც ამცირებს, რომ შინამეურნეობის თითქმის ყველა წევრი ითვლება დასაქმებულად „თვითდასაქმებულთა" კატეგორიის ხელოვნური ზრდა კი „ამცირებს" უმუშევართა საერთო რაოდენობას. ეს განსაკუთრებით სოფლადაა საგრძნობი. 1990 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 895 ათასი კაცი. საერთო დასაქმებულთა 25,5 პროცენტი, რომელიც აწარმოებდა მთლიანი შიდა პროდუქტის 29,8 პროცენტს, რაც შეადგენდა 4454 მლნ. მანეთს. 2009 წელს მთლიანად მომუშავე 1991,8 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1046,1 ათასი კაცი ანუ 52,5 პროცენტი, რომელიც

აწარმოებდა მთლიანი შიდა პროდუქტის 8,3 პროცენტს. მართალია, 1990 წელთან შედარებით 2009 წლისთვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 16,8%-ით, მაგრამ შიდა პროდუქციის მოცულობაში სოფლის ხვედრითი წილი 21,5 %-ით შემცირდა.

შრომითი რესურსების გამოყენებას სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რადგან მას სხვა რესურსების რაციონალურად გამოყენების საქმეში დიდი როლი ენიჭება. საწარმოო პოტენციალის გამოყენება წარმოუდგენელია ადამიანის შრომის გარეშე უილიამ პეტის სიტყვებით "შრომა სიმდიდრის მამაა და მიწა მისი დედა".

სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ერთადერთი განუხრელი პირობაა, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენება, მითუმეტეს, რომ იგი ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით მეტად დაბალი დონით ხასიათდება და შრომითი რესურსების ეფექტიანობის პრობლემაც მეტად რთული გადასაჭრელია.

ფართომასშტაბიანი აგრარული რეფორმის განსახორციელებლად სამი მთავარი პირობაა საჭირო:

- სწორი სახელმწიფო-ეკონომიკური პოლიტიკა;
- სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი და მისი მიღწევების დანერგვა;
- დიდი ინვესტიციები;

სამივე ფაქტორის ეფექტიანად მოქმედებას სჭირდება მეცნიერთა, სპეციალისტთა და მეწარმეთა სათანადოდ მომზადებული კადრები, რომელთა ნაკლებობა ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ საგრძნობია. სწორედ ეს

არის მიზეზი, რომ ბოლო პერიოდში ვერც ახალი სრულყოფილი პოლიტიკა განვსაზღვრეთ და სამწუხაროდ, ვერც ეკონომიკური სტრატეგიისა და ტაქტიკისადმი სრულფასოვნად შემუშავებული, მეცნიერულად გააზრებული მიდგომები. არადა ყველაზე მეტად გვჭირდება სათანადოდ მომზადებული მაღალკვალიფიციური, საღად მოაზროვნე ხელმძღვანელები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

შრომითი რესურსები მოსახლეობის ის ნაწილია, რომელსაც თავისი ფიზიკური უნარით, სპეციალური ცოდნით და გამოცდილებით შეუძლია შრომითი მონაწილეობის მიღება ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში. შრომითი რესურსების ძირითად აქტიურ ნაწილს შრომისუნარიანი მოსახლეობა შეადგენს.

აგრარული სექტორის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი რეზერვების გამოსავლენად დინამიკურად უნდა გამოვიკვლიოთ შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემდეგი მაჩვენებლები:

1. შრომითი რესურსების გამოყენების ინტენსიურობის ამსახველი მაჩვენებლები:
   - მუშაკების რაოდენობა ყოველ 100 ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგულზე;
   - ერთი მუშაკის მიერ წლიურად ნამუშევარი დღეები.
2. შრომითი რესურსების გამოყენებით მიღებული ეფექტის ამსახველი მაჩვენებელი:
   - შრომისმწარმოებლურობა (ერთ დასაქმებულზე);
3. შრომითი რესურსების გამოყენების დონის ამსახველი მაჩვენებლები:

- კაპიტალაღჭურვილობა;
- ერთი მუშაკის შრომის ანაზღაურება;

4. საშედეგო მაჩვენებლები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას ასახავს:

- მთლიანი პროდუქცია 100 ჰა სასოფლო სამეურნეო სავარგულზე;
- მოგების ნორმა;
- პროდუქციის გამოშვება საწარმოთა ზომების მიხედვით;

2009 წლისთვის ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ საქართველოს მოსახლეობის 45.4% შეადგინა, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივად აუცილებელ დასაქმებულებს და შრომის ბირჟაზე რეგისტრირებულ უმუშევრებს, ხოლო სოფლის მეურნეობაში აქტიური მოსახლეობა შეადგენს, სოფლის მოსახლეობის 54.7%-ს. (დანართი 15.). ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით დასაქმებულთა განაწილების სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია დასაქმებულთა 53.4% (იხ. დანართი 16.) დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება კი 2009 წელს ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 557 ლარს, ხოლო სოფლის მეურნეობაში კი 264 ლარს (იხ. დანართი 17).

შრომითი რესურსების დასაქმების ხარისხის ცვლილებების ანალიზისთვის გამოიყენება ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელსაც დასაქმების დონე ეწოდება.

ჩვენი გაანგარიშებით 2009 წელს დასაქმების დონე მთლიანად ქვეყანაში შეადგენდა 83%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობაში 92.2%, მათგან დაქირავებული - 16.1%, ხოლო თვითდასაქმებული 76.1%.

უმუშევრობის დონე მთლიანად ქვეყანაში შეადგენს 16.9%, ხოლო აგრარულ სექტორში 7.8%.

2009 წელს 2005 წელთან შედარებით შრომითი რესურსები შესაბამისად შემცირდა ქვეყნის მასშტაბით 1.5%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში 4.2%-ით, მაშინ როცა მოსახლეობის საერთო რაოდენობა გაიზარდა 1.5%-ით, მცირდება ასევე დასაქმებულთა რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით 5.2%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობაში 7.1%-ით. უმუშევართა რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა შესაბამისად 22.3 და 50.9%-ით.

ამ მაჩვენებლების დინამიკაში განხილვამ გვიჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში დასაქმების დონე მცირდება. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობაში მიმდინარე რეფორმებმა ვერ შეუწყო ხელი საწარმოო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესებას.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შედეგად არსებითად იცვლება შრომითი რესურსების მდგომარეობა და პირობები. უფრო მჭიდრო კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა წარმოების კვალიფიკაციასა და მის შესაძლებლობათა მატებას შორის. ჩვენს ქვეყანაში ეს ობიექტური კანონზომიერებაც დარღვეულია. შრომისუნა-რიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუსაქმებელია, რაც მათ კვალიფიკაციას აქვეითებს. შესაბამისად ეცემა შრომის ნაყოფიერება და იზრდება პროდუქციის თვითღირებულება, რაც ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას.

სამუშაო ძალის გამოყენების მრავალფორმიანობის პირობებში აუცილებელი ხდება შრომის ბაზრის ფორმირება. ა.როფე ამას იმით ასაბუთებს, რომ იმ ადამიანების გვერდით, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი სამუშაო ძალის გაქირავება შეუძლიათ, არსებობენ ისეთებიც,

ვისაც საკმარისი სახსრებიც აქვთ, ამიტომ ისინი არ იმუშავებენ და მხოლოდ დაქირავებულ შრომაზე ააგებენ წარმოებას. ამდენად შრომის ბაზარზე თავს იყრის:

- დაქირავებული მუშა, რომელსაც აქციების შეძენის შედეგად დივიდენდებიც აქვს და ხელფასსაც იღებს;
- წარმოების საშუალებათა მესაკუთრე, ფერმერი, მუშა, მენეჯერი, რომლებიც შემოსავალს იღებენ ხელფასის და წარმოების საშუალებების ანაზღაურებით;
- მესაკუთრე, რომელიც არ მონაწილეობს წარმოების პროცესში და მოგებას წარმოების საშუალებების ან სახსრების ჩადებით იღებს;

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისა და ქონების განსახელმწიფოებრიობის სახელმწიფო პოლიტიკა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ყველა ადამიანს მომავლის შესაქმნელად თანაბარი სასტარტო პირობები შეექმნას. ფაქტიურად ეს ქვეყანაში არ განხორციელებულა რადგან თეორიულადაც კი თავის თავში წინააღმდეგობებს შეიცავს.

განვითარებულ ქვეყნებშიც კი დაქირავებული მუშა ბაზრის კანონების მოთხოვნა - მიწოდების წნეხშია მოქცეული. ჩვენთან ვითარება გაართულა პრივატიზაციაში დაშვებულმა შეცდომებმა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოციალურად დაუცველი და სიღატაკის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა. ამ მხრივ სოფლად უფრო ცუდი მდგომარეობაა. გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა, დაეცა ცხოვრების დონე, რაც ბუნებრივია უარყოფითად მოქმედებს შრომითი რესურსების კვლავწარმოების პროცესსა და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელზე.

სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე მსჯელობენ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლით, კერძოდ იმით, თუ დახარჯული დროის განმავლობაში რამდენი პროდუქცია იქმნება.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან (იხ. დანართი 18.19.20.21.) ჩანს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში ქვეყნის მასშტაბით 2009 წელს 2005წელთან შედარებით გაიზარდა 54,5%-ით და შეადგენდა 17948,6 მლნ.ლარი, ხოლო იგივე პერიოდში სოფლის მეურ-ნეობაში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 13,3%-ით და 2009 წელს შეადგენდა 1488,4 მლნ. ლარი. სოფლის მეურნეობაში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ სოფლის მაცხოვრებელზე 2009 წელს შეადგენდა 716,9 ლარს და 2005 წელთან შედარებით შემცირებულია 13,8%-ით, ხოლო ქვეყნის მასშტაბით 2009 წელს შეადგენდა 4092,8 ლარს, რომელიც 5,7 ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის მაჩვენებელს. იგივე მაჩვენებლის ერთ სულ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეზე გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ თუ მთლიანად ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 9011 ლარს, სოფლის მეურნეობაში იგი შეადგენს 1311,6 ლარს ანუ ამ შემთხვევაშიც სოფლის მეურნეობის მაჩვენებელს 6,8 ჯერ აღემატება ქვეყნის მასშტაბით მიღწეული დონე. სოფლის მეურნეობის სამეწარმეო სფეროში გამოშვებული მთლიანი პროდუქციის მოცულობა 2009წელს 2005წ-თან შედარებით გაიზარდა 2,7-ჯერ, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვება ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით 2.3-ჯერ (იხ.დანართი 22.).

ანალიზი გვიჩვენებს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთი ტემპით ვერ შეიქმნება სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვე და არ

გადაწყდება უმუშევრობის საკითხი. შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენება დიდად არის დამოკიდებული პროგრესულ ფორმების შემუშავებასა და წარმოებაში ფართოდ დანერგვაზე.

სიახლეების დანერგვა აამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას, ხელს შეუწყობს, ფულად-მატერიალური სახსრების მომჭირნეობით ხარჯვას, არსებული რეზერვების ამოქმედებას და ბუნებრივია გაზრდის რენტაბელობის დონეს.

2005-2009 წლებში საქართველოში სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 0,4 %-ით და 2009 წელს შეადგინა 387463 კაცი. მათ შორის სოფლის მეურნეობაში გაიზარდა 15,5 % -ით და 2009 წელს შეადგინა 6058 კაცი. სოფლის მეურნეობის სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა ქვეყნის მასშტაბით დასაქმებულთა 1,6% (იხილეთ დანართი 23).

სამეწარმეო სფეროში ჩამოყალიბებულ საწარმოთა ტიპებში დასაქმებულთა მაჩვენებლების გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ 2009 წელს მსხვილ საწარმოებში დასაქმებული იყო 1908 კაცი (31,5 %), საშუალო საწარმოებში 1294 კაცი (21,4%), ხოლო მცირე საწარმოებში 2856 კაცი (17,1 %). ამ მაჩვენებლებს თუ გავაანალიზებთ საკუთრების ფორმების მიხედვით მივიღებთ შემდეგ სურათს, სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 557 კაცს ანუ სოფლის მეურნეობის სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა 9,2%-ს, არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 5501 კაცს, რაც პროცენტულად ტოლია 90,8 %-ის. (იხ. დანართი 24.)

სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა სამართლებ-რივი ფორმების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად: იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რაოდენობა 5039 კაცი (83,2 %), ხოლო ინდივიდუალურ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 1019 კაცი (16,8 %).

სხვა ბაზრების მსგავსად შრომის ბაზარიც ფასის წონასწორობის საფუძველზე მოქმედებს. შრომის საბაზრო ფასი არის ის ფასი, რომელიც გადაიხდება მასში მოთხოვნისა და მოწოდების თანაფარდობის ბუნებრივი ზემოქმედებით: შრომა ძვირია, რაც უფრო იშვიათია, ხოლო იაფია, რაც უფრო ჭარბადაა.

სამუშაო ძალის ფასს წარმოადგენს შრომის ანაზღაურება. მის დონეზე გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მიწოდება და პირიქით. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათი ურთიერთ-განპირობებულობა არ არის სწორხაზოვანი, როგორც ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეწარმეო სფეროში დასაქმებული ერთი მუშის საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2005-2009 წლებში გაიზარდა 2,2-ჯერ და 2009 წელს შეადგინა 261,3 ლარი. წარმოების ზომების მიხედვით საშუალო თვიური ანაზღაურება: მსხვილი საწარმოებში 384,3 ლარი, საშუალო 187,4 ლარი და მცირე 173,5 ლარი, როგორც ჩანს მსხვილ საწარმოებში ანაზღაურება 2-ჯერ მეტია ვიდრე საშუალო და მცირე საწარმოებში. საკუთრების ფორმების მიხედვით მსხვილი საწარმოებიდან სახელმწიფო საწარ-მოებში საშუალო თვიური ხელფასი 14,5%-ით მეტია, ვიდრე არასახელმწიფო საწარმოებში, საშუალო საწარმოებში ეს მაჩვენებლები

უფრო მაღალია და შეადგენს 33,4 %-ს, ხოლო მცირე საწარმოებში 25 %-ით მეტია სახელმწიფო საწარმოებთან შედარებით.

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების პროცესში იცვლება მეურნეობრიობის და საკუთრების სხვადასხვა ფორმა, დარგობრივი სტრუქტურა გავლენას ახდენს სამუშაო ძალისა და შრომის გამოყენების ხასიათზე. ამიტომ ამ საკითხების შესწავლა-შეფასებაც აქტუალური ხდება.

მაჩვენებელთა აღნიშნული სისტემა საშუალებას იძლევა:

- შესწავლილი იქნეს შრომითი რესურსების ეფექტიანობა, სასოფლო- სამეურნეო წარმოების ობიექტური პირობებისა და კონკრეტული ტერიტორიის თავისებურებათა გათვალისწინებით;
- გამოვლენილი და შეფასებულ იქნეს ფაქტორები, რომლებიც საწარმოთა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მაჩვენებლებზე მოქმედებენ;
- დაისახოს ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები კონკრეტული შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენე-ისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შრომითი რესურსების გამოყენების, შრომისუნარიანთა სრული დასაქმების, მოსახლეობის სოციალურად დაცვის და პროფესიული მომზადების აქტუალური საკითხები მეტად რთულია, მაგრამ მათი გადაჭრა აუცილებელია და შეიძლება კიდეც შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების გამოყენებით.

3.2 მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება და მისი პოტენციალის ეფექტური გამოყენების ამაღლების მიმართულებები.

მიწა მთელი თავისი სიმდიდრით ნიადაგით, ასევე წყლით, ჰაერით, ფლორითა და ფაუნით ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობაა. მიწა, როგორც ბუნებრივი სხეული არსებობს ადამიანის ნებისა და ცნობიერების გარეშე. ადამიანმა მიწის გამოყენება დაიწყო მაშინ, როცა იგი მიხვდა, რომ მიწა არამარტო საყრდენია, არამედ რაღაც სარგებლიანობის მოტანაც შეუძლია. ადამიანის განვითარებასთან ერთად ვითარდება შრომის იარაღებიც. მიწა გახდა შრომის საგანი და ბაზისი ადამიანის მოქმედებისა.

სოფლის მეურნეობაში მიწას სულ სხვა დანიშნულება აქვს, ვიდრე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. სასოფლო სამეურნეო წარმოების პროცესი უშუალოდ დაკავშირებულია ნიადაგის ნაყოფიერებასთან, ბიოლოგიურ და იმ პროცესებთან, რომლებიც ნიადაგში ხდება. თუმცა ამ შემთხვევაში ურთიერთკავშირის არსი უფრო სრულად ასახავს „ მიწის" ცნებას.

ცნება „მიწა" გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე „ნიადაგი". ის მოიცავს რელიეფსა და ნაკვეთების ექსპოზიციას, მასივების კონფიგურაციას, ე. ი. მთელი ფაქტორების კომპლექსს, რომლებიც განაპირობებენ ცალკეული ნაკვეთების და მასივების სამეურნეო გამოყენების პირობებს და შესაძლებლობებს. მაშასადამე, გავლენას ახდენს საბოლოო სამეურნეო შედეგზე.

მიწა ბუნების პროდუქტია. ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ის, როგორც ბუნების საგანი, ჩართული იქნა

წარმოებაში, რომლის პროცესში მას შეუერთდა ადამიანის ცოცხალი და განივთებული შრომა. ამ დროიდან მიწა იქცევა წარმოების საშუალებად და მიწის გარეშე უკვე უაზროა შრომის პროცესი. მიწის გამოყენების ხასიათი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სხვადასხვაა. გადამამუშავებულ მრეწველობაში მიწა მოქმედებს, როგორც ბაზისი, ფუნდამენტი, რომელზეც ხდებოდა მოქმედება. ამ დროს მიწის ხარისხს არ აქვს მნიშვნელობა, როცა ხდება მიწის გამოყოფა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისათვის, ცდილობენ გამოყონ დაბალნაყოფიერი მიწა. მომპოვებელ მრეწველობაში მიწა ბუნებრივი საწყობია, საიდანაც იღებენ საჭირო დოვლათს, სასარგებლო წიაღისეულს და აქაც არ აქვს მნიშვნელობა ნიადაგის ნაყოფიერებას, ხოლო სოფლის მეურნეობაში ნიადაგის ნაყოფიერება ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. აქ წარმოების პროცესი მთლიანად დამოკიდებულია ნიადაგზე. სოფლის მეურნეობისათვის ნიადაგის უმნიშვნელოვანესი თვისებებია ნაყოფიერება-უნარი უზრუნველყოს მცენარე წყლითა და საკვები ნივთიერებებით, რაც აუცილებელია მცენარის განვითრებისათვის. მიწის ეს თვისება განასხვავებს მას წარმოების სხვა საშუალებებისაგან.

განასხვავებენ ნიადაგის ბუნებრივ, ხელოვნურ და ეკონომიკურ ნაყოფიერებას. ამასთანავე ის განისაზღვრება ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებებითა და კონკრეტული კლიმატური პირობებით. ადამიანი არამარტო იყენებს ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერებას, არამედ ზემოქმედებს მასზე, რათა შეცვალოს მისი ბუნებრივი თვისებები – შეაქვს სასუქები, რწყავს, აშრობს და ატარებს ისეთ ღონისძიებებს, რის შედეგადაც მაღლდება ნიადაგის ბუნებრივი და იქმნება ახალი ეკონომიკური ნაყოფიერება. კარგი მოვლით ნიადაგის

ნაყოფიერება შეიძლება გაიზარდოს, ამაღლდეს მისი მწარმოებლური თვისებებიც. ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერება არის ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერების ერთიანობა და გულისხმობს მის ეფექტურ გამოყენებას, მიწაზე შრომისა და შემდგომი კაპიტალდაბანდებების გზით.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ერთადერთი გზაა მიწის ეფექტური ნაყოფიერების ზრდისთვის, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირემიწიანობის პირობებში.

მიწათსარგებლობის ეკონომიკური ეფექტურობის დასადგენად იყენებენ (ნატურალურ და ღირებულებით) შემდეგ ძირითად მაჩვენებლებს:

- მთლიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება მიწის ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით;
- მემცენარეობის პროდუქციის წარმოება მიწის ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით;
- მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება მიწის ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით;
- ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა;
- ცხოველების სულადობის სიმჭიდროვე და მათი პროდუქტიულობა;
- საერთო ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისი სავარგულის 100 ჰა-ზე, მთლიანი შემოსავალი და მოგება;

სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელ დონეს უპირატესად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა და გამოყენების ხარისხი.

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა (იხ. დანართი25.26.), საქართველოს მიწის საერთო ფონდიდან (7628,4 ათასი ჰა), 3025,8 ათასი

ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, საიდანაც სახნავზე მოდის 801,8 ათ. ჰა (26,5%), მრავალწლიანი ნარგავებზე 263.5 ათ. ჰა. (8.7%), სათიბებზე 143.8 ათ. ჰა. (4.8%), და საძოვრებზე 1796,6 ათ. ჰა (59,4%). სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან დამუშავებას ექვემდებარება მხოლოდ 35,2%, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ასეთი მცირემიწიანობის პირობებში მაქსიმალურად რაციონალურად უნდა გამოვიყენოთ არსებული სავარგულები.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობიდან განკერძოებულია 25,2% (763 ათასი ჰა), ხოლო გაცემულია იჯარით 29,7% (898 ათასი ჰა), რაც მთლიანობაში შეადგენს სასოფლოს-სამეურნეო სავარგულების 55%-ს. რითაც ირკვევა, რომ სავარგულების 45% (1364,8 ათასი ჰა) არავისზე არ არსი განპიროვნებული და დაუმუშავებელ გამოუყენებელი რჩება, აქედან 85,2% (1163,3 ათასი ჰა) არაინტენსიურია (სათიბ-საძოვარი), დანარჩენი 14,8% (201,5 ათასი ჰა) ინტენსიური სავარგულია.

ქვეყანაში განხორციელებული რეფორმებიდან მიწის რეფორმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა იყო, რადგან მან სათავე დაუდო მიწის კერძო საკუთრებას, მიწის ბაზრის ფუნქციონირებას, მიწის რეგისტრაციციის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. რეფორმის შემდეგ საკუთრებაში უსასყიდლოდ გადავიდა 763 ათასი ჰა სავარგული (მათ შორის სახნავი 436,6 ათასი ჰა, მრავალწლიანი ნარგავი 181,1 ათასი ჰა,სათიბი 41,9 ათასი ჰა და საძოვრები 83,6 ათასი ჰა.). ყოველივე აღნიშნული გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში დაიწყო ლეგალური მიწის ბაზრის ჩამოყალიბება. მიწის რეფორმის ხაზით გატარებული მთელი რიგი ღონისძიებების

მიუხედავად, მიწის რესურსების გამოყენების საქმეში კვლავ ბევრი ხარვეზია. ამ თავლსაზრისით, უნდა აღინიშნოს სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზება.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის 2005 წლის კანონით „სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ" აუცილებელი წესით პრივატიზებას ექვემდებარება იჯარით გაცემული მიწებიც. საეჭვოა, რომ ამან ხელი შეუწყოს იმ სოციალურ უსამართლობის გამოსწორებას, რომელიც თავის დროზე ამ მიწების იჯარით გაცემის დროს იქნა დაშვებული.

როცა მიწების გამოყენების დაბალი დონის გამომწვევ ფაქტორებს ვიკვლევთ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მიწების პარკულაციის საკითხს, რაც ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს პირველი ეროვნული სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები, რომელიც ჩატარდა ევროკომისიისა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში 691577 მიწიანი მეურნეობაა (დანართი 27.) რეგისტრირებული. მეურნეობათა 43,1 % ფლობს ნახევარ ჰა-მდე მიწის ნაკვეთს, 05, ჰა-დან 1 ჰა-მდე ნაკვეთებს ფლობს მეურნეობათა – 32 %, 1 ჰა-დან 3 ჰა-მდე – 21,3 %. 3 ჰა-დან 5 ჰა-მდე – 2%, 5 ჰა-დან 10 ჰა-მდე - 0,9 %, 10 ჰა-დან 20 ჰა-მდე – 0,4 %, 20 ჰა-დან – 50 ჰა-მდე – 0,2 %, 50 ჰა-დან 100 ჰა-მდე 0,07 %, 100 ჰა-დან 200

ჰა-მდე – 0,04 %, 200 ჰა-დან 500 ჰა-მდე – 0,03 % და 500 ჰა-ზე ზევით – 0,01 %. ასეთ მეურნეობათა რიცხვი შეადგენს 72 -ს.

აქ თუ მოკლე ანალიზს გავაკეთებთ, უნდა ითქვას, რომ 0,5 ჰა-მდე მიწის ფართობზე რაიმე პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, მექანიზაციის ან სხვა საშუალებების გამოყენება, შრომის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, პრაქტიკულად გამორიცხულია. ფერმერულ მეურნეობათა ეს კატეგორია ორიენტირებულია თვითუზრუნველყოფაზე და ამდენად, აქ წარმოების საქონლიანობის დონე ყოველთვის დაბალი იქნება.

თუ განვიხილავთ მეურნეობათა სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწას და მის სტრუქტურას საქართველოს რეგიონების მიხედვით, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ტენდენციები, მოსაზრებები და დასკვნები. მეურნეობათა სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სახნავზე მოდის 56,2%. მრავალწლიან ნარგავებზე 11,9 %, სათიბ-საძოვრებზე 31,8%. (დანართი 28.29.). რეგიონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უზრუნველყოფის ყველზე მაღალი დონით გამოირჩევა სამცხე-ჯავახეთი, სადაც თითოეულ მეურნეობაზე მოდის 2,32 ჰა სავარგული, კახეთში 2,21 ჰა და ქვემო ქართლში 1,43 ჰა. (იხ.დანართი 30.), რაც ძირითადად სათიბ საძოვრების ხარჯზე მიიღწევა. სავარგულების სტრუქტურაში ინტენსიური სავარგულები მაღალი ხვედრითი წონითაა იმერეთში 81,6%, შიდა ქართლში 74,4% და სამეგრელოსა და ზემო სვანეთში – 60, 1%.

მეურნეობათა სარგებლობაში არსებული მიწის საერთო ფონდიდან საკუთრებაშია 65,2% სავარგული, ხოლო იჯარითაა აღებული 34,8%. (იხ. დანართი 31). რეგიონების მიხედვით მეურნეობათა სარგებლობაში

არსებული მიწებიდან რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში საკუთრებაშია 99,1%. იმერეთში 93,3%, ხოლო გურიაში 92,9%. ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქვემო ქართლში 40 %.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა და მიწის უზრუნველყოფის მაჩვენებელი არსებით გავლენას ახდენს თითოეული რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, კერძოდ ის მხარეები თუ რაიონები, სადაც მაღალია მიწის უზრუნველყოფის მაჩვენებელი (განსაკუთრებით მაღალ ინტენსიური სავარგულები), იქ შედარებით მაღალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ფულადი შემოსავლების დონეც ერთ ოჯახურ მეურნეობაზე გაანგარიშებით, შესაბამისად დაბალია მოსახლეობის მიგრაციის დონე. საქართველოს რეგიონებში მიწის რესურსების გამოყენების მხრივ სერიოზული პრობლემები არსებოს, რომლებიც მცირემიწიანობასთან ერთად მიწების დაუმუშავებლობას, მინერალურ სასუქებზე ხელმიუწვდომლობას, მოუწესრიგებელ საირიგაციო და სადრენაჟე სისტემებს, მიწების ფრაგმენტაციას და სხვა სოფლად რეალურად არსებულ პრობლემებს უკავშირდება.

ყოველივე აღნიშნული განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეტად დაბალ მოსავლიანობას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ფერმერულ მეურნეობებში 2009 წლის მონაცემებით მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების მოსავლიანობა არ აღემატება 1,1-1,3 ტონას, ბოსტნეულის 6,8 ტონა, ბაღჩეული 14,8 ტონა, კარტოფილი 11,5 ტონა და ა.შ. დაბალია ასევე მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობაც. კერძოდ, ყურძნის საშუალოდ შეადგენს 4,6 ტონას, ხილის 5,8 ტონას. ბუნებრივია ასეთ პირობებში დამუშავებაში მყოფი მიწების პროდუქ-

ტიულობის მაჩვენებელიც დაბალი იქნება.

ფართობის ერთეულზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოსავლის დაბალ დონეს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალმოსავლიანობასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურაში დამუშავებაში მყოფი მიწების ხვედრითი წონაც განაპირობებს, კერძოდ სავარგულის ერთეულზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. 2008 წელს შეადგენს 758 ლარს. მ.შ. მემცენარეობაში 313 ლარს, ხოლო მეცხოველეობაში 418 ლარს.

ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა:

1. მიწის გამოყენების დონე მთლიანად საქართველოში და მის ცალკეულ მხარეებში არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის პოტენციალს (ნიადაგის ნაყოფიერების, კლიმატური პირობებისა და სხვა ფაქტორების თვალსაზრისით) და მის ინტერესებს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიღწევის საქმეში;

2. მიწის სავარგულების გამოყენების დაბალ დონეს ერთი მხრივ განაპირობებს ფერმერთა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა (საკრედიტო რესურსებზე ხელმიუწვდომლობა, მისგან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგით, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები სამართლებრივი და მარკეტინგული სისტემის ხარვეზები და ა.შ.), ხოლო მეორე მხრივ კი ფერმერებში დამკვიდრებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეტად ფართო სპეციალიზაციის პრაქტიკა. ფერმერული მეურნეობების აბსოლუტური უმრავლესობა კვლავაც ტრადიციული მეთოდებით და ხერხებით უძღვება მეურნეობას, უგულვებელყოფენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს, კულტურათა გაადგილების შეფარდებითი უპირატესობის

პრინციპს (აწარმოებენ პრაქტიკულად ყველაფერს, რაც კი თვითუზრუნველყოფისთვის ესაჭიროებათ) და ა.შ.

ჩვენი აზრით სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურას, და კულტურათა გაადგილებას საფუძვლად უნდა დაედოს წარმოების შეფარდებითი უპირატესობის პრინციპი. ასევე შიდამეურნეობრივი და დარგობრივი კონკურენტუნარიანობა, ამა თუ იმ კულტურის წარმოებისათვის საჭირო შეზღუდული საწარმოო ფაქტორე-ბის გათვალისწინებით.

უნდა ითქვას, რომ როგორც ახლო, ისე შედარებით შორეულ პერსპექტივაში, მიწის გამოყენების პროგნოზული მაჩვენებლები დამო-კიდებული იქნება ქვეყანაში განხორციელებულ აგრარული პოლიტიკის ხასიათზე და ეკონომიკური მექანიზმების ქმედუნარიანობაზე. მხედველო-ბაში გვაქვს ის ფაქტი, რომ თუ ქვეყანაში კვლავაც გაგრძელდება არსებული აგრარული პოლიტიკა, მაშინ რაიმე არსებით გაუმჯობესებას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წარმოებაში ჩართვის და მისი პოტენციალის სრულად გამოყენების თვალსაზრისით არ უნდა ველოდოთ. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა უკანასკნელ წლებში ქვეყნის რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მეტად დაბალი მაჩვენებლები, ასობით ათასი ჰექტარი დაუმუშავებელი მიწები, სოფლის მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაცია და სხვა არასასურველი ეკონომიკური ტენდენციები.

2009 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში შეტანილი იქნა 59,6 ათასი ტონა მინერალური სასუქი. აღნიშნული მაჩვენებლის რეგიონულ ჭრილში

გაანალიზებამ გვიჩვენა, რომ მინერალური სასუქები ყველაზე დიდ რაოდენობით 26,3% გამოყენებული იქნა იმერეთის რეგიონში. სამეგრელო-ზემო სვანეთში – 20,5%. ამასთან ქვეყნის მასშტაბით განაყოფიერებულმა ფართობმა შეადგინა ერთწლიან კულტურებში 155,2 ათასი ჰა, ხოლო მრავალწლიან კულტურებში 29,3 ათასი ჰა. 1 ჰა-ზე საშუალოდ შეტანილია 32,4 კგ, როცა ეს მაჩვენებელი 1980 წელს შეადგენდა 160-170 კგ-ს.

ორგანული სასუქი (ნაკელი) 2009 წელს შეტანილი იქნა 388 ათასი ტონა, მათ შორის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი რეგიონებში დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში – 25%, იმერეთში – 20,6% და სამეგრელო ზემო სვანეთში. ორგანული სასუქით განაყოფიერებულმა ფართობმა ერთწლიან კულტურებში შეადგინა 42,2 ათასი ჰა, ხოლო მრავალწლიანებში 20,7 ათასი ჰა. საშუალოდ 1 ჰა სავარგულზე შეტანილი იქნა 6,1 ტონა.

ახლო გრძელვადიან პერსპექტივაში მიწის გამოყენების პროგნოზის კვლევისას გაანალიზებული იქნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ამოღების და ინტენსიური სავარგულების არაინტენსიურ სავარგულებში გადაყვანის ტენდენციები, როგორც სათანადო მასალების შესწავლამ გვიჩვენა ორივე მიმართულებით ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობა იკვეთება. კერძოდ, 2005 წლამდე არასასოფლო დანიშნულებით სულ ამოღებული იქნა 330 ათას ჰა-მდე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწა, ამასთან ერთად ინტენსიური სავარგულის კატეგორიიდან დაბალინტენსიური სავარგულის კატეგორიაში გადავიდა 80 ათას ჰა-მდე მიწა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში რაციონალური აგრარული პოლიტიკის განხორციელების

პირობებში ჩამოყალიბდება არაინტენსიური სავარგულის ინტენსიურ სავარგულში გადაყვანის ტენდენცია.

ექსპერტთა შეფასებით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის მაგისტრალების, აგრეთვე ქვეყნის შიგნით საავტომობილო და სარკინიგზო გზების და სხვა სახის მშენებლობებმა უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მნიშვნელოვანი ნაწილის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლა გამოიწვია. ამ პროექტების განხორციელებას 2000-2008 წლებში დაახლოებით 30 ათას ჰა სავარგული მოხმარდა.

მომავალში ამ კატეგორიის მიწების მნიშვნელოვან ნაწილს დაიკავებს ასევე ყარსი-ახალქალაქის, თბილისი-სენაკის მაგისტრალის გაფართოება და მომავლის სხვა პროექტებით გათვალისწინებული გზებისა და ნაგებობების მშენებლობები.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2007 წელს მიღებული კანონი „მიწების მიზნობრივი" დანიშნულების შეცვლის წესის შესახებ", კიდევ უფრო დააჩქარებს სავარგულების ბრუნვიდან ამოღების ტემპს, რადგან აღნიშნული კანონით 1 ჰა-ზე 34 ათასი ლარის გადახდის შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეიძლება გადავიდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიაში.

ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბრუნვიდან ამოღების ტემპი მომავალში პრაქტიკულად იგივე დარჩება, რაც იყო 2000-2008 წლებში. (ანუ საშუალოდ ყოველ წელს შემცირდება (4-5 ათასი ჰა). მიმდინარე ეტაპზე უცნობია ხელისუფლების სამომავლო აგრარული პოლიტიკა, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ უკანასკნელ პერიოდში სასურსათო პრობლემის გამწვავება მსოფლიოში და

არასახარბიელო პროგნოზი ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნის აგრარულ პოლიტიკას ორიენტირებულს გახდის სურსათის თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებაზე, რისთვისაც საჭირო იქნება სათანადო ინვესტიციები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ხარისხობრივი მონაცემების გასაუმჯობესებლად და მიწის პოტენციალის სრულად გამოსაყენებლად.

3.3 ძირითადი საწარმოო კაპიტალის გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებები აგრარულ სექტორში

ინვესტიციური სფერო ეროვნული მეურნეობის დარგების გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველმყოფი საინვესტიციო ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლიობაა. მისი მატერიალური საფუძველია სხვადასხვა სახის საინვესტიციო რესურსები (ტექნიკური, ფინანსური, შრომითი და სხვა), რომლებსაც ვიყენებთ ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში ინვესტირებისათვის, საკუთარი მატერიალური-ტექნიკური ბაზის განვითარებაზე სახსრების დაბანდების ჩათვლით.

ინვესტიციური სფერო ფუნქციონირებს მთელი ეკონომიკური სისტემის ფარგლებში და მისი შემადგენელი ნაწილია. ინვესტიციური სფეროს ფუნქციონირება უზრუნველყოფს მარტივ კვლავწარმოებას საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე და, აგრეთვე, ძირითადი კაპიტალის აუცილებელ მატებასა და მათ მოდერნიზებას.

როგორც ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილი, ინვესტიციური სფერო რეგულირდება საერთო საბაზრო კანონებით;

მოთხოვნისა და მიწოდების, ფულის მიმოქცევის, კონკურენციის და ეკონომიკური წონასწორობის კანონებით და ა.შ.

ინვესტიციური სფეროს ეკონომიკური შინაარსი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: იგი სპეციფიკური ეკონომიკური ურთიერთობების (ინვესტიციური ურთიერთობების) ქვესისტემაა. ეს უკანასკნელი ინვესტიციების ფორმირების, რეალიზაციის და დაბანდების პროცესში ყალიბდება ინვესტიციის სუბიექტებს შორის, მათი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ინვესტიციების სასიცოცხლო ციკლი არის ინვესტიციების წრებრუნვა საინვესტიციო რესურსების აკუმულაციის მომენტიდან მათ მთლიან უკუგებამდე. მაკროეკონომიკურ დონემდე მას აყალიბებს საწარმოების ინდივიდუალურ წრებრუნვათა ჯამი და იგი ასახავს იმ ღირებულების მოძრაობას, რომელიც ავანსირდება საინვესტიციო საქმიანობის ამა თუ იმ ობიექტში: ახლად შექმნილ და მოდერნიზებულ ძირითად კაპიტალში, საბრუნავ სახსრებში, ფასიან ქაღალდებში, მიზნობრივ ფულად ანაბრებში, სამეცნიერო-ტექნიკურ პროდუქტებში, ქონებრივ უფლებებსა და ინტელექტუალურ საკუთრებაზე (პატენტებზე, გამოგონებებზე და სხვა) არსებულ უფლებებზე და ა.შ.

ინვესტიციური სფეროს ობიექტებია: სახელმწიფო, დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, ხელისუფლების რეგიონული ორგანოები, საწარმოების ადმინისტრაციები და მოსახლეობა. ისინი მონაწილეობენ ინვესტიციის პროცესში, რომელიც მოიცავს: ინვესტირებას, იჯარით მშენებლობას, ინვესტიციებისა და ინვესტიციურ ურთიერთობათა მართვას, საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო-კვლევით და საწარმოო-

საექსპლოტაციო სამუშაოთა ჩატარებას, ინვესტიციურ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებას და ა.შ.

იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ახორციელებენ ინვესტიციებს, საინვესტიციო კაპიტალში აბანდებენ საკუთარ, ნასესხებ ან მოზიდულ სახსრებს, ინვესტორებს უწოდებენ. ინვესტიციურ კაპიტალს უწოდებენ იმ ქონებას, ფინანსურ ინსტრუმენტებს, ინტელექტუალურ ან საინფორმაციო პროდუქტს, რომელსაც მოგება მოაქვს. ინვესტირების პროცესში ინვესტორები შესაძლოა ასრულებდნენ შემკვეთების, მეანაბრეების, კრედიტორების, საინვესტიციო საქონლის მყიდველების როლს, რაც განსაზღვრავს ამ პროცესში მათი მონაწილეობის ხასიათს.

ინვესტიციური სფერო მოიცავს: წარმოებასა და ინვესტიციურ ინფრასტრუქტურას. ინვესტიციურ წარმოებას ეკუთვნის ეკონომიკის რეალურ სექტორში მიმდინარე საქმიანობა, რომელიც ინვესტიციების სასიცოცხლო ციკლის ათვისებისა და ექსპლუატაციის სტადიაზე ხორციელდება. ინვესტიციური ინფრასტრუქტურა წარმოუდგენილია იმ დარგებისა და ინსტიტუტების ერთობლიობით, რომლებიც ინვესტიციურ წარმოებას ემსახურებიან. ესაა ინსტიტუციურ-სამართლებრივი, საკრედიტო-საფინანსო, საინფორმაციო, საორგანიზაციო, საკონტროლო ქვესისტემები და სხვა.

ინვესტიციურ სფეროში ბაზრის თვითმაორგანიზებელი როლის მიუხედავად, მას არ შეუძლია გადაწყვიტოს მეურნე სუბიექტების საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოსა და რეგიონების ჩარევა ინვესტირების პროცესში. ეს გულისხმობს ქმედითი სოციალურ-

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშვებას, რომელიც ქვეყანასა და რეგიონში სასიკეთო საინვესტიციო გარემოს შექმნისაკენ იქნება მიმართული.

ინვესტიციების მოსაზიდად სახელმწიფო იყენებს საშინაო და საგარეო წყაროებს. საშინაო წყაროა შემოსავლები, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები სახელმწიფო სესხის ობლიგაციათა და სხვა გაყიდვა (შემდგომი გამოსყიდვით), საამორტიზაციო ანარიცხები და სხვა. საგარეო წყაროა კრედიტები, უცხოური დახმარებები. თავის მხრივ, ინვესტიციები ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა.

ქვეყანაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების დინამიკა გვიჩვენებს, 2005-2009 წლებში მათი მოცულობა გაიზარდა 46.2%-ით და 2009 წელს შეადგინა 658 მლნ. აშშ დოლარი. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებია: ემირატები 27.7% (163 მლნ. აშშ დოლარი.); თურქეთი 14.9% (98 მლნ. აშშ დოლარი); პანამა 11.4% (75 მლნ.აშშ დოლარი) და ა.შ. უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი მოდის უძრავ ქონებაზე 22.2%, ხოლო სოფლის მეურნეობაზე მხოლოდ 1%. (იხ. დანართი 32.33.34.)

წარმოების საშუალებები თავისი ბუნებით კაპიტალი არ არის. წარმოების საშუალებები კაპიტალად გადაიქცევა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა წარმოების ეს საშუალებანი გამოიყენება ზედმეტი ღირებულების შექმნისათვის. ამასთან, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ამ კატეგორიასთან დაკავშირებით, რომელიც დღემდე იმსახურებს ყურადღებას.

ფ. კენეს აზრით კაპიტალი საგანი, მატერიაა. ა. სმიტის შეხედულებით კაპიტალი არ არის ისტორიული კატეგორია. იგი კაპიტალში არ ეძებს წარმოებით ურთიერთობას. კაპიტალს იგი აიგივებს

წარმოების საშუალებებთან. მისი აზრით, კაპიტალი არის წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის დანიშნული დაგროვილი შრომა. დ. რიკარდოც კაპიტალს აიგივებს წარმოების საშუალებებთან, ამიტომ მისი წარმოდგენით იგი არაისტორიული კატეგორიაა.

მეცნიერთა დიდი ნაწილიც იზიარებს ამ აზრს და კაპიტალს თვლის არაისტორიულ, არამედ მუდმივ კატეგორიად, რომელიც არსებობს და იარსებებს ყველა საზოგადოებაში. კაპიტალია წარმოების საშუალებები, რაც ადამიანის წარსულ შრომას შეუქმნია. წარმოების საშუალებების გარეშე ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება ვერცერთი ეკონომიკური წყობა.

ჩვენ ვეთანხმებით ასეთ მოსაზრებას და კაპიტალს არ განვასხვავებთ საწარმოო კაპიტალისაგან და განვიხილავთ მათთან ერთობლიობაში, ანუ ინვესტიციების ეფექტიანობას ფაქტიურად ვაიგივებთ საწარმოო კაპიტალის ეფექტიანობასთან.

კაპიტალი, როგორც რესურსი. სოფლის მეურნეობაში კაპიტალი წარმოადგენს ყველაზე შეზღუდულ რესურსს. მისი ანალიზის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ მისი მოცულობა და დრო. გარკვეული ზომით ეს ეხება სესხებსაც. არა აქვს მნიშვნელობა ეს სესხი აღებული გვაქვს გრძელვადიანი პროექტის (პროგრამის) განხორციელებისათვის თუ მოგვიწევს ფულის დაბრუნება მანამდე, ვიდრე პროექტი არ ამოიგებს თავის თავს. ამიტომ ინვესტირებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ დროის ფაქტორი.

ფერმერს სახსრები სჭირდება აგრეთვე ყოველდღიური ხარჯების გასანაღდებლად. სხვა სიტყვებით, მას სჭირდება საბრუნავი კაპიტალი (რომელსაც დღემდე ჩვენ საბრუნავ ფონდებთან ვაიგივებდით) საკვების,

სასუქების, თესლის, საწვავის და სხვა მრავალთა შესაძენად, შრომის ასანაზღაურებლად და სხვა. ამ შემთხვევაშიც ფერმერს შეიძლება ჰქონდეს ამისათვის, როგორც საკუთარი კაპიტალი, ასევე გამოიყენოს სესხები, რომლებიც უნდა ანაზღაურდეს 1-2 წლის განმავლობაში მაინც.

ზოგიერთი ფერმერი ახერხებს სწრაფად მიიღოს მოგება ინვესტირებული კაპიტალიდან, სხვები დიდი ხნით ატრიალებენ მას მეურნეობაში და ვერ უზრუნველყოფენ მოგებას. ამიტომ საჭიროა წინასწარ გაკეთდეს პროგნოზი, თუ რომელი პროდუქციის წარმოებას უნდა მოკიდოს ხელი, რათა მიღებული იქნას გარანტირებული მოგება. საჭიროა სწორედ კაპიტალის ინვესტირების წინ მოხდეს მისი გამოყენების სფეროს შეფასება.

შეფასებაში იგულისხმება ხარჯთაღრიცხვის შედგენა ან სხვა სახის გაანგარიშებები, რადგან ბრუნვაში მყოფი საშუალება უნდა იძლეოდეს მაქსიმალურ მოგებას. ფერმერს ყოველთვის უნდა ჰქონდეს საკმარისი ნაღდი ფული მიმდინარე ვალდებულებათა გასანაღდებლად.

სოფლის მეურნეობის ძირითად საწარმოო კაპიტალში 2000-2009 წლებში მნიშვნელოვანი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებებია მომხდარი. კერძოდ, ყურადღებას იპყრობს მრავალწლიანი ნარგავების მკვეთრი შემცირება და ძირითადი საწარმოო კაპიტალის სტრუქტურაში ამჟამად დაკავებული მოკრძალებული ადგილი (52%, ნაცვლად 1990 წლის 65,1%-ისა), გარდა ამისა მნიშვნელოვნად არის შემცირებული შენობა ნაგებობების და გადამცემი მოწყობილობების ღირებულება–2-ჯერ, ტრაქტორების – 1,8-ჯერ, სატრანსპორტო საშუალებების 2-ჯერ და ა.შ. ზრდის ტენდენციით ხასიათდება პროდუქტიული პირუტყვის ღირებულება 23,4%-ით. აღნიშნული მდგომარეობა არა არის გასაკვირი,

რადგანაც 1990 წლიდან მოყოლებული სისტემატურად მცირდებოდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობები, ნადგურდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ფუნქციონირება შეწყვიტა მეცხოველეო-ბის დარგში მოქმედმა კომპლექსებმა და მეფრინველეობის ფაბრიკებმა. ამასთან შემცირდა ძალოვანი და მუშა მანქანების ფიზიკური მოცულობები, გაუარესდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგება, რამაც ურთულესი მდგომარეობა შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის, მელიორაციის და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო კაპიტალის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი მრავალწლიან ნარგავებს, პროდუქტიულ პირუტყვსა და ძალოვან მანქანებს უკავია. მათზე მოდის მთელი ფონდების 70%-ზე მეტი. ის ფაქტი, რომ ძირითადი საწარმოო კაპიტალის უდიდესი ნაწილი ბიოლოგიურად ცოცხალ ფონდებზე მოდის, რომლებიც თავის მხრივ ფუნქციონირებისათვის მოითხოვენ სხვა ძირითადი კაპიტალის მომსახურებას, იმაზე მიუთითებს, რომ სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვისა და სხვადასხვა სახის სასოფლო სამეურნეო სამუშაოს მექანიზაციის დონე ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მეტად დაბალია.

ძირითადი კაპიტალის მნიშვნელოვან ნაწილს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა წარმოადგენს, რომელთა ძირითადი დანიშნულება ადამიანის ხელით შრომის შეცვლა-შემსუბუქებაა. აღნიშნული პროცესი საბოლოო ანგარიშით შრომის ნაყოფიერების ამაღლების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას იწვევს. აღნიშნულის გამო მაღალგანვითარებული ქვეყნები ძირითადი საწარმოო კაპიტალის

დიდ მარაგებს ფლობენ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. საქართველოში 2009 წელს ძირითადი კაპიტალის მოცულობამ 12025,8 მლნ. ლარი შეადგინა, საიდანაც სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა 295,3 მლნ. ლარი (ანუ ერთ დასაქმებულზე გაანგარიშებით 282 ლარი), მაშინ როცა აშშ-ი იგივე მაჩვენებელი 50,0 ათასი დოლარია. (დანართი 35.36.37.)

საწარმოთა ზომების მიხედვით ძირითადი კაპიტალის 46,5% მოდის მსხვილ საწარმოებზე, 45,1%-საშუალოზე, ხოლო 8,4% – მცირე საწარმოებზე. საკუთრების ფორმების მიხედვით სახელმწიფო საწარმოებზე მოდის 80,7%, ხოლო არასახელმწიფოზე მხოლოდ 19,3%, სამართლებრივი ფორმის მიხედვით იურიდიულ პირებზე მოდის – 99,2%, ხოლო ინდივიდუალურზე – 0,8 %.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დარგს შეიძლება ჰქონდეს კაპიტალაღჭურვილობის (ძირითადი კაპიტალი / დასაქმებულთა რაოდენობაზე) მაღალი დონე, მაგრამ აღინიშნებოდეს კაპიტალმწარმოებლურობის დაბალი დონე. ასე მაგალითად, საქართველოში სამეწარმეო სფეროში ფიზიკური კაპიტალი ერთ დასაქმებულზე 2009 წლის მონაცემებით საშუალოდ შეადგენდა 31,0 ათას ლარს (რაც 2,2-ჯერ აღემატება 2005 წლის მაჩვენებელს), მათ შორის სოფლის მეურნეობაში 48,7 ათასი ლარი (რაც 11,3-ჯერ აღემატება 2005 წლის მაჩვენებელს), სადაც ყოველი 1000 ლარის ძირითად კაპიტალზე (კაპიტალის მწარმოებლურობა) პროდუქციის გამოშვება (ძირითად კაპიტალზე) წარმოებული იქნა 915 ლარის პროდუქცია საქართველოში, მაშინ როცა სოფლის მეურნეობაში იგი არ აღემატება 368 ლარს. აქვე აღსანიშნავია, რომ კაპიტალის მწარმოებლურობის მაჩვენებლები 2005 წელთან შედარებით შემცი-რებულია შესაბამისად 15,1% და 79, 5%-ით.

შრომის მწარმოებლურობა (პროდუქციის გამოშვება/დასაქმებულთა რაოდენობაზე) 2009 წელს საქართველოში შეადგენდა 28398 ლარს, ხოლო სოფლის მეურნეობაში 17938 ლარს. აქ დინამიკაში გვაქვს ზრდა შესაბამისად 95,8%-ით და 2,3-ჯერ. (იხ.დანართი 38.39.40.41.)

აღნიშნულს მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან ერთ-ერთი მთავარი წარმოებაში ჩართული აქტიური ძირითადი კაპიტალის რაოდენობრივ ხარისხობრივი მაჩვენებლები და მათი ექსპლოატაციის დონე და ხარისხია.

საქართველოს რეგიონები ტექნიკის რაოდენობისა და წარმოებაში მისი მოხმარების მხრივ მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს დანართი 42. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, ტექნიკის რაოდენობის მიხედვით რეგიონები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს იმითაა განპირობებული, რომ რეგიონებს ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნებრივი პირობები, მიწით უზრუნველყოფის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონე გააჩნიათ. ასე მაგალითად, კახეთში ტრაქტორები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 63,7%-ში, გურიაში 63,6 %-ში და სამცხე-ჯავახეთში 60,9%-ში, ამ რეგიონში ჩვენი გათვლით მექანიზაციის დონე 40%-მდეა, რაც ყველაზე მაღალია საქართველოს რეგიონებს შორის. შედარებით მაღალია ეს მაჩვენებელი შიდა ქართლის (38%) და კახეთის რეგიონში (36%). რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ტრაქტორი გამოიყენება მეურნეობათა მხოლოდ 11,6%. სატვირთო ავტომობილები კი 14,4%. ეს ადასტურებს, რომ როგორც მთიანი რეგიონი აქ ტრაქტორებისა და ავტომობილების გამოყენება შეზღუდულია. მეორეს მხრივ კი მეტი გაქანება უნდა ჰქონდეს ხელის ტრაქტორების გამოყენებას, მაგრამ ამ

მიმართულებითაც აღნიშნულ რეგიონში არასახარბიელო მდგომარეობაა. ხელის ტრაქტორები გამოიყენეს მხოლოდ მეურნეობათა 4,8%-მა, აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ რეგიონში მიწის დამუშავების მექანიზაციის დონე 16,1%-ს არ აღემატება.

იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის ტექნიკა გააჩნიათ სოფლად საქონელმწარმოებლებს საკუთრებასა და მფლობელობაში და როგორია ტექნიკით აღჭურვის დონე რეგიონების ჭრილში ნათელ წარმოდგენას იძლევა დანართი 43. მთლიანად საქართველოში მეურნეობათა საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და სატრანსპორტო საშუალებებს ფლობს მეურნეობათა მცირე ნაწილი. კერძოდ, ტრაქტორების მფლობელია მეურნეობათა 3%, ხელის მოტობლოკების – 5%, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების – 15,5%.

საქართველოს რეგიონები დამუშავებაში მყოფი მიწის ფართობის ერთეულზე, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ოდენობით ასევე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, 100 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე ყველაზე მეტი ტექნიკა გააჩნია შიდა ქართლის რეგიონს, სადაც ეს მაჩვენებელი 13,1 ერთეულს შეადგენს, შემდეგ მოდის იმერეთი და სამცხე-ჯავახეთის 7,0 და 4,5 ერთეული თითოში. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ამ მიმართულებით დაფიქსირებულია სამეგრელო ზემო სვანეთის და მცხეთა-მთიანეთისა რეგიონში, სადაც ყოველ 100 ჰა დამუშავებაში მყოფ მიწაზე 1,5 ერთეული ტრაქტორი და მოტობლოკი მოდის.

უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის ყველა რაიონში, აქტიურად დაიწყო კოოპერატიული ტიპის ამხანაგობების შექმნა. უკვე შემუშავებულია ამხანაგობათა დაფუძნების და ფუნქციონირების, მართვის, წევრობის და

სხვა სამართლებრივი საკითხები, რომელთა დარეგულირება ხდება ამხანაგობის ერთობლივი საქმიანობის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2008 წლის მაისის მდგომარეობით ქვეყნის მასშტაბით სულ დაფუძნებული იყო 102 ასეთი ამხანაგობა. აღნიშნულ ამხანაგობებს სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში სიმბოლურ ფასად (1 ლარად) საკუთრებაში გადაეცემათ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სახის ტექნიკა და ტექნიკური საშუალებები. მათ შორის სხვადასხვა სახის ძვირადღირებული ტრაქტორები (სხვადასხვა მოდიფიკაციის), მრავალკორპუსიანი გუთნები, მოტობლოკები, სათიბლები, ფარცხები და ა.შ.

სულ ქვეყნის მასშტაბით ამხანაგობებს უკვე გადაეცათ 340-ზე მეტი ტრაქტორი, 200-ზე მეტი სატრაქტორო გუთანი და სხვა სახის ტექნიკა (სულ 820 ერთეული), რომელთა საერთო ღირებულება 23,6 მლნ. ლარს შეადგენს. ამხანაგობათა დაფუძნების და მათზე ტექნიკური საშუალებების გადაცემის პროცესი დღესაც გრძელდება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩემს მიერ შესწავლილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთ მუნიციპალიტეტში შექმნილ სამექანიზაციო ამხანაგობებში არსებული მდგომარეობა.

საპრეზიდენტო პროგრამის "სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლების ხელშეწყობა" ფარგლებში, 2008 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამექანიზაციო ამხანაგობები, რომლებსაც გადაეცათ 1 416 ათასი ლარის ღირებულების 24 ერთეული ტრაქტორი და 47 ერთეული სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფერმერებს

საშუალება აქვთ შეღავათიან ფასებში ისარგებლონ ამხანაგობების მომსახურებით. (იხ. დანართი 44).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის "მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა უზრუნველყოფა" ფარგლებში 2008-2010 წლებში სულ შესყიდული იქნა 230 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი, რომლებიც თანადაფინანსებით (50/50) გადაეცა რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის ფერმერებს. აღნიშნულ ტექნიკაზე ფერმერთა დიდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე სამინისტრო მომავალ წლებშიც გააგრძელებს პროგრამას.

2008 წელს სამინისტროს მიერ შესყიდული იქნა 10 ერთეული მუხლუხა ტრაქტორი, 5 ერთეული საერთო დანიშნულების ტრაქტორი, 10 ერთეული 4 კორპუსიანი და 5 ერთეული 3 კორპუსიანი გუთანი. შესყიდული ტექნიკა გადაეცა აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტს.

რეგიონში ჩატარებული საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები:

2010 წლის საპროგნოზო მონაცემებით რეგიონში გათვალისწინებული იყო 18 035 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დამუშავება, მათ შორის 10 227 ჰა სახნავ-სათესის და 7 808 ჰა მრავალწლიანი კულტურებისათვის.

საგაზაფხულო სამუშაოები დასრულებული იქნა 30 ივნისს და პროგნოზით გათვალისწინებული 18035 ჰექტრიდან სამუშაოები ჩატარდა 16869 ჰა-ზე - 93.5% (გასული წლის შესაბამის პერიოდი 85.2%), მ/შორის: ხვნა-თესვა ჩატარებულია 9396 ჰა-ზე - 91.9%. აქედან მარცვლეული

კულტურებისათვის 5970 ჰა-ზე - 88.6%; ბოსტნეული კულტურებისათვის 930 ჰა-ზე - 93.8%; კარტოფილისათვის 2370 ჰა-ზე - 100.2% და თამბაქოს კულტურისათვის 113 ჰა-ზე - 95.8% მრავალწლიან კულტურებში საგაზაფხულო სამუშაოები (გასხვლა-ნიადაგის დამუშავება) შესრულდა 7473 ჰა-ზე - 95.7%, აქედან, ჩაის კულტურაში ფოთოლ-საკრეფი 520 ჰექტარიდან სულ კულტივირებულია 328 ჰა (63.1%); ციტრუსის 6318 ჰექტარიდან ნიადაგის ბარვა ჩატარებულია 6178 ჰა-ზე - 97.8%; 780 ჰა ხეხილის ბაღიდან ძირების შემობარვითი სამუშაოები შესრულებულია 777 ჰექტარზე (99.6%); 190 ჰე. ვენახის ნარგავებში სამუშაოები სრულადაა შესრულებული.

მუნიციპალიტეტებში არსებული სამექანიზაციო ამხანაგობების მიერ საგაზაფხულო სამუშაოები (ხვნა-ფარცხვა და ციტრუსის წამლობითი ღონისძიებები) ჩატარებულია 465 ჰა-ზე, რითაც მომსახურება გაეწია 2 359 ფერმერს.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ურთიერთობების პირობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ამხანაგობებზე სიმბოლურ ფასში მიყიდვის ძირითადი ამოცანა უნდა იყოს რეგიონებსა და რაიონებში საქონელმწარმოებლებისათვის მეტნაკლებად თანაბარი სასტარტო პირობების შექმნა, ანუ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და ფერმერულ მეურნეობათა ძირითადი საწარმოო კაპიტალით აღჭურვის სათანადო დონის შექმნა, რომლის შემდეგ ადგილებზე დაფუძნებულმა ამხანაგობებმა ტექნიკის შეძენა-განახლება (ანუ კვლავწარმოება), კაპიტალური რემონტი და ა.შ. უნდა შეძლონ გადახდისუნარიანი მოთხოვნის შესაბამისად. ამაში მათ ჩვენი აზრით უდავოდ დაეხმარება მიწაზე ერთობლივი საქმიანობის წარმართვის ზემოაღნიშნული

ორგანიზაციული ფორმა, რომლის მოდიფიკაცია სხვადასხვა მიმართულებით სავსებით შესაძლებელია მომავალში ადგილობრივი სპეციფიკის და წარმოების სხვა პირობების გათვალისწინებით. მხედველობაში გვაქვს სოფლად საქონელ- მწარმოებელთა კოოპერირება არამარტო ტექნიკის ერთობლივად გამოყენების, არამედ მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და ნედლეულის გადამუშავების, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის და სხვა მრავალი მიმართულებით.

ზემოთ აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

* სქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად კაპიტალის (აქტიურ ნაწილს) ნივთობრივი სტრუქტურა და რაოდენობრივი მაჩვენებლები 100 ჰა დამუშავებაში არსებულ მიწებზე არ შეესაბამება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და სტრანსპორტო საშუალებებზე რეალურ მოთხოვნას. ამასთან, ძალიან დაბალია კაპიტალაღჭურვილობისა და კაპიტალუზრუნველყოფის მაჩვენებლები.

- მეურნეობათა უმრავლესობას არ გააჩნია ელემენტარული მექანიზაციის საშუალებები, რომლის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მიწიდან მიღებული შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას.

- სოფლის მეურნეობაში არსებული ძირითადი კაპიტალი ვერც რაოდენობრივი და ვერც სტრუქტურული თვალსაზრისით ვერ უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაყოფიერების ამაღლებას.

ძირითადი კაპიტალის და საბრუნავი საშუალებების ყოველმხრივ დარღვეულ თანაფარდობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ თუ 1990 წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მოხმარდა 112 ათასი ტონა აზოტოვანი, 175 ათასი ტონა ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები, 2009 წელს სოფლის მეურნეობაში სულ გამოყენებული იქნა 57,9 ათასი ტონა აზოტოვანი და 30,6 ათასი ტონა ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქი.

ანალოგიური შედარებების მოტანა შეიძლება სხვა საბრუნავი საშუალებების გამოყენებაშიც, კერძოდ კომბინირებული საკვების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების (პესტიციდების) გამოყენება. 1990 წელს 24 ათასი ტონა მცენარეთა დაცვის საშუალებები იქნა გამოყენებული, 2009 წელს კი მხოლოდ 5,5 ათასი ტონა. პესტიციდებით დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ფართობი ერთწლიან კულტურებში 2009 წელს 2006 წელთან შედარებით 52,3 ათასი ჰა-დან 31,4 ათას ჰა-მდე შემცირდა, ხოლო მრავალწლიან ნარგავებში კი 84,7 ათასი ჰა-დან გაიზარდა 177 ათას ჰა-მდე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობაში შემცირდა არა მარტო ძირითადი კაპიტალით აღჭურვის დონე, არამედ მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დონეც. დაირღვა ყოველგვარი თანაფარდობა ძირითად კაპიტალსა და საბრუნავ კაპიტალს შორის. ყოველივე ეს კი მკვეთრად ამცირებს მიწაზე მეურნეობრიობის ეფექტიანობას, მიწის როგორც ძირითადი კაპიტალის პოტენციალის გამოყენების დონეს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზეც, რაც დღის წესრიგში აყენებს არსებული

რესურსების მომჭირნეობით და ეფექტურად გამოყენებას, ეკონომიკის ყველა სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, რეალურად ყველაზე დიდი შესაძლებლობა აქვს სოფლის მეურნეობას, რადგან სწორედ ამ სფეროშია დასაქმებული მთელი ჩვენი შრომისუნარიანი მოსახლეობის 55%-ზე მეტი, ამავე დროს ჩვენ გვაქვს საშუალება ვაწარმოოთ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მაქსიმალურად შევამციროთ ადგილობრივ ბაზარზე იმპორტული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოდინება, რაც ერთ-ერთი სტიმული იქნება იმისა, რომ ჩვენმა საოჯახო მეურნეობებმა გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის მაქსიმალური შესაძლე-ბლობებიდან გამომდინარე. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობას ჭირდება სახელმწიფო მხარდაჭერა (სუბსიდიები, ინვესტი-ციები, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური), რათა არსებითად შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში ძირითად საწარმოო კაპიტალს, როგორც ეკონომიკურ რესურსს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ძირითადი საწარმოო კაპიტალის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები და სტრუქტურა პრაქტიკულად განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნათესი ფართობების ოდენობას და მოსავლიანობას, პირუტყვის პროდუქტიულობას, შრომის ნაყოფიერებას და სხვა საწარმოო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. ამ კონტექსტში სასოფლო-სამეურნეო

წარმოების კაპიტალუზრუნველყოფის და კაპიტალაღჭურვილობის მაჩვენებელთა ობიექტური შეფასება მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს.

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ძირითადი საწარმოო კაპიტალის გამოყენების მეტად დაბალი დონის მიზეზი არის ის მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, რომელიც არსებობს ძირითადი საწარმოო კაპიტალსა და საბრუნავ კაპიტალს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ თუ 1990 წელს წარმოებული პროდუქციის მატერიალური ტევადობა 73,4%-ს (მატერიალური ხარჯების წილი საერთო პროდუქციაში) შეადგენდა, 2007 წლისათვის 33,4%-მდე შემცირდა. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ მცირდება დამუშავებაში მყოფ მიწებზე შეტანილი მინერალური და ორგანული სასუქების რაოდენობა, ნაკლები იხარჯება მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებები, ბევრად ნაკლები იხარჯება საწვავი და სხვა საბრუნავი კაპიტალი, რაც ერთი მხრივ კარგია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით, მაგრამ მეორეს მხრივ ცუდი იმ თვალსაზრისით, რომ ძირითად კაპიტალსა და საბრუნავ კაპიტალს შორის ნორმალური თანაფარდობის დარღვევა განაპირობებს შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს, კულტურათა დაბალ მოსავლიანობას, პირუტყვის პროდუქტიულობის დაცემას, საწარმოო კაპიტალის რენტაბელობის დაბალ დონეს, და საბოლოო ანგარიშით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოო პოტენციალის გამოუყენებლობას. ეს კი თავის მხრივ იწვევს სურსათის იმპორტის მასშტაბების გადიდებას და ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის კიდევ უფრო გაუარესებას. დანართ 45-ში ასახულია საქართველოს რეგიონებში არსებული სოფლის მეურნეობის საწარმოო რესურსული დამოკიდებუ-

ლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობასთან (სავარგულისა და დასაქმებული მუშაკის ერთეულზე). იმ რეგიონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ერთეულზე გააჩნიათ ძირითადი საწარმოო კაპიტალის შედარებით მაღალი დონე (აჭარის ა/რ, იმერეთი, შიდა ქართლი და ა.შ.), სავარგულის ერთეულზე აწარმოებენ გაცილებით მეტ სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციას, ვიდრე დანარჩენ რეგიონებში.

ცალკეული ფაქტორების გავლენა კაპიტალუკუგების ამაღლებაზე საქართველოს რეგიონების მაგალითზე (2008-2009წწ.) გამოვლენილი იქნა მრავალფაქტორული კორელაციური ანალიზის საფუძველზე. მოდელში შეტანილი იქნა შემდეგი ფაქტორები: საერთო პროდუქციის ღირებულება 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე (X_1) და 1 საშუალო წლიურ მუშაკზე (X_2); კაპიტალაღჭურვილობა (X_3), მიწის ხარისხი (კადასტრი) (X_4); კაპიტალუზრუნველყოფა 1-ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე (X_5); პროგრამა "Statistics"-ის გამოყენებით მივიღეთ შემდეგი ტოლობა:

$$Y=2,3307+0,1103X_1+9,1381X_2-5,0205X_3+0,0775X_4-0,0649X_5$$

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ საერთო პროდუქციის მატება 1 ათასი ლარით 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე და 1 საშუალო წლიურ მუშაკზე და მიწის ხარისხის გაუმჯობესება 1 ბალით კაპიტალუკუგებას ზრდის შესაბამისად 0,1103; 9,1381 და 0,0775 ლარით, კაპიტალაღჭურვილობის და კაპიტალუზრუნველყოფის ზრდა პირიქით, ამცირებს მას შესაბამისად 0,50205 და 0,649 ლარით.

ამრიგად, აბსოლოტური მატების მაჩვენებლების განხილვით ყველაზე დიდი ზეგავლენას კაპიტალუკუგებაზე ახდენს ფაქტორი – X_2 (საერთო პროდუქცია 1 საშუალო წლიურ მუშაკზე), რომლის ზრდა

1%-ით იძლევა 0,583%). ყველაზე მეტი უარყოფითი ზეგავლენა აქვს ფაქტორს X_3-ს (ძირითადი საწარმოო კაპიტალის ღირებულება 1 საშუალო წლიურ მუშაკზე) რომლის 1%-ის ზრდა იწვევს კაპიტალუკუგების შემცირებას 0,642%-ით. გამოთვლილი კოეფიციენტი მრავალფაქტორული კორელაციის R=0,984-ს ამტკიცებს მჭიდრო კავშირს კაპიტალუკუგებასთან და ფაქტორიალურ მაჩვენებლებს შორის, ხოლო კოეფიციენტი დეტერმინაციის $a=R^2=0,968$ გვიჩვენებს, რომ კაპიტალუკუ-გების დონე 96,8%-ით დამოკიდებულია შერჩეულ ფაქტორებზე, ხოლო 3,2%-ით სხვა გაუთვალისწინებელ ფაქტორებზე.

როგორც უკვე აღინიშნა სოფლად საქონელმწარმოებელთა (გლეხურ-ფერმერულ მეურნეობათა) ძირითადი საწარმოო კაპიტალით აღჭურვის დონე არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი მიწის ნაყოფიერების, შრომის ნაყოფიერების და ზოგადად წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. აღნიშნულის გათვალისწინებით მოულოდნე-ლი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ასე დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა, შრომის ნაყოფიერების დონე და სხვა ის ეკონომიკური თუ საწარმოო მაჩვენებლები, რომლებიც როგორც წესი ძირითადი კაპიტალით უზრუნველყოფისა და კაპიტალაღჭურვილობის დონეს და ხარისხს უკავშირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წლისათვის შეიმჩნევა ერთგვარი პროგრესული ცვლილებები, როგორც ძირითადი საწარმოო კაპიტალის სტრუქტურაში, ასევე მათი ფიზიკური მოცულობების ზრდაში. კერძოდ ძირითადი კაპიტალის შემადგენლობაში გაიზარდა ძალოვანი მანქანების, მუშა-მანქანების და სატრანსპორტო საშუალებათა ხვედრითი წილი.

ამავე პერიოდში შემცირდა შენობა-ნაგებობების საერთო ღირებულება (რაც სავარაუდოდ ძველი შენობა-ნაგებობების ამორტიზაციით არის ძირითადად განპირობებული).

ძირითადი საწარმოო კაპიტალის სტრუქტურაში 2015 წლისათვის დომინირებულ მდგომარეობას კვლავ მრავალწლიანი ნარგავები დაიკავებს, თუმცა მათი ხვედრითი წილი 2009 წლის დონეზე იქნება შენარჩუნებული (54%). ამასთან უმნიშვნელოდ მცირდება მუშა და პროდუქტიული პირუტყვის (7%-დან 6%-მდე), ხოლო შენობა-ნაგებობების და სატრანსპორტო საშუალებისა პირიქით, იზრდება თითო პროცენტული მუხლით.

ძირითადი საწარმოო კაპიტალის ზრდა ძირითადად უნდა მოხდეს სახელმწიფო ინვესტიციების ხარჯზე. ამდენად, ფრიად საყურადღებოა თუ, როგორი გავლენა ექნება ძირითადი საწარმოო კაპიტალის პროგნოზულ ზრდას აგრარული წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ჩვენი გაანგარიშებით თუ დაცული იქნება ძირითადი საწარმოო კაპიტალის და საბრუნავი კაპიტალის ზღვრული ოპტიმალური თანაფარდობა, აგრეთვე რაციონალურად იქნება გამოყენებული მანქანა იარაღები, მათი ტექნიკური მომსახურება, ადეკვატურად გაუმჯობესდება წარმოების ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემო, მაშინ, როგორც წესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის ტემპმა უნდა გაუსწროს ძირითადი საწარმოო კაპიტალის ზრდის ტემპს და შესაბამისად კაპიტალუკუგების მაჩვენებელს ექნება რეალური ზრდის ტენდენცია. თანაფარდობა ციფრებში შეიძლება ასე გამოიხატოს: 2007 წელს ოფიციალური აღრიცხვის მონაცემებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების მოცულობამ 2,3 მლრდ. ლარი შეადგინა. ჩვენი

გათვლებით ამავე წელს მთლიანად ძირითადი საწარმოო კაპიტალის ღირებულება 4,2 მლრდ. ლარი იყო, ანუ კაპიტალუკუგებამ წარმოებაში დაბანდებულ ყოველ ლარზე 0,52 ლარი შეადგინა (როგორც ზემოთ აღინიშნა ეს მაჩვენებელი უფრო კაპიტალუზრუნველყოფის ძალიან დაბალი დონის შედეგია და არა ძირითადი კაპიტალის რაციონალური გამოყენებისა).

2015 წლისათვის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ჩვენი შეფასებით 1,9-2,0-ჯერ უნდა გაიზარდოს რაც იმას ნიშნავს რომ ამ წლისათვის კაპიტალუკუგებამ 0,61 ლარს უნდა მიაღწიოს.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია გაიზრდება ძირითადი საწარმოო კაპიტალის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის სხვა მაჩვენებლებიც (მოგების ნორმა, პროდუქციის გამოსავალი ფართობის ერთეულზე და პირუტყვის ერთეულზე და ა.შ.).

ძირითადი საწარმოო კაპიტალის რაოდენობრივ-ხარისხობრივ ზრდას განსაკუთრებით დადებითი გავლენა ექნება შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელზე, რადგან შრომის კაპიტალაღჭურვის ზრდის კვალობაზე როგორც წესი ადგილი აქვს ხელით შრომის მექანიზებული შრომით ჩანაცვლებას და ფართობის ერთეულზე შრომითი დანახარჯების არსებით შემცირებას, ეს კი ობიექტურად იწვევს ერთი მხრივ მიწის ნაყოფიერების ამაღლებას, ხოლო მეორეს მხრივ შრომის ნაყოფიერების გაზრდას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში რეალური ინვესტიციების განხორციელება და მისი ეფექტი, როგორც წესი, სინერგიულ ხასიათს ატარებს, ანუ მას გარდა ეკონომიკურისა ახლავს სოციალური (შრომის შემსუბუქება და მასთან დაკავშირებული დადებითი მხარეები), ფისკალური (სახელმწიფო

ბიუჯეტის ზრდა გადასახადების ხარჯზე) და სხვა სახის ეფექტი, რომელთა ზუსტი რაოდენობრივი გათვლა მართლაც შეუძლებელია, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კაპიტალაღჭურვილობის თაობაზე სამთავრობო გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში ნამდვილად მისაღებია.

დასკვნები და წინადადებები

1. ეკონომიკაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა რესურსების შეზღუდულობაა, ამიტომაც ეკონომიკის მთელი ძალისხმევა სწორედ მათი რაციონალური გამოყენებისკენ უნდა იყოს მიმართული და შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ძირითად ფუნქციას სწორედ ეს მხარე განსაზღვრავს.

2. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს აგრარულ სექტორში დღემდე არსებული მართვის პირობებში არასრულადაა გამოყენებული ეკონომიკის ისეთი ბერკეტები, როგორიცაა მიწა, კაპიტალი და შრომა. სამეწარმეო უნარი საბაზრო გარემო პირობების უქონლობის გამო თითქმის არ გამოიყენება. ხოლო სახელმწიფო მართვის ქმედუნარია-ნობა ძალზე დაბალია. ფაქტიურად არ არსებობს ადმინისტრაციული მართვა, ხოლო ეკონომიკური მართვის ბერკეტები ნაკლებად გამოიყენება, ამის გამო მართვის და წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლები და ხალხის ცხოვრების დონე ძალზე დაბალია.

3. საფინანსო საკრედიტო სისტემის სრულყოფა - შეღავათიანი და კრედიტების სპეციალური ფონდების ფორმირებით, საწარმოო მიზნებისათვის და პროდუქციის ბაზარზე გასაღებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ბანკები თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან, რადგან მათი დროულად დაბრუნების იმედი ნაკლებად აქვთ, რეალობა სრულიად განსხვავებულია, კერძოდ ბანკებისადმი ვადაგადაცილებული სესხების 50% მრეწველობის დარგებს აქვთ, 26,4% ვაჭრობას, ხოლო სოფლის მეურნეობაში იგი 1,6%-ს არ აღემატება.

4. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საგადასახადო სისტემის სრულყოფა, ქვეყნის აგრარულ სექტორში არსებული რეალური ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით. ფაქტია, რომ მიწაზე ქონების გადასახადის არსებული დიფერენციაცია სრულიად გაუმართლებელია. სხვადასხვა განაკვეთების და მიწების ზონალური დაყოფა მექანიკურია და მხოლოდ ადმინისტრაციულ განლაგებას ითვალისწინებს, არ არის გამოყენებული პრეფერენციის ფორმები, სტიმულირების და ეკონომიკური წახალისების შესაძლებლობები. ფერმერები სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა იღებდნენ სხვადასხვა დანიშნულების სუბსიდიებს, სპეციალური პროგრამების სახით. უცხოეთში ასეთი სუბსიდიების მოცულობა დარგის მთლიანი შემოსავლის ნახევარს შეადგენს. უნდა დაწესდეს საგადასახადო სტიმულები ინვესტორების მოსაზიდად, რისთვისაც აუცილებელია მოქმედ საგადასახადო სისტემის ჰარმონიზაცია გამოცდილებასთან.

მიგვაჩნია, რომ ასევე უნდა შემუშავდეს ახალი საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკა და დადგინდეს მოქნილი სატარიფო სისტემა. იმპორტირებულ პროდუქტზე უნდა დაწესდეს მკაცრი, ხოლო სამამულოზე შეღავათიანი ტარიფები.

5. სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2003 წელს 2008 წელთან შედარებით მემცენარეობის დარგის ხვედრითი წილი 50,8%-დან 41,3%-მდე შემცირდა, ხოლო მეცხოველეობის ხვედრითი წილი 47,3-დან 56%-მდე გაიზარდა. მემცენარეობის დარგებიდან განსაკუთრებით შემცირდა მეხილეობის, მეჩაიეობის, მებოსტნეობის და მეკარტოფილეობის ხვედრითი წილი. ახალი ტენდენციები და კანონზომიერებები გამოვლინდა მეცხოვე-

ლეობის დარგის განვითარების თვალსაზრისითაც. საქართველოს ყველა კატეგორიის მეურნეობებში 2008 წელს 2000 წელთან შედარებით ღორის სულადობა შემცირდა 80,5%-ით, ფრინველისა 14,5%-ით და ფურის და კამეჩის 13.3%-ით. პირუტყვისა და ფრინველის სულადობის შემცირებასთან ერთად, მცირდება და ამასთან ძალზე დაბალია მათი პროდუქტიულობაც. ერთი სული პირუტყვის საშუალო წონა მსხვილი რქოსანი პირუტყვის მიმართულებით იგივე პერიოდში შემცირდა 13%-ით, ღორში -7,1%-ით, საშუალო კვერცხმდებლობა შემცირდა 7,8%-ით, ფურის საშუალო წლიური წველადობა კი შესაბამისად 935 - 1031 კგ-ს არ აღემატებოდა. პროდუქტიულობის ასეთი დაბალი დონე განპირობებულია იმით, რომ წარმოებული პროდუქციის 99%-ზე მეტი ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, რომლებიც დაკომპლექტებულია დაბალპროდუქ-ტიული პირუტყვით და მათი კვება არასრულფასოვანი საკვებით ხდება. ჩვენი აზრით შექმნილი მდგომარეობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით, კერძოდ მოსახლეობა მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე იძულებულია უპირატესობა მიანიჭოს სასურსათო პროდუქტებს - მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას და უკანა პლანზე გადასწიოს ტრადიციული დარგების მევენახეობის, მეჩაიეობის და მეხილეობის განვითარება. აღნიშნული მდგომარეობა შენარჩუნებული იქნება მანამ, სანამ პროდუქციის გასაღების ბაზრების დაბრუნებით არ აღდგება მევენახეობის, მეხილეობის და მეჩაიეობის განვითარების ის მასშტაბები, რაც მათ გააჩნდათ და გააჩნიათ ამჟამადაც. მეურნეობის ფორმების მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხორცის წარმოების 91,3%, რძის -99,8%

